

652/
1971/2



1

9

7

1

5

3. ლორია — განცდილი და	
თბილნაზული მოთხრობა	3
5. დავითაძე — მუხა ლექსი	16
7. გეგადა — ერთი ისეთი...	
ლექსი	19
9. ხოვარია — ჰაბურები	
მოთხრობა	21
11. როზვა — გარულილა გარადა	
ლექსი	43
13. სალუჭვაძე — თეას ნიგნი	
ლექსი	45
15. ზუროვა — ორი ნოველა	47
17. სიღძივებული — სახლი მო-	
რილეგისა ლექსი	52
19. გვლია — ლექსები	54
21. ანანიძე — ლექსები	57
23. ზონია — მემლევეთის	
სტუმარი ნიკვევი	53

წ ე რ ი ლ ე ბ ი

5. დუმჩაძე — ლენინი დება-	
დანდის ფინანგები ლიტე-	
რატურაში	71
7. ზონიძე — ჩაზაირების ტრა-	
დიცია აპარაში	85

წიგნების მიმოხილვა

9. ჩავლეივალი — საჭირო	
წიგნი	89

სკოლები და იუმორი

3. დარჩია — ო, მე ფინანგები!	92
------------------------------	----

ლიტერატურული-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
რურნალი

საჩართველოს საგაოთა
მჯერლების კავშირისა და
აპარატის განყოფილების
ორგანო

ბ ა თ უ მ ი — 1971

ცერტიფიკატი — იუმორის



რედაქტორი ა. შონია

სარედაქტო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ.
მღივანი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.
რედაქტორები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მღივნის — 33-72.
ხელმოწერილია დასაბუჭიდა 27.10.1971 წ., საბუჭი 6, საგამოშცემლო 5 თაბაზი.
შეკვეთის № 4244, ემ 00246, ქალალის ზომა 60X90, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარმომავლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 22).

პარენ ღორი

გვედრი და თბერნეალი

ცნობილ ქართველ მწერალს პარმენ ლორიას შეუ-
 სრულდა სამოცდათხუთმეტი წელი. ეს თარიღი სიყ-
 ვარულით აღნიშნა ჩვენმა საზოგადოებრიობამ. მრა-
 ვალრიცხოვანმა მყითხველმა მაღლიერების გრძნობა
 გამოხატა მწერლისადმი, რომელმაც ქართულ ლიტე-
 რატურაში ერთ-ერთმა პირველმა ფართო მხატვრულ
 ტილოებზე ასახა აქარის მძიმე წარსული, სახელმოვა-
 ნი რევოლუციური ბრძოლების რომანტიკა, ახალი
 საზოგადოების მუნენდელთა ცხოვრება და შრომა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების აქარის ორვა-
 ნიზაცია და უურნალ „ჭოროხის“ რედაქცია მხურვა-
 ლედ უფოცავენ პარმენ ლორიას დაბადების სამოც-
 დათხუთმეტი წლისთავს და უსურვებენ ხანგრძლივ
 სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით შრომას ჩვე-
 ნი მწერლობისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

მყითხველებს ვთვავაშობთ პ. ლორიას ავტობიოგ-
 რაფიული ხასიათის მოთხრობას.

I

თმას ჭალარა მოერია, მუხლებს სისუსტე, თვალები შუშებს იშველი-
 ებენ.

შემოდგომის მიწურულია, ალბათ მალე დადგება ზამთარი და...
 ამ დროს იწყებს ადამიანი საკუთარი შრომით მონაგარის შეჯამებას.
 ბედნიერია ვინც თავის ნამაგარს დახსარის, ვისაც უანგაროდ უშრო-
 მია და ბრძოლის დროს მოძმეს არ გამოშლია.

იცხვოლე ისე, რომ სიბერის უამს უკან მოხედვის არ გეშინოდეს.
არის ნათელი.



საქართველო
განვითარება

დავიკვენი, რომ ამ შემთხვევაში პირნათელი ვარ.

უბრალო კაცის შვილს, უბრალოდ და პატიოსნად მიცხოვრია და მი-
მუშავია, და კასთანაც ვმდგარვარ, ჩარხთან, ამწესთან, სიმინდისა და ქვ-
რის ყანაც მითხნია და მიმკია, საძმო მოსავალიც ამიღია და გმილია.

ომშიაც ცუოფილვარ, ომში, სადაც მხოლოდ ადამიანის მოსპობაზე ფი-
ქრობენ.

და მიფიქრია: ნეტავ რა მინდა. ამ უბრალო ქართველ ბიჭს ერაყისა
და სიირის მასადგომებთან? რად უნდა ვხოცოთ ერთიმეორე მე და ანა-
ტოლიადან მოსულმა თურქმა?

მიფიქრია და მისვრია მისკენ. ასევე უფიქრია მასაც და უსვრია ჩემს-
კენ.

ეროვნული განსხვავებულობაა მიზეზი თუ სარწმუნოება?

ზიდ ქარხანაში ვმუშაობდი. რამდენიმე ათასი კაცი სხვადასხვა სამუ-
შაოთი კიუავათ დასაქმებული და ერთი ვინმე დიდი კაპიტალისტებს სიბ-
დიდრეს ვქმნიდით.

ნაირნაირი ვიყავით ეროვნებითა და სარწმუნოებით: რუსი, ქართვე-
ლი, სომები, თათარი, თურქი... ერთმანეთს ვშველოდით მძიმე ტვირთის
წამოუვეგაში.

საიდუმლო კრებებზედაც ასე ერთსულოვნად ვიკრიბებოდით სხვა-
დასხვა ერის შვილები, ერთმანეთს ძმას და მეგობარს ვუწოდებდით და გა-
უმაძღარი შექარხნის წინააღმდეგ შეთქმულებას ვამზადებდით.

ერთი გზა გცემნდა, ერთი მიზანი

„ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს, ჩამოვიბერტყოთ ფეხზე ვით
მტვერი!“ სხვადასხვა ენაზე, მაგრამ ერთ ჰანგზე ვმოეროდით ყველა და
პროლეტარებს მოვუწოდებდით შეერთებისაკენ.

მაგრამ...

ერთ დღეს, დილით... ქარხნის საყვირის ხმაზე შეკრებილებმა გა-
ვიგეთ, რომ დაცუყო ომი, ომი უნგრეთთან, ავსტრიასთან, გერმანიასთან,
თურქეთთან...

და სარწმუნოება და ეროვნება იქცა საბაბად ერთმანეთის ხოცვა-
შლეჭისა.

მართლა ეროვნება და სარწმუნოება გვახოცვინებდა ერთიმეორეს?

თუ ასე იყო, რატომ ქარხანაში ერთად შრომისას ასე გვიყვარდა და
ვაფასებდით ერთმანეთს?

რთული საკითხია, ძნელი ამოსაცნობი.

მე თვითონ რაც საკუთარი თვალით მინახავს და განმიცდოჟავთ უკავშირს განვითარეთ მიზანით.



II

ბაიაზეთის მისადგომებთან გაცხარებული ბრძოლაა გაჩაღებული, პირველად ელებულობ მონაწილებას ომში თვრამეტი წლის ჭაბუკი.

არც წინასწარი მომზადება, არც საამისო გამოცდილება გამაჩნია, მაგრამ მებრძოლი ვარ და განკარგულების შესრულებას უნდა შევეწირო.

და ერთხელ დაგვევალა მახლობელი გორაკის დაზვერვა. უნდა შევიტყოთ რა ძალას ემყარება მოპირდაპირე, რა ტექნიკა აქვს, რა იარაღი, როგორმე ერთი მოენეც ჩავიგდოთ ხელში.

ხუთნი ვართ. ერთი უფროსია.

მივდივართ. ვეხამებით ადგილმდებარეობას. ვსარგებლობთ ლამას სიბნელით და მუხლამდე თოვლში მივაბიჯებთ.

შორს, მიღმა მოპირდაპირის სანგრებს ვამჩნევთ. აქა-იქ კვესივით ჩამოჰკავს რაღაცა და ნაპერწკალი სიბნელეს გაპევთს.

ფრთხილად! — გვანიშნებს უფროსი. — მივიდეთ, დავზვეროთ და გამოეკაროთ! — ჩურჩულით გვეუბნება იგი და მუცლით მიხოხავს.

ჩვენც უფროსს ვგაძაფთ, მივიწევთ წინ, მაგრამ...

წინააღმდეგობის გაწევაც ვეღარ მოვასწარით, ისე მოულოდნელად დაგვეუსხა მოპირდაპირის მცირე რაზმი და სხვის დასაზვერავად გასულები თვითვე მოვხვდით შემოჭრილ მზვერავთა ხელში.

-- ინაშ! — ამოგვიდგნენ აქეთ-იქიდან ასკერები და ხელებგაბაწრულები წაგვათრიეს.

ესეც შენი დაზვერვა!

რას გვიზამენ? როგორ მოგვექცევიან?

— დამუნჯდით, ენა ჩაიგდეთ, გაუძელით ყოველგვარ წამებას და ჩვენი ჩარების განლაგებისა და შეიარაღების შესახებ არაფერი წამოგცდეთ! — პირის აკვრამდე მოასწრო უფროსმა ჩვენი გაფრთხილება.

ძალას ყველაფერი შეუძლია. ეს ხუთი ახალგაზრდა მებრძოლი ისვგაგვკჲეს და წაგვათრიეს, რომ წინააღმდეგობის გაწევაც ვერ შევძელოთ.

ეს, ალბათ, წამების დასაწყისია. მთავარი იქ იქნება, სადაც მიგვიყვანენ, საღაც ჩვენი დაკითხვა იწარმოებს. ამის შიშით გული მიგვდის.

გადავვატარეს თოვლით დაფარული გორაკი, ჩაგვათრიყს ფერწერის
და ის იყო პატარა ნაკადულზე უნდა გადავეყვანეთ, რომ ამ დროს მოხდა
ის, რასაც არ მოველოდით.

— შესდექით! ხელები მაღლა! დაჰყარეთ იარალი! — და ორი ათეული-
საგან შემდგარი კაზაკთა რაზმეული გარს შემოერტყა ჩვენს დაბტყვე-
ვებლებს.

ახლა თურქებს შევუკარით ხელ-ფეხი, ზურგზე მოვიკიდეთ ტიკები-
ვით და წამოვათრიეთ.

სიფხიზლის გამოუჩენლობისათვის ჩვენ გვისაყვედურეს. კაზაკთა რა-
ზმეულს მაღლობა უთხრეს.

შალე დამთავრდა ამ ფრონტზე ჩემი ასპარეზობა. გამისროლია ური-
ცხვი ტყვია, მაგრამ მომიკლავს ვინშე? — არ დამინახავს. მოპირდაპირეს
მაინც ვამარცხებდით და უკან იხევდნენ.

ზა ერთ-ერთ ბრძოლაში მეც განვიცადე დამარცხება. გონს რომ
მოვედი, ღრმა ზურგში აღმოვჩნდი, ჰოსპიტალში სამკურნალოდ მოთავ-
სებული.

... ამშავი გრძელია ძალიან...

არ მთავრდებოდა მეფეების წამოწყებული ხოცვა-ულება და შეც ამ
მოვლენების მონაწილე გაგხდი.

III

სუსხიანი ზამთარი იდგა. გათოშილი იყო სუყველაფერი. არტაანში ვი-
დექიო. არც სროლა, არც დაზვერვა, არც შეტევისათვის მზადება არ გვა-
წუხებდა, მშვიდობიანად ვატარებდით დღეებს.

ბარაქიანი და მდიდარია არტაანის მხარე არნახული სიდიდისა და სი-
მსუქნის პირუტყვით, გაშლილი საძოვრებითა და სათიბებით. ხორცი,
რძისა და მაწვნის საბადოებში გვეგონა ჩვენი თავი.

მიუხედავად ასეთი სიმდიდრისა, მეტად ღარიბად ცხოვრობდნენ აღ-
გილობრივი მკვიდრნი: არ ჰქონდათ ტანისამოსი, აკლდათ პური, შაქარი,
მარილი. საყიდლად არვის უნდოდა რქე, გასავალი არ ჰქონდა-ყველსა და
ერბოს.

ქალაქი შუაზე იყო გაყოფილი. სამხრეთ-აღმოსავლეთი დაშნაკური
მთავრობის ხელში იყო, მოპირდაპირე მხარე მენშევიკურ ჯარებს ეკავა.

სასლვარი მტკვარზე გადებული ხიდი იყო. ერთ მხარეს მენშევიკური
ჯარის მესაზღვრე იდგა, მეორე მხარეს — სომხეთის ჯარისა. ჩვენ შორის
მიმოსვლა ჰეუზღუდველი იყო. კიდევ მეტი — ერთი ჩვენი ქვეგანაყო-
ფი იმათ ტერიტორიაზე მდებარე ყაზარმებში ბინადრობდა.

საღამოებსა და კონცერტებსაც შეერთებული ძალებით ვმარჯოთ
ერთ შენობაში. ქართულ-სომხური სიმღერები ყველას გვხიბლავდა.

სისრულეზე

იმურად ვცხოვრობდით...

გაშ რატომ იყო, რამდენიმე თვის წინ რომ ერთმანეთზე შივრუევდნენ
ხმლებშემართული? რატომ ეჭავრებოდა ქართველს სომები? რატომ სახ-
და სომებს ქართველი?

ასე და ამრიგად რომ ყოფილიყო, განა გაუძლებდნენ ისტორიის იმ
დიდ ქარიშხალს, რომელიც არა ერთხელ დასტეხია თავს ამ ორი ერის წი-
ნაპრებსა და შთამომავლობას?

ის ერთიანობა, მმობა და სიყვარული, რომელიც საუკუნეების განმავ-
ლობაში ყოფილა ამ ორ ერს შორის, მოულოდნელად დაირღვა და სულ
რაღაც ერთი თვის განმავლობაში ძმებმა, ერთმანეთს შესეულებმა, უმა-
რთებულოდ სისხლი დაღვარეს.

ეს ედო ცოდვა, ვინ იყო ბრალში?

ამის შესახებ მიუდგომელი მემატიანე იტყვის, პირადად მე კი დაძ-
ნაშავეებად მიმაჩნდა და მიმაჩნია ის ერთი მუჭა ადამიანები, რომლებიც
მუდამ სხვისი ნაშრომითა და ოფლით ივსებდნენ ბეღლებს, მოტყუებითა
და კაბიერებით ამხედრებდნენ ძმებს ერთმანეთზე და აგუზუზებულ კო-
ცოძე ხელებს ითბობდნენ.

ცუკნენ ასეთი სისხლის მდომელნი, მტრობისა და შურის მთესველნი.
იუნენ და, სამწუხაოოდ, არიან დღესაც. და იქნებიან მანამდე, სანამ ინ-
ტერნაციონალის წითელი დროშა მთელ ჩვენს პლანეტას არ მოეფინება
და ადამიანთა შეგნება ერთა შორის სიყვარულითა და ძმობით არ აივება...

მოსაწყენი მსჯელობა გამომივიდა. მე კი მინდოდა ორიოდე ეპიზოდი
მომეთხრო ჩემი გამოვლილი დღეებიდან...

კინვიანი ღამეა. გათენებამდე ცოტალა არის დარჩენილი. დასავლეთის
ქარი მოსძალებია მტკვრის გაყინულ სანაპიროებს. ჩვენს ქოხში თბილა,
თიხის კედლები არ უშვებენ ქარს და სიცივეს. სათბობად საჟუთარი სუნ-
თქვა და სითბო გვყოფნის. ორმოცამდე მებრძოლი ვართ ერთ ვიწრო
სადგომში.

მორივეს გარდა ყველას გვძინავს. იმასაც მოსძალებია თვლემზ, მავ-
რამ მოვალეობა არ იძლევს სიფხიზლის მოშვების უფლებას.

აյ მყოფთა გარდა ოთხი გუშაგი გარეთ დააყენეს სხვადასხვა აბიექ-
ტების დასაცავად. ორი იარაღის საწყობს დარაჯობს, ერთი ჩვენი ჩვე-
ნააყოფის კუთვნილ თავსაცავს, ერთი კი თავლასთან დგას და იქაურობას
მეთვალყურეობს. ძლიერი ყინვის გამო გუშაგები ორი საათის ნაცვლად
ყოველ საათში იცვლებიან. გათოშილი შემოდიან შენობაში და გაყინულ
სხეულს ცივი წყლით იზელენ.

— ოფთარ, კიდევ დაიჭირე ბიჭო? — შემოსვლისთანავე შესძახა მო-
რიგემ და პასუხს დაელოდა. ოფთარმა ოჩქერ მოიყვანა თავის საგუშაგოს-
თან დაქრიტილი შევლი და ახლაც ასეთი შემთხვევა გვგონია.

— ბავშვი?! — გაოცებისაგან წმოვიძახეთ ყველამ.

-- საგუშებით გაყინულია, ვუშველოთ რამე... მე საგუშავოზე გავბრუნდები. ვინმემ განზრახ ხომ არ მომიწყო ასეთი ოინი.. მიხედეთ პავშეს. — და კთოთ საგუშავოზე გავარდა.

ვინ არის, ვისია, ან სადაური, ამის შეკითხვის დრო არ არის. ბავშვი
ისეთ გაწითლებული ყინვისაგან, როგორც შემწვარი ვაშლი, ცოტა კიდევ
და დაილუპვება. იგი ლამაზია, დიღრონი შავი თვალები აქვს, ასეთივე შავი
თმა ბეჭებამდე სწვდება. გვიცქერის შეშინებული, გაჯვირვებული და ზე-
ლებს სასირცხვო იდგილას ითარებს.

სურაფად მივიღეთ საჭირო ზომები, დავზილეთ ცივი წყლით, შევამშრალეთ, შევხვივეთ ზეწარში და თბილ ლოგინში ჩავაწვინეთ.

ბავშვი ხმას არ იღებს. გვიცქერის და გვემორჩილება. ასრულებს ჩვენს უხმო მითითებას.

-- ვინ არის, ვისია, სადაური, აქ როგორ მოხვდა? — გვებალება კი-
თხვები, მაგრამ ბავშვის დამშვიდებას, გალვიძებასა და მომყვანის დაბრუ-
ნებას ველოდებით, რომ პასუხი მივიღოთ.

ოფთო რომ შეიცვალა და დაბრუნდა, შემდეგი გვიამბო:
საგუშაგოზე ყოფნისას მან რაღაც ცხოველი შენიშნა, თავლისაკენ პო-
მავალი. იარაღი მოიმარჯვა და დაელოდა. იგი მოდის ვათა და ვიშით, ჩხა-
ვილით. გუშაგი ამჩნევს, რომ ეს რაღაც ადამიანის მსგავსი სულიერია.
აქეთ-იქეთ ავლებს თვალებს, რამე ხრიყი არ იყოს, გუშაგის სიფხიზლის
მოსალუნებელი.

— ეი, ვინა ხარ? — შესძახა გუშაგმა, მაგრამ მომავალი არსება თოვლში ჩავარდა და ჩაიმალა. გუშაგი მივარდა დაავლო ხელი, ამოიყანა, რა რომ შენიშნა, ბავშვი იყო, ყველაფერი დაავიწყდა, თოფი მხარზე გადა-

იქიდა, ბავშვი ფარაჯაში შეახვია და საღომისაკენ გამოაქანა. ამით მან დაარღვია საგარნიზონო წესდება გუშაგის მოვალეობის შესახებ და მარტო ძლებოდა დასჭილებულ, მაგრამ მე, როგორც მე ქვევანაყოფის უფროსი, მარტო უკრუცჲები არ ჩავიდენდი და აბა სხვები რატომ ამიხირდებოდნენ? გამოიყენეთ

ბავშვი, დიდხანს ეძინა. ხშირად ამოიხერდა, შეირხეოდა, ამოიკვენე-სებდა, მაგრამ გვერდს არ იცვლიდა. ამასობაში ჩვენი გუნდის თერდს და-ვავალეთ ბავშვისათვის ტანსაცმელი გამოეკერა, ხოლო ერთმა მებრძოლ-მა პატარა ფეხსაცმელები შეუკერა ჭიხისაგან.

ახლა ველოდებოდით ბავშვის გამოლვიძებას და ვფიქრობდით იმაზე, თუ როგორ მოიქცეოდა.

ამასაც არ დაპვინებია: ბავშვმა ჯერ გაიზმორა, ხელები გაწვართა, შემდეგ ავალები გაახილა, შემოგვხედა. ერთხანს გაკვირვებული გვიპქირ-და, შემდეგ ატირდა, წამოვარდა და გაქცევა დააპირა, მაგრამ დედიშობი-ლა რომ აღმოჩნდა, შერცხვა, ხელები წინ დაითარა.

— ამან, ამან! — იყვირა მან და იატაკზე პირქვე დაემხო.

ჩვებთან ორი ახალციხელი ყმაწვილი მსახურობდა, ორივემ კარგად იცოდა თურქული და მოვიშველიეთ.

დამორცხვებულ გოგონას ჯერ ტანსაცმელი მივეცით, შემდეგ ზეშრეპი ჩამოვუფარეთ ირგვლივ, ვუთხარით ტანსაცმელი ჩაეცეა და გამოსული-ყო.

ასეც მოიქცა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენს წინ მშვენიერი გოგონა ილგა და გაოცებული თვალებით შემოგვყურებდა.

— ება შექვაბიშვილო, მოგვაშველე შენი თურქული! — ვუთხარი თუ-რქული ენის მცირება, ახალციხელ ჭაბუქს, — ჰქითხე ვინ არის, სადაუ-რია, საიდან მოხვდა აქ და რა ჭევია?

— მე გიულარ მქვია. — უპასუხა ბავშვმა. შემდეგ ბავშვური გულა-თილობით მოჰყვა, რომ მამა არ ახსოებს, იგი რუსებს მოკულავო ოშში. იქიდან დედას წამოუყვანია. ცხოვრობდნენ ოსმან დედესთან, გიულარის დედა უვლიდა მოხუც ისმანს და მის ოჯახს, სადილს უკეთებდა, ურეც-ხავდა, უკერავდა... მაგრამ მოკვდა გიულარის დედა.

— ვალლაი და ბილლაი მოკვდა... — დაიფიცა ბავშვმა. თვალებზე ხელები აიცარა და ატირდა.

შეგვებრალა. მოვეალერსეთ. შეკითხვებს მოვეშვით და საჭმელი მა-ვუტანეთ. პური სიამოვნებით ჭამა, მაწონსა და რძეზედაც არ უთქვამს უ-რი, მაგრამ კონსერვი რომ გავხსენით, იჭვით დახედა და თავი გაიქნია.

— ღორის იქნებაო, — ამბობს, — გვამცნო თარჯიმანმა. ელოდება ჩატარა კლიენტსაც.

იმ დღეს პატარა გოგონას ამბავი არ გაგვიმხელია. ჩვენი ბიზნესი ბრძოლის შედეგია ნარეთ არ გასულა, მაგრამ მეორე დღეს მთელმა ჩვენმა ნაწილმა იცოდა ნაპოვნი გოგონას ამბავი და მისი თავგადასავალი.

დვლის სიკვდილის შემდეგ მოხუცს რამდენიმე დღე შეუნახავს ობი-ლი ბავშვი, მერმე მობეზრებია, გაუხდია ტანსაცმელი (ფეხსაცმელი ხომ არასრდეს არ ღირსებია მის ფეხებს), გაუყვანია ამ ყინვაში გარეთ და მოშორებით მოსახვევში გაუშვია.

ბავშვის მონაცოლმა ყველას აგვიჩუყა გული. ყველა ჩვენგანი ცდი-ლობდა პატარასთან დაახლოების, უზიდავდა საჩუქრებს, ტკბილების გუნდის უფროსმა იმავე დღესვე ახალი კაბები შეაკერინა იმ დროს ქალაქ-ში გახოქმულ სომებს თერძს და გიულარს მოუტანა.

რახან საბრალო გოგონას ჩვენთან მოსვლა არგუნა ბეჭმა, ჩვენც შევე-ცადეთ ჩვენიანად გვექცია იგი. ვუთხარით, რომ ჩვენ ძმები ვართ მისი, მოკეთები, ნათესავები. ვასწავლეთ თითო-ოროლა ქართული სიტყვა: პუ-რი, წყალი, საჭმელი. ვუთხარით, რომ გვსურს ჩვენს დას ერქვას რაიმე კარგი სახელი და ჩამოვთვალეთ რამდენიმე. მან აირჩია სახელი ნინო. კარგი სახელი და ჩამოვთვალეთ რამდენიმე. რომ რამე მოუნდებოდა, გვეტყო-ყველაზე ადრე შეიყვარა სიტყვა „ძმა“. რომ რამე მოუნდებოდა, თუ თარჯიმანი ამ დროს აბლოს იყო, ადვილად ვუგებდით ერთმანეთს, თუ არა და გვახ-დებოდა მუნჯურად გასაუბრება.

შევეჩვიეთ პატარა ნინოს.

შეგვეჩვია პატარა გიულარიც.

შევიღვარეთ პატარა დობილი და მანაც შეგვიყვარა.

IV

გამოზაფხულდა. გალხვა ყინული. დადნა თოვლი. მტკვარი, რომელიც აქამდე ყინვისა და თოვლის ქვეშ იყო მოქცეული, გავებით ავარდა, აზვი-რთდა. ახლა გახდა გასაგები თუ რისთვის ყოფილა ის გრძელი და მაღალი ხიდი ზედ გადებული.

დაობა. მინდვრად გავშალეთ კარვები და შიგ დავბანაკდით. პატარა ნინო მშვენიერი გოგონა დადგა. ახლა იგი საკმაოდ შეეჩვია ჩვენს ჭარის-კაცულ ცხოვრებას, როცა ტყვიამფრქვევს გვასწავლიან და გვავარჯიშებენ, იგი ჩვენთან ზის და ბეჭითად აკვირდება ყველაფერს.

კარგად ჩატელ-დახურული გვყავს, ჩვენმა გუნდის უფროსმა სერჭა
აღამიამ მისთვის თბილისიდან ჩამოიტანა კარგად შეკერილი კაბებწ.
ჩვენი ტყვიამფრქვევის გუნდის პატარა დობილი გახდა თურქეთის უნიკატის გადასახლება
ასეთი ალსაზრდელები პირველად არ გვყავს. თბილისელი გრიგოლ გულა-
შვილი თოთხმეტი წლის იყო, ჩვენ რომ გვეშვილა, ტყვიამფრქვევი შეის-
წავლა და დღეს ამ იარაღის კარგ მცირდება ითვლება. ასე მოვიდნენ ჩვე-
ნთან ახალციხელი ბიჭუნები მექვაბიშვილი და მიმიკაშვილი. ორივე მარჯ-
ვი მსროლელია! თუმცა ომში ჩაბმა და სროლა მათ ჯერ არ მოსწევიათ.

ახლა ერთი გოგონაც შევიკედლეთ. შევიკედლეთ და შევიყვარეთ,
როგორც საუკუთარი და, ზოგმა კი როგორც შვილი (ამ დროს ჩვენთან იყ-
ვნენ კოლშვილიანი ვაჟკაცები, რომლებსაც პატარა ნინოს ტოლი შვილები
ოჯახში ჰყავდათ დატოვებული).

უკვე შეჩერებულსა და ქართულში მცირედ გაწაფულ ბავშვს ხშირად
ჩამოვუგდებდით ხოლმე საუბარს თავისიანების შესახებ, ვუხსნიდით იმ
განსხვავებას, რაც ჩვენსა და თურქებს შორის იყო, მაგრამ ვამჩნევდით,
რომ ასეთი საუბარი მას არ მოსწონდა.

— არა, გიაური, არა. — იტყოდა ამ დროს იგი და რომელიმე ჩვენგანს
ყელზე მოეხვეოდა.

ერთ დღეს ბანაკში სათამაშოდ გამოსული ბავშვი სადღაც გაქრა. შე-
მოვიარეთ ახლო-მახლო ადგილები, მაგრამ მისი კვალი ვერ ვიპოვნეთ. შე-
მდეგ შთელი ქალაქი დავზევრეთ, სომხეთის მხარესაც გადავედით, იქაური
მებრძოლებიც მოვიშველიეთ, მაგრამ უშედეგოდ. დაიკარგა ბავშვი. ამარად
ჩაგვიარა ამდენმა შრომამ.

მთელი ათასეული შეწუხდა. ჩვენი გუნდის შებრძოლები ხომ სულ
დამგლოვიარდნენ, ყველაზე უფრო მე და ჩვენი გუნდის უფროსს კაპიტან
ადამიას გვეწყინა. მას სურდა ნინო თბილისში წაეყვანა, ოჯახში იმისტოლა-
გოგონა ჰყავდა და მასთან ერთად აღეზარდა, მე კი... ვერ გეტყვით რა მქო-
ნდა გადაწყვეტილი... ორი და მაკლდა, ვფიქრობდი იმათ ადგილას დამესა-
პატარა ნინო, მაგრამ ოჯახური მდგომარეობა არ მიწყობდა ხელს. სასრუ-
პატარა ნინო, მაგრამ ოჯახური მდგომარეობა არ მიწყობდა ხელს. სა-
რჩენის გამოჩენა ხომ არ გაახარებდა უბედურს.

ვავიდა რამდენიმე დღე. აღარ ჩანს ჩვენი ნინო. შებრძოლები მაძე-
ბრებივით დაძვრებიან ახლომდებარე დასახლებულ ადგილებში და დაკა-
რგული ბავშვის კვალს ეძებენ...

და ერთ დღეს, როცა მეცადინეობიდან ვბრუნდებოდით, ვიღები და
იძახა „ნესტან-დარეგანი მოჰყავთო“ და ყველამ იქითკენ მივიზუაფაზული
პატარა ნინო მხარზე შესმული მოჰყავს მეცავშირე გუნდის ერთ-ერთ
მებრძოლს და მხიარულად მოაბიჭებს.

ნინო მხიარულია. სახე უღიმის, თვალებიდან კი ცრემლები ცვიდა.
ეტყობა, აქამდეც ბევრი უტირნია. თვალები ამოლურჩებული აქვს. ტანსა-
ცმელი გაუხდიათ და ძველმანები აცვია.

— ძმა, ძმა! — იყვირა მან, გამოიქცა, სათითაოდ ყველას მოგვეხვია
და მოგვესიყვარულა.

გავვეხარდა. დავმშვიდდით, მაგრამ ახლა გვაინტერესებს ვინ მოახერ-
ხა ბავშვის გატაცება, სად ჰყავდა დამწყვდეული, როგორ აღმოაჩინა მებ-
რძოლმა და, საერთოდ როგორ ჩატარდა ეს ოპერაცია.

ზალიკაშვილმა ყველაფერი გვიამბო.

მეცავშირე გუნდი საერთო მეცადინეობაზე იყო. მებრძოლები ვარ-
ჯიშობდნენ, გაჰყავდათ სატელეფონო, ხაზები, ხან ბოძე მიაბამდენ მავ-
თულს, ხან ხეზე. ზოგან სახლის სახურავებზედაც აღიოდნენ.

— და ერთი ქოხის სახურავზე რომ ავძვერი, — განაგრძო მებრძო-
ლმა, — ქვემოდან ბავშვის ტირილი მომესმა. იგი ტირილა და თან ქართუ-
ლად იძახდა: „ძმა მოდი! მიშველე ძმა!?!“ ეს სიტყვები საქმარისი იყო,
ჩვენი ნინო მეცნო..

მეცავშირე სწრაფად ჩამოხტა სახურავიდან და ქოხის კარს მიაბრა-
ხუნა. შიგნიდან უფრო გაძლიერებული ტირილი მოისმა, რასაც მიძალე-
ბულ ბრახუნზე ვიღაც მამაკაცის ხმა დაერთო



— გააღეთ კარი! — უბრძანებს მებრძოლი, მაგრამ მასპინძელი აღ-
გილიდან არ იძერის, კარი არ იღება. მაშინ მებრძოლი შელეწავს კარს და
რევოლვერმომარჯვებული შევარდება.

მოხუცი მასპინძელი შიშისაგან მუხლებზე დაეშვება, ხოლო პატარა
ნინო, რომელიც ბნელ კუთხეში იყო მიკრუნჩხული, წამოიჭრება, მოვარ-
დება მებრძოლთან, შესძახებს „მმაოს“ და კისერზე მოეხვევა.

— ისე გამოვატარე ამოდენა გზა, რომ კისერზე მოსალტული ხელები
არ შეუშვია. — დაამთავრა ჩვენი „ნესტან-დარეგანის“ გამომხსნელმა ნი-
ნოს პოვნის ამბავი.

შემდეგ უფრო დაწვრილებით გავიგეთ ყველაფერი.

მოხუც თურქს, რომელსაც იმ ღამეს შიშველი ბავშვი გარეთ გამოეგ-

დო, ვითომ დასასჯელად, შემდეგ დანანებოდა, გამოსულიყო, დაეწეო  ზნა, მაგრამ ვერ ეპოვნა და შეწუხებულიყო. მეზობლებში მოკეთხავა  მაგრამ აქაც ვერაფერი გაეგო საიმედო. ბოლოს ვიღაცას ეფუძნდა იმუნკა თი თურქი გოგონა გიაურებს ჰყავთ შეკედლებული და თავის რჩულზე ზრდიანო.

მოხუცი დაინტერესებულია. დაუწყია დაზვერვა ჩვენი ბანაკის ახლო-მახლო, მაღულად შემოპარულა ბანაკშიაც, როგორც მათხოვარი, რამდენიმე ნატეხი შაქარიც დაუტყუებია მებრძოლებისათვის და ამავე დროს დაკარგული ბავშვის კვალისათვისაც მიუგნია.

თურქი მოხუცი რელიგიური ფანატიზმით გაბრუებული რომ არ ყოფილიყო, გიულარის დაკარგვის გამო არ შეიწუხებდა თავს, არც მაშინ დაღონდებოდა იგი რომელიმე ერთმორწმუნე მაჰმადიანის ოჯახში რომ აღმოაეჩინა, მაგრამ გიაურებთან — ქრისტიანების ხელში მოხვედრილ თანამორწმუნეს თავისი აზრით ვითომ გამოესარჩლა და მოეშველა, მოიტაცა და წაიყვანა.

მოვიწადინეთ იმ მოხუცის დასჯა, მაგრამ ჩვენმა მღვდელმა დაგვიშალა. მორწმუნეს უფლება აქვს ასე მოიქცესო.

V

ზაფხულის უკანასკნელი თვე ახალ დამდგარი იყო, აბარგება რომ გვიპრძძანეს და ართვინისაკენ გაგვაგზავნეს.

მივდიოდით მშვიდად და აუჩქარებლად. მართალია, გზა ცუდა იყო, ზოგაც აღალს უჭირდა გავლა, მაგრამ მდებარეობა მეტად გვხიბლავდა თავისი სილამაზით. ვათვალიერებთ საქართველოს ამ უძველეს კუთხეს, რომელმაც მრავალ ისტორიულ უკუღმართობას გაუქდო და ვინ ეცის ერდევ რა მოელის, სანამ მყარსა და მშვიდობიან ცხოვრებას ეღირსებოდეს. ამჟამად იმპერიალისტური სახელმწიფოები ისე უღრენენ ერთმანეთს, რომ ძნელი საოქმელია, როდის მოხერხდება მათი მსუნავი გულის გაძლომა და დამშვიდება.

ერთ დღეს არტანუჯში დავისვენეთ. საინტერესო მდებარეობაა. კლდეებს შუა მომწყვდეული ჭოროხი შეკოჭილ ვეფხვივით ღრიალებს. ჩვენი ციხე-სიმავრეები ახლაც მტკიცედ დგანან წინაპრების მიერ ჩაყრილ ბალავერზე, თითქოს არც შეხებოდეს ბობოქარი დღეების მრისხანება.

ზემო იმერეთს მოგვაგონებს აქაური მდებარეობა: მაღლი მთა-გორა-
კები. დაფერდებული ჭალები, დიღრონი თხმელის ხეები, იზაჟული
ზით შეფუთული.

მცხოვრებლებიც გვანან იმერლებს, თუმცა უფრო ჯიგახური აქცე-
ტით ლაპარკობენ.

ის ღამეს მეფისდროინდელ ყაზარმაში გავათიეთ. ვერ ვუსაყვედუ-
რებთ რძდროინდელ მშენებლებს. ლამაზი და კარგი ყაზარმები აუგიათ.
ალბათ ესენიც გაუძლებენ საუკუნეებს:

მეორე დილით დავიძარით და ართვინში ჩავედით.

ჭოროხის ხეობაში ამაზე ულამაზესი ადგილი არ მოიძებნება. მაღალ
გორაკები გაშენებული ჭალაქი, ორ-სამ სართულიანი ქვის შენობებით, ბა-
ლებითა და ბალჩებით დამშვენებული მისადგომებით. მე არ შემხვედრია
ხილეულობით ასე მდიდარი და მსუყვე კუთხე. კაკლის უზარმაზარი ხეები,
მსხალი, ვაშლი, ნაირნაირი ქლიავი, ყურძენი, ზეთისხილი, ლელვი, თურა,
კერამი... ერთი სიტყვით, დედამიწაზე არ მოიპოება ისეთი ხილი, რომ აქ
არ ყავდეს ნათესავი და მემკვიდრე.

დავდანაკდით ჭალაქში, ჩვენი გუნდი მოთავსდა ერთი სომხის საჩისარ-
თულიანი სახლის მესამე სართულზე. შესანიშნავი შენობაა, მაღალი ჭერი,
განიერი დარბაზები და დიდი ფანჯრები ამშვენებს.

როგორც ეტყობა, თურქებს ვერ მოუსწრიათ ამ ჭალაქის აოხრება და
განადგურება. მაინცდამაინც მოსახლეობაც არ შეუვიწროვებიათ ისე სა-
შინლად, როგორც ამას ევფრატის ნაპირებთან დასახლებული სომხების
სოფლებში ვხედავდით.

ჩვენი ნინო უკვე პატარა აღარაა. სწრაფად აუშვა ტანი. ისე შეისწავ-
ლა ჭართული ენა, რომ თურქულის მოუშველებლად ლაპარაკობს. შემო-
დვომაზე ვაპირებო ბათუმში წასვლას და იქიდან ადვილად მოვახერხებ ამ
ბავშვის სოფელში წაყვანას. მანამდე აქ უნდა მოვუძებნო თანატოლები,
ან რომელიმე ოჯახში გადავიყვანო ღამის გასათევად და ბავშვებში
გასართობად.

რასაც ვფიქრობდი სწორედ ამიხდა: ჩვენი საცხოვრებელი სახლის
მახლობლად სკოლის შენობა იყო. მართალია, ამეამად აქ ბავშვთა ურია-
მული არ ისმოდა, მაგრამ ზოგიერთ მასწავლებელს არ უცდია არდადეგი-
ბის დამთავრებისათვის და ახალი სასწავლო წლის სამზადისს ადრე შეს-
დგომია.

მე ერთი თურქი მასწავლებელი გავიცანი. იგი თურქულ ენას ასწავ-
ლიდა. რუსული კარგად იცოდა და საბჭოთა ხელისუფლებასაც უაღვია-
ნობდა.

ერთხელ მას მეუღლესთან ერთად შევხვდი: ქალი ევროპულად ჩატარებულ
დახურული იყო, რუსული არ იცოდა, მაგრამ თურქულ და ფრანგულ ენ-
ებს შესანიშნავად ფლობდა, იმავე სკოლაში ფრანგულ ენას ასწავლიდა.

გაიგეს, რომ მე და მახლავს, და მთხოვეს ერთხელ მასთან ერთად
ვსტუმრებოდი ოჯახში და იგი მათი ქალ-ვაჟისათვის გამეცნო.

ასეც მოვიქეცი. ერთ დღეს წავიყვანე ჩვენი ნინო და თურქ მასწავლე-
ბელს ოჯახში ვესტუმრე. ნინო სასტიკად გავაფრთხილე, რომ იმ თავასში
თურქული სიტყვა არ დასცდენოდა. შეკითხვაზე ღუმილით ეპასუხნა, ან
ქართულად.

მივედით. მიგვიღეს კარგად. საუცხოვოდ მორთულ დარბაზში შევი-
ყვანეს. ბავშვები გაგვაცნეს. ლამაზი ქალ-ვაჟი ყავდათ. ვაჟი ნინოს თანა-
ტოლი იყო, გოგონა კი უმცროსი.

ჩვენ საუბარს შევექეცით. ნინო გვერდით მიზის. თავს იჭერს მასპინძ-
ელ ბავშვებთან დაახლოვებისაგან. ისინი კი დიდი ინტერესით მოსჩერებიან
და მის ალაპარაკებას ელოდებიან, მაგრამ ამაოდ, ნინო ასრულებს ჩემს
დარიგებას. თუმცა, ვატყობ, როგორ ეცვლება ფერი როცა ცოლ-ქმარი
ჩემს შესახებ ერთმანეთს თურქულად გაელაპარაკებიან. ამ დროს იგი
შემომხედავს. ხან მეტად მხიარული და კმაყოფილი, ხან შეწუხებული და
მოწყენილი. ალბათ ისეთ რამეს ლაპარაკობენ ჩვენზე თურქულად.

მეტწილად მე და თურქი მასწავლებელი ვლაპარაკობთ რუსულად.
ჩვენს ნათქვამს კი შემდეგ ქმარი მეუღლეს უთარეგმნის, იგიც მოიწადინებს
გამაგებინოს თავისი აზრი, ხან თურქულად მეტყვის რაღაცას, ხან ფრან-
გულად, მაგრამ ჩემთვის ერთნაირად გაუგებარია ორივე.

მოსამსახურებ ხილი და კონიაკი შემოიტანა, ნინოს კამფეტები და
ტკბილი სასმელი მიუტანეს.

შევექეცით საუბარს, სმას, ჭამას. ჩემი ნინოც გაერთო ბავშვებში.
იმათ თურქულზე ეს ქართულად პასუხობს, მაგრამ ბოლოს ვეღარ იპოვა
ქართული საპასუხო სიტყვა და... უმტყუნა პირობას, ბავშვებს თურქუ-
ლად გაელაპარაკა. გააოცა მასპინძელი ბავშვები, გაახარა, მაგრამ უც-
რად მოაგონდა ჩემი გაფრთხილება და შეკრთა, შეწუხდა. შემომხედა, სა-
ხეზე ხელები აიფარა და ატირდა.

მასპინძლები ბავშვის საქციელმა გააკვირვა. მე კი მივხვდი რა/ აზი-
რებდა ჩემს პატარა დობილს, ხელი მოვცვიე, მოვეცერე და გავულიშვ.

— არა, მეტი არ ვიტყვი. არ ვიტყვი მეტის. — გულში ჩატარებული-
შვი. — ძმაო არ ვიტყვი მეტი — და ცრემლებად დაიღვარა.

მასპინძლები ამ ამბავმა უფრო დაანტერესა.

ალბათ. სხვანაირადაც შეიძლებოდა მოვქცეულიყავი, სხვა რამე მომე-
გონა, მაგრამ გადავწყვიტე, საიდუმლოება გამემხილა.

როცა ჩემი ნათქვამი ქმარმა ცოლს უთარგმნა, ქალი ატირდა, წამოხ-
ტა, მოვიდა ჩემთან და...

— გიაურ ნეტუ, ნეტუ გიაურ, — და ისე მომეხვია, როგორც ნათე-
სავს მოეხვევიან ხოლმე მაჰმადიანი ქალები.

* * *

მას ზემდეგ მე და ნინო ხშირი სტუმარი გავხდით ამ ოჯახისა. თუ
ჩვენ ამ მივიდოდით, ბავშვები მოგვაჭითხვადნენ. მიყავდათ ნინო და მას-
თან მოელი დღე თამაშობდნენ. ბოლოს ისე შევეჩვიეთ ერთმანეთს, რომ
ნინოს ღაძის გასათვადაც იმ ოჯახში ვტოვებდი.

იმ საღამოსაც ასე მოხდა:

საზღვარზე მომხდარ რაღაც შემთხვევის გამო აუცილებელი გახდა
ჩვენი გუნდის გაგზავნა. სხვა გამოსავალი არ მქონდა, ბავშვი იმ თურქი
მასწავლებლების ოჯახში უნდა დამეტოვებინა. სიამოვნებით მომცეს თან-
ხმობა. სახარჯოს მიცემას ვაპირებდი, მაგრამ სასტიკი საყვედური მიოხ-
რეს.

საღამო ხანი იყო. ნინოს მასპინძლის ბავშვებთან ერთად ეძინა. მივედი,
გულში არ მომითმინა და ვაკოცე. გაიღვიძა, თვალები გაახილა.

— რა იყო ძმა? — წამოიწია, მაგრამ ადგომა არ დავანებე.

— ნინო, მე ხვალ ვერ გნახავ, აქ არ ვიქნები. შენ ითამაშე ბავშვებ-
თან, იმზიარულე, არ დამიღონდე. მალე მოვალ.

— არ მინდა! — წამოხტა ლოგინიდან ბავშვი. — ძმა, წამოვალ შენ-
თან. შენთან მინდა ძმავ. — ატირდა.


არ ვიცოდი ისე მშვიდობიანად თუ დამთავრდებოდა საზღვარზე მო-
მხდარი კონფლიქტი, თორემ თან წავიყვანდი.

მასპინძლები მომეშველნენ. ბავშვებიც დამეხმარნენ და ნინო დაიწინა
მეს. მაგრამ გამოთხოვებისას რომ მომეხვია და ჩამექრა, ცრემლები მუდან
შევიქავე. იგიც ატირდა.

საერთაშორისო მდგომარეობის გართულებამ და არევ-დარევამ მე აღ-
არ მომტკა საშუალება დავბრუნებულიყავი, მენახა ჩემი პატარა გიულარი-
ნინო და გულში ჩავკროდი.

გავიღნენ დღეები, თვეები, წლები, აგერ ორმოცდაათს გადასცილდა,
მაგრამ ჩემი გულიდან დღემდეც არ ამოლეულა იმ ნაღვლიან დღეთა ხსო-
ვნა და მოგონება.

თუ იმ დღეების ქარაშოტს გაუძლო და საღმე ცხოვრობს ჩემი დობი-
ლი თურქი გიულარი, ჩემი ნინო, აღბათ მასაც აგონდება ეს შემთხვევა და
ახსოვს ქართული სიტყვა „ძმა“.



9
// 625

მ უ ს ა

შენ ჩემი ლექსი რად გინდა,
ანდა სიტყვების წყალობა,
შენი ტოტების საფერი
ჩიტმაც ვერა სოქვას გალობა.
წინაპრის ხატო წმინდაო,
ქერპო წინაპრის სიკერპის,
ჭართველმა ვით არ ვიმღერო
ამბავი შენი სიკეთის!
ღვივოდა ჩემი კერიაც,
წინწყალი დიდი სიკერპის,
მუხავ, გშვავდი და ვთბებოდი
ნაცვლად იმ შენი სიკეთის..
ხან ტანზე მუმლი გეხვია
და გიბმებოდა ლაფანი.
ლოცვით გშველოდნენ, იარებს
გიხვევლნენ მამა-პაპანი,
რომ სანუგეშოდ მდგარიყავ
მზის და სიმღერის მაყარი,
და წვრილმუხები გეზარდა
ფესვეზზე ამონაყარი.

რომ ჩემთვის სულიც მოგეცა
ფუძედ, ჭერად თუ ბოძებად.
მუხავ, მემლექეთს ეყოფა
ქებად და გასაოცებლად.
გადვურჩი სიკვდილს მარადის
მაგ შენი გადარჩენითა
და თუ ვარ ისევ შენით ვარ,
თუ ვმღერი, ისევ შენითა.
შენს ტოტზე ვგალობ, ჩიტი ვარ,
შენს კვირტებს ვეჭიჭიაბი,
მუხავ, ნუ დამომობ კვლავაცა,
მუხავ, ხომ ერთად ვიქნებით?
ან თუ დამჭირდეს კირთება,
გაცოცხლდნენ ძველი მითები,
სხვა ხეს არ ვირჩევ, აქავე
შენს ტოტზე დავეკიღები.
ქარი დაპკრავს და ბუმბულად
გამეშლებიან ფოთლები,
ხელს გადავუსვამ შენს ფესვებს
და დამშვიდებით მოვკვდები.

მ რ თ ი ო ხ ე თ ი 0...

ერთი ისეთი დილა გათენდეს,
მაინც სხვა იყოს ის გათენება:
მწუხარე კორდებს,
ბინდში რომ თვლემდნენ,
მკერდი მობანოს მზის შაღრევნებმა
და რაც ცრემლია, ერთად შეჰყაროს,
აახასხასოს მოლზე მძივებად,
რომ იზეიმოს მთელმა სამყარომ
ძმობის, სიკეთის აღორძინება.

რომ არ მოაკლდეს გზება, ნათელი
გზებს, რასაც ერთხელ გულით მივენდეთ
და სიყვარულის წმინდა სახელი
კარიდან კარად თესდეს იმედებს;
რომ სასიცოცხლო ფრთხების შრიალით
გულში მღეროდეს თეთრი აპრილი,
სიტყვა ფრთიანი,
სიტყვა ფხიანი,
ნამუსიანი და პირდაპირი.

ჰყეაოდეს გზები,
გზები ესოდენ
მზით და სინათლით დაფერილები,
სიკეთის მტრები ბოლმით კვნესოდნენ
სამარადისოდ გათელილები.

გაღიმებული სხივების ჩქერი
გულში იკრავდეს მიწას ვნებიანს,
ნურც შეხებოდეს სატანას ხელი
მას, რაც სიყვარულს უშენებია!



ჯემარ ხოზისი

ჭადუბები

მატარებელი მიჰქრის. ვდგავარ ვაგონის გამოლებულ კარებთან და გავცემო ნაცნობ მიდამოს. დილაა, შემოდგომის ბარჩხალა დილა. ფერ-დობებზე შეფენილი ოდების, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების გა-დავლით, ხევ-ხევ მიიპარებიან თეთრი ნისლები. მატარებელი თანდა-თანბით უკლებს სიჩქარეს, ხერდება და ჩავდივარ. ერთხანს ბაქანზე ვდგავარ და ვისვენებ. ნელა მელამუნება სახეზე დილის გრილი, მაცო-ცხლებელი ნიავი. ვიღებ ხელში მსუბუქ ჩემოდანს და მიუჟყვები გზას. დილი მოძრაობაა, წამდაუწუმ მიმოჰქრიან დატვირთული ავტომანქანები, ზანტად დგება მტვერი და მერე ისევ ზანტად, ზოზინით უბრუნდება გზას. გზის ორივე მხარეს სიმწვანეში ჩაფლულან ოდები, ჩიბრუხივით აბოლებენ კვამლს სამზადი სახლები. მთის კორტოხზე იწვერება მზის მრგვალი დისკო და ოქროსფერი სხივები ესალმება ყველასა და ყველა-ფერს. ძვირფასი თვალივით ბრჭყვიალებს ბალაზე შერჩენილი ნაში. გზა-ზე გათელილი ჩალის ღეროები და ღორების ნაღრჯენი ნაკორტალები ყრია.

გავდივარ სოფლის ცენტრში. ჩემს სოფლამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა, აქ შეიძლება ავტობუსს დაველოდო, რომელიც ჩემს სოფელში გაივლის. მაგრამ არა, რა მეჩქარება, გავუყვები ნელ-ნელა. ორი წელია აქეთ არ ვყოფილვარ. ყველაფერი ენატრება თვალს... მიტოვებულსა ჰგავს სოფელი, არსად კაცის ჭაჭანება არაა, ვის სცალია ახლა სახლში დასახლომად, ყველა სამუშაოზეა, სამუშაო კი, მოგეცა სიკეთე, იმდენია, რომ...

ურმის ჭრიალი მესმის. აღარ მეგონა, თუ კიდევ დავინახავდი ურემს. ვჩერდები და უკან ვიხედები, მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი, წელში ოდნავ

მოხრილი, ულვაშებშეჭალავებული კაცი დინჯად მიუყვება ვერზით
სიმინდის ტაროებით დატვირთულ ურემს, თეთრი ტილოს ბლუზა ,
თავზე ასეთივე ფერის განიერფართლებიანი ქუდი ხურავს, ხუმურაულო-
წეულის ჭოხი უპირავს... მონოტონურად კრიალებს ურმის ჰიჭკუშებულ
ლერძი, დინჯად, გამოზომილად ადგამენ ნაბიჯებს ჩალისფერი ხარები და
ზანტად იგრიებენ ფუნჯისებრი კუდებით შემოდგომის აბზარ ბუზებს.

მეურმე წყნარად ლილინებს რომელილაც ამოჩემებულ მელოდიას, ბ-
ნდახან შეჩერდება, ხარებს შემოუძახებს, ჭოხს უცხუნებს და ისევ გა-
ნაგრძობს ღილინს. ხარები კი ყურადღებას არ აქცივენ სიმღერის იშტა-
ზე მოსულ მეურმეს, დინჯად იცოხებიან და შავ დრუნჩზე ეღვრებათ
ბალახისფერი ლორწი.

შეხედვისთანავე ვიცანი მეურმე. იგი გერონტია, გერონტი ბიძია, ჩუ-
მი კარის მეზობელი, ჩემი ტკბილი გერონტი ბიძია.

გერონტი მისწორდება, შუბლზე ხელისაფარებით აღწევს თვას თვა-
ლებში ჩავიატებულ მზეს და დაშტერებით მაცევრდება.

— დილა მშვიდობისა... მერაბია ხარ ბიძია შეენ?

— გახლავართ ზვიადაური... — ვამბობ სიცილით.

— კინაღამ ვერ გიცანი ბიძია. — ხელებს შლის და ერთმანეთს
ვეხვევით.

— როგორ არიან? — ვეკითხები წყნარად.

— თქვენების ამბავი მე შემეკითხე, ხო. — განვებისად იკრავს
შუბლს გერონტი, მერე ისევ ეხსნება გარმონივით დაკეცილი ნაოჭები, ხე-
ლისგულით იფხანს დიდ, კეხიან ცხვირს. — რა უჭირთ, ბიძია, ქვე უდგა-
ნან სული ჯერჯერობით... გაველურდი, მოკლედ... გაგიწყრა ღმერთი, არ
მეცალა თვარა, ჩამოვირდენდი ქალაქში და აგახევდი მაგ პარაშუტივით
ყურებს.

მელიმება...

— გეიცინე, ხო გეიცინე. იმის მაგიერ, რომ თავი დამნაშავედ იგრძ-
ნოს, იცინის ბატონენაცი.

— მართალი ხარ გერონტი ბიძია, მართალი, — ვეუბნები მე.

— მაი ქე ვიცი რომ მართალი ვარ, მე იგი მწყინს, რომ შენ არა
ხარ მართალი.

მერე კარგა ხანს დუმს გერონტი და უსიტყვოდ, სიყვარულით მათვა-
ლიერებს — ხარბად, მონატრებული თვალებით მათვალიერებს... ვინ
იცის, რომ მისი თაფლისფერი თვალები, ოდნავ დანაოჭებული, მზემოკ-
დებული სახე, აბურძვნილი წარბები, თამბაქოს კვამლისაგან გაყვითლე-
ბული, ჭალარაშეპარებული ქერა ულვაშები ესოდენ ნაცნობია, ძვირფასია,
და ახლობელი ჩემთვის. ეს მხოლოდ მე ვიცი.



კარის მეზობლები ვართ მე და გერონტი. ჩვენი ეზოები უჭირეს უცხადები ეკვრიან და საზღვარზე უბრალო ღობეც კი არ არის გავლებული მეზობლები, როგორიც ჩვენა ვართ, არ საჭიროებენ ღობესა და საზღვარს. ბარაქიანი, ხვავრიელი ოჯახი აქვს გერონტის. შვილები წამოესწრნენ, ოთხი შვილი ჰყავს — ორი ვაჟი და ორი ქალი. მისი უმცროსი ქალიშვილი ქეთი და მე ერთად ვსწავლობდით, ერთად დავამთავრეთ სამუალო სკოლა. ახლა ქეთი სოფლისაბჭოს დეპუტატია და სოფლის გამოჩენილი მეჩაიე, მეჩაიეთა კომკავშირული ბრიგადის ბრიგადირი. მორცხვი, მოკრძალებული გოგოა ქეთი, წყნარი, სულდათქმული. ლურჯი, მთის ტბასუვით ლურჯი, მოლივლივე თვალები აქვს ქეთის. სელის ყვავილს მაგონებს მისი თვალები. ორი წელია არ მინახავს ქეთი და ვინ მოსთვლის რამდენჯერ დამსიზმრებია იგი ამ ხნის განმავლობაში. ფრთხილად, ფეხაკრეფით მოდიოდა ჩემთან ქეთი, აფახულებდა დიდრონ წამწამებს და მომაცყრობდა თვინიერ მზერას. მიყურებდა დინგად. სიყვარული და ჩუმი სევდა იდგა მის თვალებში. ჩვენ ვისხედით და ვდრუმდით. დიდი სათქმელის დუმილი იყო ეს. მერე შეხედავდა ქეთი კედლის საათს, აღგებოდა, ისევ დააფახულებდა გრძელ წამწამებს და ფრთხილად, ფეხაკრეფით მიდიოდა... მეღვიძებოდა და აღარსად იყო ქეთი, იყო მხოლოდ ქეთის აჩრდალი და ყოველი კედლიდან, ყოველი კუნტულიდან მიყურებდა ქეთის თვალები, სელის ყვავილი და... აფახულებდა ქეთის აჩრდილი გრძელ წამწამებს.

ჭრიალით მიუყვება ურემი გზას. უხმოდ მივყებით ურემს. ისევ გერონტი არღვევს დუმილს:

- რამდენ ხანს დარჩები, ბიძია?
- შვებულება მაქვს.
- კაია ბიძია, ქე დარჩები აბა ერთ ოც დღეს.
- მეტსაც, გერონტი ბიძია.
- მაი თლათ გაკეთება იქნება, — ამბობს, იღიმება და იგრეხს გრძელ ულვაშებს.

გზა მშვილდივით იხრება და მალლა-მალლა მიიწევს. აღმართში ხვენეშით ააქვთ ხარებს ურემი და მერე თავდაღმართზე ეშვებიან... შორს ძველი წისქვილი გამოჩნდა. მზის სხივებზე ვერცხლისწყალივით ბრწყინვავს და-კლაკნილი მდინარე. წისქვილს უზარმაზარი ხეებით გადმობურული

კოდმე გადმომხობია თავზე. აქ ვერასოდეს აღწევს მზის სხივი და მზის სხივი



ტომაც ყინულივით ცივია წყალი.

— შევისვენოთ ცოტა, — ამბობს გერონტი და წისქვილის უწყვეტობის უწყვეტობის მირა აჩერებს ურემს.

ურემს წინსაღვარი შეუყენა, ხარებს წყალი დაალევინა და ბებერი კაჭლის ხის ძირას ჩამოჭდა ქვაზე.

დაყრუებული წისქვილის ლოდებით ნაგებ, ჩაშვებულ კედლებს შეგზნებია ხაესი და სურო. შენდობასავით დგას მშრალი ბორბალი და ექმანება მეწისქვილის ღილინს სარეკელას მხიარული რაკრაკი და ღარში გაშვებული წყლის შხეული.

ამ წისქვილში თურმე ერთი ბერიკაცი მუშაობდა მეწისქვილედ — წელში მოხრილი, თეთრი და წარბებგაფქვილული. უთვისტომო იყო ბერიკაცი. ერთადერთი შვილიშვილი ჰყოლია და ისიც ფრონტზე გაუცილებია. იჯა თურმე გამოცარილებული წისქვილის წინ და ელოდა საფქვავსა და შვილიშვილის წერილს. არც წერილი ჩანდა და არც საფქვავი. უსაზღვრო იყო წისქვილისა და ბერიკაცის ლოდინი. მიიზლაზნებოდნენ ერთფეროვანი საათები და დღეები, კვირეები და თვეები. საფქვავს იშვიათად თუ მოიტანდა ვინმე, ისიც ცოტას, ძალიან ცოტას და რცხვენოდა ბებერ მეწისქვილეს მინდის აღება. ბერიკაცი კი მინდით ცხოვრობდა და გამუდმებით სტანგავდა მოძალებული გრძნობა. შიმშილისა, რომელიც მშეირ თავვითი წრიალებდა ცარიელ გვამში. ღამლამობით მგლის სიზმრებით ეძინა მეწისქვილეს და კეციდან ახალარეკილ მჭადს ხედავდა. ყოვლის მომცველი იყო ეს მირაჟი. მერე სიკვდილის მოახლოვება იგრძნობერიკაცის დაღლილმა სხეულმა და მორღვეულმა სულმა. ძალაგამოლეული, აკანკალებული ხელებით გამობერტყა ქვებს შორის დარჩენილი ხრილი, შეაგროვა ერთმანეთში არეული ხორბლის, სიმინდის, ქერისა და პევის ნაფქვავი. სახელდახელოდ მოხარშა და უკანასკნელად გამოძალივს მიფორთხდა სათავესთან, აუშვა ღარი და ყური მიუგდო ქვის ხრილს. მერე ჩასთვლიმა და ეზმანა ფქვილის ტომრებით სავსე წისქვილი. ეს იყო ბებერი მეწისქვილის უკანასკნელი სიზმარი.

სამი დღის შემდეგ იგი მკვდარი ნახეს საწოლზე პირქვედამხობილი. უსაფქვავო წისქვილი კი მუშაობდა და მუშაობდა.

გერონტიმ თვალი შეავლო დაღუმებულ წისქვილს და თავის შეფხნით თქვა:

— როცა ბერიკაცი დაასაფლავეს, წისქვილში, დახეულფარდაგუდაფარებული ზანდუკი გახსნეს თურმე. იგი სიმინდით ყოფილა სავსე. მერე ამბობდნენ, შვილიშვილს უნახავდათ.

ვდგები, წისქვილთან მივდივარ და კარებს ვალებ. წისქვილში სისტემა და დგას ნესტის სუნი... მირაჟი იყო თუ რა, არ ვიცი, წამხო ვაიღლეს სიბნელეში ცივმა, გადმოკარგლულმა თვალებმა და ტახტები მარტინ და გაბმული ოხვრა ჩამესმა თითქოს...

გამოვიხურე წისქვილის კარი და გერონტის მივუჭექი გვერდში.

— დარჩები აბა ერთხანს? — მეკიოხება იგი კარგახნის შემდეგ.

— დავრჩები ბიძია, დავრჩები...

— კაი ბიძია, კაი.

* * *

მახსოვს: ყოველ საღამოს, სამუშაოდან დაბრუნებული გერონტი ჯერ სახლში შეივლიდა, ტანსაცმელს გამოიცელიდა, მერე ჩვენთან ვადმოვიდოდა, გვერდით მიუჭდებოდა ბაბუას და საუბარს გაუბამდა. ბაბუაჩემს ისე უხაროდა მისი დანახვა, თითქოს შვილები დაბრუნებოდეს ომიდან.

გერონტი და მამაჩემი ყრმბის მეგობრები ყოფილან, ერთად დაუტავრებიათ სკოლა და ერთად წასულან ომში, ერთად უბრძოლიათ და მერე მარტო გერონტი დაბრუნდა სახლში. მარტო მამა როდი დაკლდა ჩვენს ოჯახს. იმ დიდ ომში ხუთი ვაჟი და ორი ქალი გაზიავნა ბაბუამ და არცერთი არ დაბრუნებია მშობლიურ ფუძეს. არავინ იცის, სად მარტია ისინი.

ვზივარ გერონტის გვერდით, შევცერი მას და გონებაში ცოცხლდა ბინან წარსული სურათები: უზის გერონტი ბიძია გვერდით ბაბუას და დანჯად ებაასება.

ბებია და დეიდა მარიამი კი განმარტოებით საუბრობენ და ხანდახან ყურს უგდებენ მამაკაცებს. მარიამი ქეთის დედა და მე შემიძლია წარმოვიდგინონ ასაკში შესული ჩემი ქეთი, — იგი უსათუოდ დედას დაემსვავსება. გულალალი, კეთილი და უპატიოსნენსი ქალია მარიამი, ოჯახისა და ქმარ-შვილის მოყვარული.

ბაბუასა და გერონტის საუბარი ყოველთვის სახელდახელო ვახშით მთავრდება. სასოებით იღებს ხელში ღვინით სავსე ჭიქას გერონტი, ჯერ სინათლეზე გახედავს, მერე პირველი სადღეგრძელოთი მშვიდობას დალოცავს და სვამს დინჯად, აუჩქარებლად. მეორე ჭიქით ომში დაღუპულებს მოიხსენიებს. ბაბუას ადრე ეკიდება ღვინო. ოთხ ჭიქას რომ დალევს, დანაოჭებული ლოყები წამოუწითლდება და ჭიქარზე მომდგარ ძმარაცივით ესტუმრება ცრემლი, ომში დაღუპული შვილები ახსენდება...

გერონტი ახველებს და ფიქრიდან გამოვყავარ.

— გერონტი ბიძია, მამა გახსოვს?

— მამაშენი ბიძია? ჰე, მამაშენს რა დამავიწყებს! — თაგე ხელის დიდხანს დასცერის მიწას ჩაფიქრებული. — ღმერთმა აცხონეთქენ ანათლოს მისი სული, კაი კაძახი იყო, კაი.

— შენ იცი სად მარხია იგი?

— მე?.. მე არ ვიცი ბიძია... სად მოკლეს, იგი ქე ვიცი.

— სად, სად, ბიძია?

— პოლონეთში, ერთ მიყრუებულ სოფელში. იმ სოფლის სახელი არ მახსოვს ახლა.

— როგორ, გერონტი ბიძია? — ვკითხულობ ათრთოლებული ხმით.

— როგორ ჩემო ბიძია და... — ჯიბიდან ტყავის ქისას იღებს, დიდხანს ახვევს თამბაქოს გაზეთის ქალალდში.

სიგარეტს ვაწვდი.

— ეს მოსწიე გერონტი ბიძია, რატომ წვალობ?

— ვწვალობ? ჰე, ჰე! მაი არ მინდა, ვერ შევეჩვიე მაგას, ჩემით რომ გავახვევ ის მიზჩენია, შენ კი წვალობო, ჰე, ჰე! — უკიდებს, დიდხანს აბოლებს. ნისლში გახვეულ მთასავით იბურება ბოლში. — როგორ იყო ჩემო ბიძია და...

და იწყებს გერონტი მამაჩემის ამბავს, მიყვება და სულგანაბული ვუ-სმენ. გერონტი კი განაგრძობს წყნარად და ვგრძნობ, ვხვდები, რომ სა-ცაა უნდა დაიკაյანოს ავტომატმა, რომელმაც მამა უნდა დაცხრილოს.

— ერთხელ დაზევერვაზე გაგზავნეს ორნი — მამაშენი და ტანია. ტა-ნია ერთადერთი ქალი იყო ჩვენს ბატალიონში. მთელმა ბატალიონმა იცოდა რომ ტანიას მამაშენი უყვარდა. უყვარდა ჩუმალ, გაუმხელად. ყველამ იცოდა ეს მამაშენის გარდა. პოდა, წავიდნენ ორნი დაზევერვაზე... არცერთი არ დაბრუნებულა უკან... როცა ერთი კვირის შემდეგ სოფელი ავიღოთ, სოფლელებმა გვითხრეს: გერმანელთა ოცეულმა ერთ თავლაში ალყა შემოარტყა თქვენს ორ ჯარისკაცს, ქალსა და კაცს. თავლიდახ დი-დხანს ისმოდა სროლა, მერე კი გერმანელებმა აიღესო იგი.

მე უკვე ალარ ვუსმენ გერონტის, მე უკვე ვიცი რა იქნებოდა შემ-დეგ, მე ვიცი...

* * *

თავლა სოფლის ბოლოში იდგა ტყის მახლობლად, ისლის სახურავი და სქელი კედლები, ფანჯრის აღგილას საქმიოდ მოხრდილი ოთხეუთხე-დი ხვრელი ჰქონდა. თენდებოდა, როცა თავლას მიუახლოვდნენ.

ქალმა ხელის ზურგით მოიწმინდა ოფლით დაცვარული შუბლი და ძლიერსგასაგონად თქვა:

— დავიღლალე, მეტი აღარ შემიძლია, დავისვენოთ ცოტა.

მაა შეუყომანდა, მან იცოდა, რომ სახიფათო იყო ახლა შესვენება, თანაც ბატალიონი ცნობას ელოდა, მაგრამ ისიც იცოდა — უკიდურესობა თვითონაც დაიღალა და თქვა:

— დავისვენოთ, ტანია!

გორავი ალიეს და თავლის კარი შეაღო მამამ. თავლაში დაჩეჩქვილი ცელი თვა ეყარა და ცხენის ოფლის მძიმე სუნი იდგა. ბაგაზე ერთაღ-ერთი ცხენი ება, ბებერი, ნაღვლიანი, ფერდებჩავარდნილი. ხმაურზე პა-იხედა, ზანტად შეავლო თვალი შემოსულებს და ისევ ჩაჰკიდა თავი მგლოვიარესავით.

მამამ თავლა მოათვალიერა, ქალის გვერდით ჩამოჯდა, ავტომატი მუნ-ლზე დიდო და წეროს გახვევას შეუდგა.

ქალმა სარკმელში გაიხედა და თვალი მიაპყრო ამომავალ მზეს.

— მზე ამოდის... იცი, რა კარგი იყო ჩვენი სოფელი მზის ამოსვლა-სას? გასაგიუარი პირდაპირ. ისეთი სილამაზე იყო ირგვლივ... ღალანებდე-ნენ ყვავილები... მერე მოვიდნენ ესენი და უკვე აღარ იყო სოფელი, გე-რმანელებმა ყველაფერი გადაწვეს, მამა ჩამოახრჩვეს, დედა პარტიზანის შეფრებისათვის დახვრიტეს, მე კი ძლიერს გავასწარი ტყეში.

— მალე დამთავრდება ეს წყეული ომი, — თქვა მამამ.

— კი, — დაამთქნარა ქალმა და თვა ჩაჰკიდა.

— გეძინება?

— ჰო...

მამა იჯდა ჩაფიქრებული, აბოლებდა ამოჩემებულ წერტილზე თვალ-მიშტერებული. ბოლოს ნამწვი ჩექმის წვერით დაასრისა და წამოდგა.

— წავიდეთ, ტანია!

ქალს ხმა არ გაუცია, ტებილად ეძინა.

მერე სარკმელში გაიხედა მამამ და გაშეშდა: მან დაინახა მაღალ ბა-ლახებში მომავალი გერმანელები. ისინი ავტომატმომარჯვებულები უახ-ლოვდებოდნენ თავლას.

მკლავში ჩასჭიდა ხელი მძინარე ქალს მამამ და დაუყვირა:

— ადექი, ტანია!

ქალმა გაიღვიძა და შეშფოთებულმა იკითხა:

— რა მოხდა?

— გერმანელები, — მოკლედ მოჭრა მამამ და მაგრად მოუჭირა ხელი ავტომატის ცივ ლულას.

— გაქცევას ვერ მოვასწრებო, უნდა ვიბრძოლოთ, — ტუჩი მოიკვ-ნიტა ქალმა.

როცა გერმანელები მიუახლოვდნენ, ცეცხლი გახსნეს, ოთხი
და არ წამომდგარა, დანარჩენები მიწას გაეკრნენ, აღგნენ და ჰაჟა-
ლად გამოემართნენ თავლისაკენ.

გერმანელებმა ცეცხლი გახსნეს. კავანებდნენ ავტომატები და ტყვიე-
ბი ცხრილავდნენ კედლებს, სახურავს. წილდნენ, აქეთ-იქეთ გარბოდნენ. რამდენიმე ტყვიით დაჭრილი ცხენი საცოლავად ხროტინებდა და სიკვ-
დილს ებრძოდა.

შეხედა მამამ ცხენს და თვალი აარიდა — კაცივით ტიროდა ცხენი.

— ბევრნი არიან ეს ოხები, — თქვა ქალმა, — გათავდა ჩვენი
საქმე...

— რა თქვი? — ვერ გაიგონა მამამ.

— ბევრნი არიან-მეთქი, ძალები! — დაიყვირა ქალმა.

— ხო, ბევრია...

გერმანელები წელში მოხრილები, გაშლილად გამორბოდნენ თავლისა-
კენ და ისროდნენ. აცალეს, ახლოს მოუშვეს ისინი და ისევ გახსნეს ცეც-
ხლი.

პირველად ქალი დაეცა. იგი პირალმა იწვა ცივ, ნოტიო მიწაზე. ავ-
ტომატი მკერდზე მიეკრა და კენებოდა.

დაიჩიქა მამამ, თავზე გადაუსვა ხელი და ჩასძახა:

— ტანია!

ძლიერ გაახილა მომაკვდავმა თვალი, ოდნავ შეარხია მოკუმული ტუ-
ჩები და როცა იგრძნო, რომ ჯერ კიდევ ემორჩილებოდნენ ტუჩები, და-
იჩურჩულა:

— მოყვარდი მე შენ... ძალიან მიყვარდი.

თითქოს ტყვია მოხვდაო, ისე შეკრთა მამა, მერე უცებ მოეგო გონს.

— ვიცი... — და თავზე გადაუსვა ხელი.

ქალი შეეცა გაელიმა, ვერ მოახერხა, ხელში ჩავლო ხელი და ტუ-
ჩითან შიიტანა.

— შენ კი... — დაიჩურჩულა და ცრემლი, ერთადერთი კურცხალი
შეეყინა ლოყაზე.

გაფითრებული წამოდგა მამა. ახლა მარტო იყო, ახლა მისი ჯერი
იყო, იცოდა: ვერაფრით ვერ გავიღოდა თავლიდან. იცოდა, ეს იყო მისი
უკანასკნელი ომი, და ისიც იცოდა მამამ — არ უნდა დანებებოდა მტერის
და რაც შეიძლება დიდხანს გაეძლო, რაც შეიძლება მეტი მოეკლა. ტყვი-
ები გაუთავდა, გადააგდო ავტომატი და ძლიერ ააგლიგა ქალს მკერდილან
ჩვილივით ჩასუტებული ავტომატი. ესეც დაცალა და დაინახა საძულვე-
ლი სახეები. ყრუდ ჩაესმა ავტომატების კავანი. იგი ქალის გვერდით დაე-
ცა. სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა ირგვლივ და მზე აღარ ანათებდა უკვე...



— სოფლიდან არც ერთი გერმანელი არ გავიშვია ცოცხა<sup>მუსიკურული
ჟაზლი იმპერია</sup> ნაგრძო გერონტიმ. — ის თავლა გერმანელებს გადაეწვათ...

დიღხანს ვდუმვართ და მერე ისევ გერონტი არღვევს მყუდროებას.

— როდის ამთავრებ?

— რას, გერონტი ბიძია?

— სწავლას ბიძია, აბა რას უნდა ამთავრებდე მეტს?

— ერთ წელიწადში.

— კაია, კაი დაგემართოს... რა გამოხვალ მერე?

— იგრონომი.

— კაი დაგემართოს. აგრონომობა კაი საქმეა ჩემო ბიძია. დაამთავრებ და დარჩები ქალაქში.

— არა, ქალაქში რა მინდა.

— რავა, სოფელში აპირებ ჩემო ბიძია დაბრუნებას თუ?

— აბა აგრონომს რა უნდა ქალაქში?

— მაგი მოგიშონე. ახლანდელი ახალგაზრდები არ იცდიან სოფელში.

ქალაქისაკენ გაურბიან თვალები. იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ ამხელა ვიწას, ამდენ დოვლათს პატრონობა უნდა, მოვლა უნდა, მუშაობა უნდა ბიძია...

არაფერს ვამბობ.

— რავა, არ ვარ სწორი თუ? — თვალებში მაცქერდება იგი.

— აბა, არა? სწორი ხარ, სწორი.

— მეც ქე ვიცი, რომ სწორი ვარ. ჩემმა ვაჟბატონებმაც მოინდოეს ქალაქში წაბრძანება, მარა ვერ მივართვი. შემომიჩნდნენ: გამოვყრულვდით მამა ამ სოფელში, ყველა ქალაქში მიდის და ჩვენ რა ვყოფილვართო. ჩვენც ვიმუშავებთ საღმე ქარხანაში და დაუსწრებელზე ვისწავლითო. მოგეცა სიკეთე, მე იგინი დავითრინებ და ანგელოზები ვუფეთე: თქვე ასეთებო და ისეთებო, თქვე მამაძაღლებო, თუ სწავლა გინდათ, თუ სიკეთე გინდათ, აქაურობას მოუარეთ, აქ იმუშავეთ, აგერ ბაბა ბარი, აგერ ბაბა თოხი, აგერ ბაბა ტრაქტორი, აგერ ბაბა მიწა, იმუშავეთ და დაუსწრებელზეც ისწავლეთ მეთქი!

— პოდა, დაგიჭერეს არა?

— რა შვილი არ დამიჭერებდნენ, სახრით ავუჭრელებდი ორივეს ზურგს. მერე კომკავმირის მდივნად აირჩიეს ნუგზარიე. სიმართლე გითხრა ჩემო ბიძია, მე გამიხარდა გუნებაში, მარა უნდა გითხრა, ქეც შემემინდა. პატარა საქმე კი არაა, ასორმოცდაათი კომკავშირელია სოფელში. გაძლოლა არ უნდა ბაბაია, ამხელა საქმე მოგანდეს და აბა შენ იცი, როვორ

იმუშავებ მეთქი, ხომ იცი ბაბა, შერცხვენას სიკედილი მიჯობს — მაშა. ახლა კმაყოფილი ვარ, მოგეცა სიკეთე, იგი საქმეს უძღვება. იმხელი საქმეს მოეჭიდნენ ეს ახალგაზრდები, რომ ჩვენ ვერ გავტედავდო — გამოდის, რომ ყველა არ გარბის ქალაქში, — მეცინება მე. — ყველა? ყველა რომ გაიცეს ჩემო ბიძია, რაღა გვეშველება მაშინ? — მაგიც მართალია... ეს ურემი რად გინდა ბიძია? — ურემი? ხე-ხე! გლეხი კაცი ურმის გარეშე გაგონილა? ურემი საკიროა. იტყვი, კოლმეურნეობაში ამდენი მანქანაა, ამდენი ტრაქტორია და ურემი რაღა საჭიროა, მარა საჭიროა, საქმემ მოითხოვა და ქე დარჩა საჭირო... წელს ისე მოსკვა სიმინდი, რომ გამოზიდვას ვერ აკუთავდით. დღე და ღამე ყანაში ვართ. ახლა თუ არ გაანძრიე ხელი, ზამთარში მზამზარეულს არავინ ჩაგიდებს პირში... წავიდეთ ბიძია აწი, თვარა ძალიან გაგვიტკბა ბასი.

* * *

აგრე ისიც, ფრთხილად ვალებ ჭიშკარს, შევდივარ ეზოში. ყეფს სამზადის უკან დაბმული ძალლი და იშმუშნება ხის ძირას ჯორკოზე მჯდარი, ნაბადმოსსხმული ჩათვლემილი ბაბუა. თავზე თხელი ყაბალახი ახურავს. ჭერ არ აციცებულა, მაგრამ სცივა ბაბუას ბებერ ძვლებს. მზეს ეფიცხება და სითბო აძინებს ბაბუას.

— გლახა ყოფილა ბაბუა სიბერე, გლახა, — ჩამესმის მისი ხმა და მეცინება. — ახალგაზრდა რომ ხარ, არ გვონია თუ ბოლომდე არ გაგყება ჭანი, მაგრამ როგორ ცდები თურმე, მხოლოდ გულია სიკვდილამდე ახალგაზრდა, ბაბუა.

შენ პირნათლად მოიხადე ახალგაზრდული ვალი შენი და არც სიბერეში შეგირცხვენია ჭალარათი დათოვლილი ულვაში შენი. შენმა ახალვაზრდობამ ხომ ხიშტიანი თოფისქვეშ განვლო ბაბუა და თოფის ლულაზე აწყობილი ფიქრები იყო შენი ახალგაზრდობა, შენი სახლი და მიწა შენი, მეგობარი და ახლობელი შენი. შენ ფეხით, გაცვეთილი ფარაჯით მოიარე ყარსი და სარაყამიში, ართვინი და ტრაპიზონი, ხოფა და არღავანი მანგურია და პორტარტური... მერე დაბრუნდი ომის გზებიდან, ჩამოიტანე დალლილი სული და სხეული, დენთის კვამლით გაუღენთილი მაზარა და იმედები. ხუთი ძმა იყავით. ერთი მტკაველი მიწა გქონდათ ძმებს. არავინ ელოდა შენს დაბრუნებას დედის გარდა, არავის გახარებია შენი დაბრუნება დედის გარდა. საკუთარი კერის მოწყობა გადაწყვიტე. იმ მტკაველის მეხუთედი მიწისათვის ღვიძლმა ძმამ თოფი გესროლა — ომი-

დან მშვიდობით დაბრუნებულს, სახლში გაგიმართეს ომი. იმ გასროლი-
ლმა, სასწაულით აცდენილმა ტყვიამ სამუდამოდ გადაგეიდათ ჭები
შენ მის ტირილზე არ მისულხარ... ჩვენი ეზოს გადაღმა, განმარტებული
ტანაყრილ ანწლებში ახლაც დგას მიტოვებულ ნასახლარში ჰქონდა მუსიკური
კედლებჩამოცხავებული სამზადი, წევს გვერდზე გადახრილი, პატრონის
მომლოდინე ძალივით, დგას როგორც მოგონება და შენდობილი ცოდვა...

ძალის ყეფაზე შენ დგები, ბებრული, ამღვრეული თვალებით იყუ-
რები ჭიშკრისაკენ. თვალს დაგაკლდა და მე ვერა მცნობ, ხედავ მხოლოდ
— ვიღაც შემოვიდა ეზოში და ესე ივი შენი სახლის, შენი სტუმარია,
შენ კი გიყვარს სტუმარი, მოკეთე და მეზობელი.

— მობრძანდი, — მეძახი, ჯოხზე დაყრდნობილი დგები და ხანხალით
მოაბიჯებ ჩემსკენ.

— ბაბუა! — ხმამაღლა ვამბობ თუ ვყვირი მე, ჩემოდანს ვდგამ და
მოვდივარ შენს შესაგებებლად.

— ბაბუა, ბაბუა, ბაბუა, — მცნობ შენ, ჩურჩულებ, მეხვევი და ტი-
რი, უკვე აღარ მალავ ცრემლებს. გიკოცნი ჭაღარა თავსა და დაჭმულვნილ
ლოყებს. შენ ღელავ და გიტოკავს მდინარესავით ლურჯი, ბებერი ძარლვი.

— როგორ დაგავიწყდი ბიჭო, ერთი როგორ არ გაგახსენდი ბიჭო, —
მეუბნები ხმის კანკალით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, — ასე უნდა ბაბუა? —
შენი მზერა, შენი სიტყვები საყველურია და მე უხერხულად ვიშმუშნები.

— თქვენ, თქვენ როგორ დამავიწყდებით, — ვამბობ ხმაღაბლა, —
მაგრამ ხომ, იცი... ვერ მოვიცალე და...

— მე ყოველთვის კი არ ვიქნები ბაბუა, ხშირად უნდა ამოხვიდე და
მნახო. მერე დაგწყდება გული, მერე... შენ რომ გხედავ ბიჭო, ასე მგო-
ნია მამაშენი შემოვიდა ეზოში.

— ვიცი, ბაბუა, — ვამბობ, ხელს ვხვევ მხარზე და ჩვენ ერთად მი-
ვემართებით სამზადისაკენ.

— ანეტა! — იძახის ბაბუა.

— რა გინდა, კაცო? — მოისმის სამზადიდან.

— გამოი ერთი, ნახე ვინ მოვიდა.

იღება სამზადის კარი. ჭერ ბებია გამოდის გარეთ, მერე კერიის კვა-
მლი. ბებიას ხელები ცომში აქვს გასვრილი, თავზე გახუნებული ცახო-
ცი ახურავს და ახალგაზრდასავით ატკრეცია დანაოჭებული ლოყები კე-
რიის ალის სიმხურვალეზე.

— უიმე, ამას ვის ვხედავ, ეს ვინ მოსულა, შენი ჭირიმე ნენა, შე-
ნი! — მეხვევა, მკოცნის და ცდილობს, არ გამსვაროს ცომით. თვალებს
ვხუჭავ და პატარა ბავშვივით ვინაბები.



ბებია გავარვარებულ კეცე მჭადს აკრავს, ხელს იბანს და მოგვიცებულის: — მოგშივდა ნენა? ამ წუთში იქნება სადილი, ამ წუთში... გვიცება სამზადში გორკოზე და მონატრებული თვალებით შევცემის კერაზე აბდოვიალებულ ნაკვერჩხლებს, მხრჩოლავ მუგუზლებს, კერის მწარე კვამლსა და კვამლისაგან გაშავებულ სამზადის კედლებს. სახურავის ჭუჭრუტანიდან მზის სხივი შუბივით ეშვება დაბლა და ციალებს, იბლა-ნდება კვამლი.

ცხვება მჭადი და სასიამოვნო სუნი ტრიალებს ირგვლივ. ბებია სამზადში შლის სუფრას: ცხელი მჭადი, ჟყინტი ყველი, ლობიო, კიტრი და პომიდორი. გამხიარულებულ ბაბუას ღილინით მოაქვს სარდაფიდან ნაქურჩალათი თავდაცული ღოქით ღვინო. კარგი სასმელია ცივი, ბკემოკი-დებული ადესა.

ბაბუა ღვინით სავსე ჭიქს იღებს ხელში, მიყურებს და ამბობს:

— შენ იცი რამდენი წლისა ვარ, ბაბუა? ოთხმოცდაათის. მოხუცებულის ამბავი ქე იცი, დღეს არის და ხვალ აღარ იქნება, მე ჩემო ბაბუა, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩნია და დაიხსომე რასაც ახლა გეტყვი....

— გაჩუმდი კაცო, აცალე ბალანას ჭამა, რას აშინებ აღამიანო? — აწყვეტინებს ბებია.

— მაცალე ერთი, ანეტა, ვიცი მე რასაც ვუყვები და, მაცალე ერთი... მე ათა წლის ვიყავი ჩემო ბაბუა, როცა მამაჩემმა ანდრონიკაშვილების მიმაბარა მოჯამაგირედ. ექვს წელიწადს ღორებს ვწყემსავდი. დაგლეჭილი, ას ადგილს დაკერებული შარვალი და ბლუზა მეცვა, თხუთმეტ წლამდე ფეხსაცმელი ამ მლირსებია. თხუთმეტი წლისა ვიყავი, მამაჩემმა ქალამნები რომ მიყიდა, მერე ჯარში წამიყვანეს. თოთხმეტ წელიწადს თოფი არ მომიშორებია ხელიდან, თოფთან მეძინა და მეღვიძა, სხვის საკუთრებას ვიცავდი და ტყვიას ვესროდი ჩემსავით ღარიბს. მერე დაბრუნდი სახლში და საკუთარი კერა გავიჩინე. დღე და ღამე მიწას ვეჭიდებოდი, წელებზე ფეხს ვიდგამდი... მერე მოვიდნენ ჩვენები და იმ დალოცვილება მიწა მოგვცეს, ცხოვრების საშუალება მოგვცეს... მერე პირველი არტელი დავაარსეთ მე და გერონტის მამამ, გავკაფეთ ბარდი და ეკალი, მო-ვაშენეთ ჩაი და ციტრუსი, ხეხილი, ვენახი... პირველად ძალიან გვიჭირდა ბაბუა, არ გვყოფნიდა მიწის დასამუშავებელი იარაღები, მუშახელი, სა-თესლე სიმინდიც არ გვქონდა სამყოფი. მაინც არ გავტყდით, ჩვენი გავი-ტანეთ, და აეწყო ასე უველაფერი. მერე ახალგაზრდები წამოგვესწრნენ, მარა...

მე ვიცი ეს „მარა“, მე ვიცი, რისი თქმაც გინდა ბაბუა. როცა საჭი-როებამ მოითხოვა, რუხი ფარაჯები ჩაიცვეს და საფანტივით მოედვნენ

ვრცელ სივრცეებს. წავიდნენ და საგზალივით წაიღეს ფიქრები და /მც-
დები. ვიცი, ეს შეუძლებელია, მაგრამ მანც მგონია, რატომღაც მგონია,
ფენიქსებრ წამოდგებიან დამარტული ჯარისკაცები, გაცვეთილი უკუნისათვის
დაცხროლული მაზარებით მოედებიან ვეებერთელა სივრცეებს და დაიზ-
ყებენ გადავიწყებული კერიის ძებნას...

— ახალგაზრდობას ბევრი შეუძლია, — განაგრძობს ბაბუა, — სა-
ნამ ახალგაზრდა ხარ, მანამ უნდა მიხედო საქმეს, ახალგაზრდობაში გაც-
დენილ დროს სიბერეში ინანებ. შენ ახლა ერთადერთი იმედი ხარ ჩვენი,
ამ ოჯახის. შენ გაკისრია მოვალეობა და სინდის-ნამუსი. ოჯახი ძნელი გა-
საძლოლია ბაბუა, მარა, უნდა გაწიო უღელი, კარგად უნდა გაწიო, ბო-
ლომდე უნდა გაწიო, არ უნდა შერცხვე. ამის მთხოვნელი ვიქნები ბა-
ბუა — გულმა არსად გაგიწიოს, აქაურობა არ მიატოვო, იცოდე შენ აქ
დაიბადე, აქ გაიზარდე, შენ ვალში ხარ ამ მიწისა და კერიის წინაშე, აპა
შენ იცი ბაბუა, კვამლი არ მოანატრო კერიას, კვამლი...

ჩემი სამზადის კერიის კვამლო, ნაცრისფერო და მწარე კვამლო, გამ-
ჭვარტლულო კედლებო და ჰუჭკრუტანებში გაბლანდულო ობობას ქსე-
ლო, ჩემო ოდავ და ჩემო ეზოვ, ჩემო ნასათუთარო ვენახო, მართლაც
დიდ ვალში ვარ თქვენთან, თქვენი ვალიდან ვერასოდეს ამოგალ. მე შენი
ნაშობი ვარ ჩემო დიდო, ყველაზე დიდო დედავ, ჩემო მიწავ! მე შენი
ლექაჭივით წმინდა ვიქნები ბებია; მე შენი სპეტაკი, თეთრი ულვაშის სინ-
დისზე ვარ დამყნილი ბაბუა; მე თქვენს ფესვებზე ამოსული მუხის ნორ-
ჩი ყლორტი ვარ, ჩვენს კერაზე ნაცარში ახვეტილი ღვიორი ვარ...

ბაბუა სვამს და საჩვენებელი თითოი იწმენდს სველ ულვაშებს.

— დალიე, დალიე ბაბუა, — მეუბნება, თვალს მიკრავს, ხელებს იფ-
შვნეტს, თავისთვის ჩუმად ქირქილებს და განაგრძობს: — ბებიაშენს თუ
უყურე, კაი დაგემართება. მაგან დამაბერა მე, თვარა რა დროის ჩემი
სიბერე იყო, აბა?

— ნორჩი ხარ ჯერ, ნორჩი! — განგებისად იკრავს შუბლს ბებია,
— ჩემი ნაკვალევი ილოცე, მე რომ არ ვყოფილიყვი...

ხმამაღლა ვიცინი. ბებრულად, სვენებ-სვენებით, ყრუდ ქირქილებს
ბაბუა.

ბებია მიცქერის, უხარია, რომ ვიცინი და მეუბნება:

— შენ კი გაიხარე, ნენა.

ისევ ივსებს და მივსებს ჭიქას ბაბუა.

— გეყოფა ბერიკაცო, აგივარდება თავში ამდენი ღვინო და მერე მე
უნდა გევიტანჯო. — ჭიქას იღებს და გვერდზე დგამს.

ბაბუა უკმაყოფილოდ შლის ხელებს.

— არ გამიმართლა ჩემო ბაბუა და რაღაი ახლა. ქალი არ შემხვდა,
ბაბუა, ხეირიანი. მეგონა ქვეყნის ჭკუა მქონდა, მარა შევცდი. შენ ჩემი

ახალგაზრდობა რომ იცოდე, ქე შეგეცოდებოდი, რა ბიჭი ვიყავდი
ისე მოვჩიდლე ბებიაშენი, რომ დამინახა თუ არა, ვერ მოვიშორე, მართა
ვე გამომეტიდა.

— მიწა დაგაყარე მაგ ენაზე იმდენი, — ქალიშვილივით იმორცვებს
ბებია, — მთლად გამოჩურჩუტდა ნენა აი ბაბუაშენი ამ ბოლო დროს, რას
ბეჭუტურობს მანაც არ იცის... გეიგონებს ვინცხა და მართალი ეგონება...

ბაბუას ულვაშებში ელიმება, დროს პოულობს, სავსე ჭიქას იღებს, ნე-
ლა წრუბავს ღვინოს და გალურსული აპარებს ბებიასაკენ თვალებს.

— მაინც დალიე ხომ? გაეხეთქო მაგას, — ლოცავს ბებია.

ბაბუა იცინის.

უუცქერი მათ და მიხარია, ძალიან მიხარია, რომ ისინი ასე-
თები არიან, ტკბილები, კეთილები. სამოცი წელი ერთად გაუტარები-
ათ, ერთად უწევიათ ცხოვრების უღელის, ხან აღმართი დახვედრიათ, ხან და-
ღმართი, ხან მოსახვევი, ხანაც სწორი გზა, კრიჭაში ჩადგომიან ბედისწე-
რას და არსად, არასოდეს დავიწყებიათ, რომ აღამიანები იყვნენ. ტირი-
ლის დროს ცრემლს იკავებდნენ, სიცილის დროს იცინოდნენ და უსიტუ-
ვოდ ესმოდათ ერთმანეთისა. დარღიც საერთო ჰქონდათ და სიხარულიც.
მე მიხარია, რომ მათ არ გააცივეს ცეცხლი კერაზე და ჩვენს კერაზე ყო-
ველთვის ამოსულა მწარე კვამლი და შერევია ხან ლურჯ, ხან კიდევ მო-
ქუფრულ ცას. მე მიხარია, რომ მათ კიდევ შერჩენიათ იუმორის გრძნო-
ბა და სიცილის ხალისი. მიხარია, რომ მე მათი შეილიშვილი ვარ... მა-
მა! ამ უზარმაზარ, თვალუწვდენელ დედამიწაზე, ამ ლურჯი ცის ქვეშ მე
არ ვიცი სადაა საფლავი შენი, მე არ ვიცი, სად წევხარ შენ, სად გათვას
და სად გაწვიმს. მაგრამ ასე მგონია, შენ ყველგან ხარ. ჩემს გულში, დე-
დის გულში, მამის გულში სამუდამო ბინა გაქვს... და მუჭით, მარილი-
ვით გიჭირავს სახლიდან ზურგჩანთით წალებული დაბრუნების იმედი და
გათქერილი მიზნები... ჩემო ბიძებო და მამიდებო! ასე მგონია, შუალამეზე,
ან გათენებისას, იღება ჩვენი ეზოს ჭიშკარი და თითო-თითოდ, ფეხაკრე-
ფით შემოდიან შორეული გზებიდან დაბრუნებული თქვენი მდუმარე
ჩრდილები. შემოდიხართ, იხოქებთ მიწაზე, ხელის ფათურით, გაფარჩეუ-
ლი თითებით დაექებთ თქვენი გარდასული ბავშვობის გადაშლილ ნაკვა-
ლევს, ვერ პოულობთ და სატკივარივით გაწუხებთ ეს. მერე ედებით სახ-
ლისა და სამზადს, ეზოსა და ვენახს. თქვენ დუმხართ და ეს დუმილი საყ-
ვედურია, ტკივილია და დიდი დარდი. რა ახალგაზრდები ყოფილხარი. ვიცი
მე, ასაკისა და განცდილის სიბრძნე გაიძულებთ — იქაც, საფლავ-
შიაც იფხიზლოთ. ასე მგონია, სამუდამო დარაჯებად უდგახართ წყნარ
ცას და დენთის სუნგაცლილ მიწას, ხესა და ბუჩქს, ბალახსა და ვარდს,
ცის ნაფურ ცვარსა და კერის კვამლს. თქვენ ისევ ჩემთან ხართ და დი...

დი, დიდი იმედი მაქვეს თქვენი, მე თქვენ განდობთ ჩემს საიდუმლოს და
თქვენ ჩემი მესაიდუმლე ხართ...

არ ვიცი, რას განიცდიდა ბებია, როცა შვილი სამკუთხა ბარებრული
ბრუნდა ფრონტიდან თქვენს მაგიერ, მაგრამ მე ვიცი, რას ფრენობდა
იგი, როცა თქვენს სურათებს ჰქიდებდა კედელზე, ვიცი როგორ უცრე-
მლოდ ტიროდა ბაბუა და ყოველთვის ამხნევებდა ბებიას. მე ვიცი ეს
სიბრძნე და ათასგზის მაღლობა ამისათვის თქვენ, ჩემი მოხუცები!

ბაბუა ისევ ავსებს ჭიქებს და მიცქერის... მის თვალებში სიყვარული,
სიხარული ჩამდგარა.

— მოგვესწრო ბიჭი ანეტა, ხომ იცი შენ, — ეუბნება ბებიას და არ-
ხეინად ისწორებს ულვაშებს. — ისე რავა წამახდენს სიბერე, რომ მაგის
ჭორწილში ყანწებით არ გვინო, ისე რავა მოგვდები, რომ მაგის
ბიჭი ქალი არ გამოვუძებნო... რამდენი წლისა ხარ, ბაბუა? — კითხუ-
ლობს და თითებზე ითვლის ჩემს წლოვანებას. ბებიას შვილი შვილი, ჩე-
მი ტოლა და ჩემზე უმცროსი შვილი შვილი ახსენდება, სახე ეჭუფრება,
მაგრამ თავს იკავებს და მესმის ნიავის დაქროლვასავით წყნარი, ჩურჩუ-
ლივით წყნარი სიტყვები:

— რაც მაგათ დააკლდათ, შენ შეგმატებოდეს, ნენა!

ვსაუბრობთ და ვსვამთ. დოქს თანდათან უმრება ყელი, მჩატლება
და ბაბუა უფრო ადგილად ასხამს ღვინოს.

მერე ბებია სუფრას ალაგებს. გარეთ გავდივართ და ხის ძირას ვჭდე-
ბით. მწიფს ადესა და ვაშლი, ერთმანეთში არეულა წითელი და შავი ფე-
რები. ბებია კავკით იწონიებს ტოტს, კალთით მოაქს ყურძენი და ვაშლი.

— დააყოლე ნენა, მოგიხდება ხილი.

ვიღებ ბებიას თბილი კალთიდან ყურძენს და ვაშლს და მათაც ვეპა
ტიქები.

— თქვენ არ გინდათ?

— ჩვენ მაგის ჭამის მეტს რას ვაკეთებთ ნენა, შენ ჭამე, ღმერთმა
შეგარგოს, მონატრებული ხარ ხილს ქალაქში.

ბაბუა თავს ქინდრაგს.

— ადექი და დაწექი, კაცო! — ფრთხილად ადებს ხელს მხარზე ბებია.

ბაბუა ზანტად ახელს თვალს, გაბმულად, ხმამაღლა ამოქნარებს და
ბუტბუტებს:

— აი, ამფერია სიბერე, ბაბუა, მოუკვდა მომგონი და მასაფი მაგას.
კაცს რომ შუადღეზე ძილი მოგინდება. — დგება და მოსასვენებლად მო-
დის.

ბებია თვალს აყოლებს.

— დაბერდა ბერიკაცი, სულ რომ აძინო, უნდა...

— დედა როდის მოვა? — ვეკითხები ბებიას.
— სალამოს, ნენა... გაიტანგა ქალი ამდენი მუშაობით. იმდენი მაინც, რომ... გათენებამდე მიდის და შეღამებულზე ბრუნდეშაშიანუას უკვდა ჩემი თავი, ბევრს ვერაფერს ვეხმარები, რა ვქნა, დავილალე, დავ-ბერდი ნენა.

დეგება ბებია, სამზადის კედელზე ჩამოკიდებულ კალათს იღებს და მეუბნება:

— მე ბალჩაში გადავალ ნენა, ვახშამს მაინც დავახვედრებ დედაშენს.

* * *

ერთხანს ეზოში დავბორიალებ, სამზადის უკან დაბმულ ძალლს ვეფერები, მერე ბაღში გადავდივარ. ბაღის ბოლოს მოჩანს მწვანეში ჩაულული გერმნტის მაღალი ოდა. ირგვლივ სიწყნარეა. ალბათ არავინაა სახლში. ვდგავარ და შევცემერი ნაცნობ აივანს. იქ ხომ ქეთი ცხოვრობს და ამიტომაც ყველაფერი ძვირფასია იქ... მყუდროებას ქათმების შეშინებული კრიასი არღვევს, მაღლა, ცის გუმბათში ლივლივებს უანგისფერი ქორი და ზემოდან ათვალიერებს საკბილოს.

იღება ოთახის კარი და აივანზე ვიღაც გამოდის. ეს ვიღაც კი არა და ქეთია. ვდგავარ გატრუნული და გაფართოებული ოვალებით შევცემერი ორი წლის უნახავ ქეთის. ქეთის ჩითის კაბა აცვია და ამ უბრალო კბაშიაც ლამაზია იგი, მკლავები მზეზე შებრაწვია. კოჭებამდე სცემს გრძელი ნაწიავები. ქეთი ბაიბურში არაა რომ ცუცქერი, ტაშს უკრაეს, შესცემის ცას და იძახის: — ჰაუ-ჰაუ!

ქორი ზანტად არწევს ფრთებს და მიფრინავს.

ვიხრები, მიწიდან კენჭებს ვიღებ და ვისვრი. კენჭი ეცემა იატაჭუ და ხიფათის მომლოდინე შველივით კრთება ქეთი, ოვალებს აცეცებს, ბაღისაკენ იცქირება. ისევ ვისვრი კენჭს. ესაა ჩვენი უსიტყვო პაემანის ნიშანი. ქეთი ხვდება, ოვალები უბრწყინდება, ხტუნვა-ხტუნვით ჩამორჩის კიბეზე და ჩემსკენ გამორბის.

* * *

აივანზე ვწევარ და შევცემერი ცას, რომელიც თეთრი ლრუბლის ფორებს დაუფარავს. ღრუბლებს შორის მიცურავს მთვარე. კიაფებენ შორეული, იდუმალი პლანეტები — ვარსკვლავები, მთვარის ვერცხლისფერი შუქი გაბლანდულა ხეთა ტოტებში, უბერავს ნელი ბორიო და მესმის აი-

ვნის ქვეშ დაწყობილი ჩალის იღუმალი ჩურჩული... შენ ერთად გრძელი და შეუცვლელი, მდენ პლანეტებს შორის, დედამიწავ, უნდა მოგამოს და არ უნდა მოგაყენონ ტკივილი ადამიანებმა...

ისევ გრძელდება ფიქრი, ისევ მესმის ხელი ჩალის ჩურჩული და ისევ მიბარბაცებს მთვარე თეთრი, მოგოგმანე ლრუბლის ფთილებს შორის... შენ უკვე დაგლაშქრეს მთვარევ, შენ უკვე აღარ წარმოადგენ საიდუმლოს, ადამიანი მოგწვდა და თავისი ნაფეხურები დასტოვა შენს ფხვიერ გრუნტზე.

ფრთხილად, ოდნავი ჩქამით იღება ოთახის კარი, ვიღაც გამოდის აავაზე და ფეხაკრეფით მიახლოვდება. ეს დედაა, ჰელია მძინავს და უქაჯრეფით მიახლოვდება — არ უნდა ძილი დამიფრთხოს. მიახლოვდება, მიცერის და ფრთხილად მისწორებს საბანს.

— დედა! — ვამბობ და ხელს ვუჭერ. დედის ხელი მაგარია და კოქრიანი.

— ჩემი სიკვდილი, გაგაღვიძე, შვილო?

— არა, დედა, არ მეძინა.

— რატომ, შვილო?

— რა ვიცი... არ დამეძინა და...

— მეც არ დამეძინა, შვილო.

დედა სასთუმალთან მიჯდება და თავზე მისვამს ხელს, მეფერება.

ვილურსები და თვალებში ვუცქერი, ისიც მიყურებს და მლოცველოვით აცმაცუნებს ტუჩებს.

— დასუსტებულხარ შვილო... სასიკვდილე დედაშენი... ხელი ვერ მოგაწვდინე ერთი, ვერ ჩამოვედი. ვინ გირეცხავს, ვინ გიკერავს შვილო... აქ იმდენი საქმეა, რომ ვერ მოვიცალე, შვილო...

— რას ამბობ, დედა, — ვამშვიდებ მე, — რა მიშავს, ერთი შელი დამრჩა და კი ჩამოვალ მერე სოფელში.

— ხო, ასე შვილო, შენი იმედითაა აი ოჯახი და აბა შენ იცი... გი-ჭირს ქარხანაში მუშაობა?

— პირველად მიჭირდა, ახლა უკვე არა...

— კარგია თუ არ გიჭირს, შვილო.

ქარხანაში ჩემი პირველი მისვლა მახსენდება, ეს ამ ოთხიოდე წლის წინ იყო. ჯიბეში ხელებჩაწყობილი, ჩაფიქრებული მივყვებოდი გვერდით საამჭროს უფროსს, რომელიც სიგარეტს ეწეოდა, ხელებს შლიდა და ჭარხნის პროდუქციაზე მესაუბრებოდა. მუშაობა უკვე დაწყებული იყო და ქარხნის უზარმაზარ ეზოში მყუდროება დამკვიდრებულიყო, მხოლოდ საამჭროებიდან გამოდიოდა ხმაური და ებრძოდა ეზოს სიმყუდროვეს.

საამქროს უფროსმა ნამწვი ურნაში ჩააგდო, მეორეს მოუკდა. 
ლის აქნევით ჩააქრო ასანთის ღერი და მკითხა:
— ჭერ არსად არ გიმუშავია?
— ჭერ არა, სოფლიდან ჩამოვედი.

— კიდევ ერთი სოფლიდან გამოქცეული, — გაეცინა მას, — ჩვენი ქარხანა რამდენიმე წელია რაც აიგო, ახალგაზრდები მუშაობდნენ მას მშენებლობაზე და მისი კოლექტივიც ახალგაზრდულია. ჩვენს ქარხანას, ჩემო ზიძირა, დიდი მომავალი აქვს, ორ წელიწადში სამი ახალი საამქრო უნდა ავაგოთ.

პირველად ძალიან გამიჭირდა დაზგასთან მუშაობა და ხმაურთან ჰეგუება, მერე ყველაფერი მოვგარდა. ახლა ჩვენი ახალგაზრდული პრიგადა, რომელშიაც ოცი კომკავშირელია, ყველაზე მოწინავეა ქარხანაში. ახლა ჩვენი ქარხნის პროდუქცია ოცდაათ ქვეყანაში მიღის და მიხარია, რომ ამაში ჩემი წვლილიცაა, ძალიან შევეჩვიე ქარხანას, ჩემს ამხანაგებს და მათთან გამოთხვების დრო რომ დადგება, ძალიან გამიჭირდება. მეწინასწარ ვწუხვარ ამაზე...

კიდევ დიდხანს ვსაუბრობთ მე და დედა.
— ძილი გაგიტყდება შვილო, დაიძინე აწი.
— შენც დაიძინე, დედა.

დედა მიღის. თვალს ვაყოლებ.

გვერდს ვიცვლი შევპქერი ცას, რომელიც თანდათანობით თავისუფლდება ღრუბლებისაგან. ყურს ვუგდებ ჭრიჭინობელებისაგან ძილგატეხილი ღამის იღუმალ ჩურჩულს და თანდათანობით, თრობასავით შეკიდება თვლება...

ჩამეძინა და სიზმარში მოვიდა ნაღვლიანი, რუხფარაჯიანი მამა. უხმოდ მომესალმა და ჩამოჯდა ჩემგან მოშორებით. გაზეთის ყვითელ ხახევში დიდხანს ახვევდა წეროს... ლოყები ჩავარდნოდა და თვალები ჩაკვენდა. ჭარარა იყო და წვერმოშვებული. იჯდა გატანჯულ-დაჭანცული, აბოლებდა და უხმოდ მიყურებდა.

ვუცქეროდი მამას და თვალს არ ვუჭერებდი. როგორ დაბერებულ-ხარ, როგორ გაჭალარავებულხარ, როგორ დაქანცულხარ, მამა... მეტადი ტყვიით აქვს დაცხრილული და ტკვა დიდი ხნის წინანდელი ნატყვიარები.. ფრთხილად ვეხები ნატყვიარებს მამის მკერდზე და ვკოცნი. მუნჯივით ზის შუბლშეჭმუხვნილი მამა, დუმს და დუმილით, საგზალივით მიზოგავს საოქმელს. უსიტყვოდ მიყვება ომის ამბებს. მერე დგება მამა, დალლილად, ბებრულად, მუხლებზე ხელისგულების დაყრდნობით დგება, იფერთხავს დაცხრილულ რუხ მაზარას, ავტომატს ისწორებს მხარზე, მაშტერდება თვალებში და მიღის... არა, მარტო არ მიღის მამა, გვერდში უდგებიან რუხ-

ფარაჯებიანი, დაცხრილული წვერმოშვებული ჭარისკაცები, ქუსლმოქაუ-
ული ჩექმებით და მხარზე აკიდული ავტომატებით, დგებიან მწკრიანების /
ჭარისკაცები და მიღიან, ყველანი ერთმანეთს გვნან და მე უნდაშეუდიდე-
უკვე, რომელია ჩემი მამა. ჩექმების ბრახუნით მიღის ბატალიონისავა-
წყნარად მღერიან ჭარისკაცები გადავიწყებულ, ომისდროინდელ სიმღე-
რას.

— მამა, — ვეძახი მე, — მომიცადე მამა! — მამას არ ესმის ჩემი.
მინდა დავეწიო, ვერ ვეწევი...

მეღვიძება. თვალებს ვითშვენეტ. აღარსაღაა მამა, აღარსაღაა რუხია-
რაჯიანთა ბატალიონი. არის მხოლოდ დილა. ეზოში ბოჩოლა ბღავის,
ყეფს ძალლი. ახველებს ნაბაღმოხურული ბაბუა, სამზადში ფუსფუსებს
ბებია და გაღვიძებული სამზადი ჩიბუხივით აბოლებს კვამლს.

გვერდს ვიცვლი, ოთახის გამოლებული კარებიდან მოჩანს კედელზე
ჩამწკრივებული სურათები. მზე ანათებს სურათებს და იღიმება ჩემი ვა-
მა, იღიმებიან ჩემი ბიძები და მამიდები.

* * *

ვდგები, ვიცვამ და ეზოში ჩავდივარ.

— ადექი, ბაბუა? — მეკითხება ბაბუა, — მოდი, დაჭვეჭი აგერ.

ვგდები.

ზის ბაბუა თავდახრილი, ხელს უსვამს კოურებიან ჭოხს, მშვიდად სუ-
ნოქავს და ფიქრობს. მერე თავს მაღლა სწევს, მოჭუტული თვალებით
შესცერის ახლადამოწვერილ მზეს და ამბობს:

— ადამიანის სიცოცხლე მზესავითაა, ბაბუა; დილით ამოვა, მთელ
დღეს ანათებს, ყველაფერს აცოცხლებს, ათბობს, საღამოს კი ისევ ჩავა.
ადამიანიც ასე ბაბუა — იცოცხლებს, იშრომებს, იბრძოლებს, დაიღლე-
ბა და ჩაესვენება. ჩვენ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ ბაბუა, საქ-
მე ისაა როგორ მოკვდები. სიკვდილსაც გააჩნია, აბა! მხოლოდ ერთხელ
უნდა მოკვდეს კაცი. იმაზე დიდი სირცეგილი აფერია, როცა კურცხალ-
საც დაამადლიან კაცს. მე იცი რა მახარებს? რომ მოკვდები, ვიცი,
ბევრს დაწყდება გული და არავინ მომიგონებს ცუდად. იცოდე ბაბუა,
ჭველა კაცს არ შეუძლია ისეთი ხის დარგვა, რომლის ნაყოფი მხოლოდ
მის შვილებსა და შვილიშვილებს მოესწრება.

დიდხანს ვფიქრობ ამ ქარაგმაზე. ვერ გავიგე, თუ რა ხე იყო ასეთი.
მერე მიგხვდი ამას — აქ, ჩვენს ბაღში ბევრია მის მიერ დარგული ნერ-
გი, რომელთა ნაყოფი შეიძლება ვერ იხილოს ბაბუამ.

— მე დავრგავ ასეთ ნერგებს, — ვფიქრობ მე, — აუცილებლად
დავრგავ, ბაბუა.

მერე ბებია საუზმეზე გვეპატიუება და ბაბუა ღილინით შეფარდული
დაფუში არაყის გამოსატანად.

* * *

მზის მრგვალი, ოქროსფერი ღისკო ნელ-ნელა, შეუმჩნევლად ეფა-
რება ჰორიზონტს. ირგვლივ სიწყნარეა და სოფლის იდილია. მხოლოდ
შორს, სოფლის ცენტრში გუგუნებენ მანქანები და დუგდუგებს ტრაქ-
ტორი.

აივანზე მე და ქეთი ვზივართ. ორივენი ვდუმვართ, შევცერით მზის
დიდებულ ჩასვენებას და ახალგაცნობილებივით ვერ აგვიწყვია საუბა-
რი. მოჩვენებითი სიმშვიდით შევყურებთ, როგორ ეფინებიან მიწას ხე-
ლი ფოთლები... ფრთხილად, მოწიწებით ვეხები ქეთის ხელს და თვა-
ლებში შევცერი. ქეთის თვალები წყნარია და ლურჯი. ქეთის თვალებ-
ში სიყვარულია და ღიძი სათნოება. ჩუმად, ოდნავ შესამჩნევად იღიმე-
ბა. შევცერი უხმოდ, უსიტყვოდ. დროგამოშვებით ამრიხედავს ქეთი,
შემომანათებს ტბასავით მოლივლივე თვალებს და იღიმება. ახლა ქეთი
მოუთმენლად ელის ჩემს სათქმელს.

— ქეთი! უნდა გითხრა, რომ... მე მინდა... — ვიწყებ და ვეღარ ვა-
მთავრებ. თვალს ვარიდებ ქეთის და დაფანტულად ვიცირები საღლაც
შორს, შორს. მერე ისევ ვუბრუნდები ჩემს მთავარ სათქმელს და ღიძი
გაჭირვებით ვახერხებ.

ქეთი იღიმება და დუმს.

— რას იტყვი ქეთი? — ვეკითხები და მოუთმენლად მოველი მის
პასუხს.

— მეც. — მორცხვად, ძლივსგასაგონად ამბობს თავდახრილი და
ნაწინავს აწვალებს.

ვხვდები მის ნათქვამს და ჩემს სიხარულს აღარა აქვს საზღვარი.

— ქეთი, ქეთი! — ვჩურჩულებ მე, — მაშ შენც გიყვარვარ, ქეთი?

ალიონივით ეპარება სიწითლე ქეთის, თვალს მარიდებს და თავდახ-
რილი ჩურჩულებს თავისთვის:

— აბა არა?

მე მის რბილ ნამჭის სურნელით გაუღენთილ თმებს ვეალერსები და
ღაწვებს ვუკოცნი.

* * *



სოფელში ციცინათელებივით ენთებიან ნათურები. ელექტრიკული გადამზადებისა ჩახახებია სოფლის ცენტრი.

ნელა მიყვებით მე და გერონტი სოფლის გაჩახახებულ ქუჩას და ვსაუბრობთ. სოფლის ცენტრში, მდინარის პირას ამაყად წამომართულა კულტურის დიდებული სასახლე. იგი ჩემს აქ არ ყოფნაში აუშენებიათ.

— ნამდვილი ქალაქივითაა ჩვენი სოფელი, — მეუბნება გერონტი, — რა არ გინდა ჩემმ ბიძა რომ არა გვაქვს. ეს სასტუმროვო, ეს აფთია-ქიო, ეს საავადმყოფოვო, ეს სასაღილო, ეს უნივერმალიო, კულტურის სახლი არ გვივარგოდა ერთი და ესეც ავაგეთ აბა რავა გონია შენ ჩე-მო ბიძია, ვმუშაობთ, ვიღწვით. კინ ყოველდღეა, კვირაში ორჯერ კინ-ცერტი ან წარმოდგენა... მაგრად გაიქაჩენ ეს ახალგაზრდები; ეს წრეე-ბიო, ეს სექციებიო, რა არ ჩამოაყალიბეს და რა არ დაარსეს... ახლა სტადიონი არ გვაქვსო და გამეიდეს თავი, გაისად სტადიონიც გვექნება და მოგეცა მერე სიკეთე...

მეცინება...

გერონტი კი არ ათავებს სოფლისა და ახალგაზრდების ქებას. ამასო-ბაში კულტურის სახლს ვუახლოვდებით.

— მე ახლა თავმჯდომარესთან ავალ, — მეუბნება იგი, — მერე კლუბში ჩამოვალ, ბიჭებს ვაცილებთ ამაღამ ჯარში.

შევდივარ ფოიეში და ვათვალიერებ სტენდებსა და კუთხეებს. აგრე მოწინავეთა დაფა. დაფიდან გაბუსხული ტუჩებით მიღიმის ქეთი, მოწი-ნავეთა გვერდით შინმოუსვლელთა სტენდია და მოსჩანან სტენდიდან ჩე-მი ტოლა მამა, ხუთი ბიძა და ორი მამიდა.

იწყება საზეიმო საღამო. ვზივარ ქეთის გვერდით, ხელში მისი ხელი მიჰირავს და ვუსმენ თავმჯდომარეს, რომელიც საბჭოთა არმიის რიგებში გაწვეულთ მიმართავს სიტყვით. ვზივართ და ვუსმენთ. მტრედის გული-ვით ფერქავს ჩემს ხელში ქეთის პატარა ხელი და ჩუმად, თავისთვის, იდუმალად იღიმება ქეთი. თავმჯდომარე სიტყვას ამთავრებს და ტაშის გრიალში ოქროს საათებით ასაჩუქრებს ბიჭებს. მერე ჩვენი სოფლის ახალგაზრდული ანსამბლი გვიმართავს კონცერტს.

მთელი სოფელი აცილებს ბიჭებს, უკრავს ორკესტრი, ავტობუსი აღვილიდან იძვრის და ბიჭები სიმღერით ეთხოვებიან სოფელს.

* * *

საუბრით მივემართებით სახლისაკენ მე და გერონტის მთელი სახ-ლობა... მერე მათ ღამენებისას ვუსურვებ და ჭიშკარს ვაღებ. წკმუტუნით მეგებება აშვებული ძალლი.

— რომელი ხარ? — კითხულობს ხის ძირას მჯდარი ბაბუა
— მე ვარ! — ვეუბნები და გვერდით ვუჭდები.

ხვალ დილით მე უნდა წავიდე, ჩაგაწყობ ჩემოდანში მუსიკულუსტ-
ლიდებას და წავალ. ბაბუა ჭიშკრამდე მიმაცილებს, ბებია ღოლაბივით
სამჯერ შემომაბრუნებს წალმა და პირველის გადამწერს, მე გამეცინება
მის ცრუმორწმუნეობაზე, გამოვალებ ჭიშკარს და ლოკას მივუშვერ საკოც-
ნელად წამოწეულ დედას...

მივუახლოვდები ქეთის ჭიშკარს, გაიღება იგი და ღიმილსა და თვა-
ლებს მომაგებებს ქეთი.

— მალე დაბრუნდები? — შემეკითხებიან მისი თვალები.

— კი, — დავამშვიდებ მე, — კი!... — და წავალ.

— ჰკვიანად იყავი, შვილო! — მეტყვის დედა.

— მალე ჩამოი, ბიძია, დაპირება არ დაგავიწყდეს, თვარა ხომ იცი
ჩემი ამბავი, — გამაფრთხილებს გერონტი, — ჩამოგივარდები ქალაქში
და ვაი შენი ბრალი მაშინ.

— დავბრუნდები, აბა არა? — ვიტყვი მე, — აუცილებლად დავბრუ-
ნდები!..

შერე ერთხელ კიდევ მოვიხედავ უკან, თვალს შევავლებ ჭიშკართან
მდგარ, ჯოხზე დაყრდნობილ ბაბუას, ცრემლის წმენდაში გართულ ბები-
ას, მოწყენილ დედას, თვალებად ქცეულ ქეთის და, ისევ განვაგრძობ
გზას ავტობუსის გაჩერებისაკენ...

ვარუდილა ვარადა

ვარუდილა ვარადა,
დავალ კარიკარადა,
სოფლის თავში ლექსი ვპოვე,
სოფლის ბოლოს — ბალადა,
სანთელი და საკმეველი,
კვარიც დამაქვს კვარადა,
რაც ცუდია, არ დავზოგავ,
წყალს და მეწყერს გავატან,
რაც კარგია, ჩენი არის,
ვინ წაგვართმევს ძალადა,
ჩენი არის და ამიტომ
ვარუდილა ვარადა!

შარაგზაზე კაცი მოდის
გულის გასახარადა,
ვაჟკაცურად გესალმება,
ღიმილს ვეღარ ფარავ და
მიაძახებ: კაი კაცო,
მამულს ჰყავხარ ფარადა,
იცოცხლე და გაგიმარჯოს,
ვარუდილა ვარადა!

შრომა ისხამს მარგალიტებს
ყველგან, მთად და შარადა,

ვინც ქვეყანას განადიდებს,
ის ღიდია თავადაც.
ვის სამშობლო საქმით უყვარს,
უკვდავია მარადად,
კვამლი ცაში ააქვს ბუხარს,
ვარუდილა ვარადა.

ქალს სპეტაკი გული შვენის,
თვალადაც და ტანადაც,
სულით მახინჭს ვერ უშველის
ენამჭრელი თამადა.
სამკაული ვერ უშველის —
ოქრო-ვერცხლი მრავლადა,
ქალს კალთაში ბავშვი შვენის,
ვარუდილა ვარადა.

ვაჟკაცს შვენის მოთმინება,
სიტყვა — მამის კვალადა,
სხვის ბალჩაში ხილის კრეფა
არ იკაღლებს ძალადა.
ოქროს მხვეჭელს ოხრად რჩება
მაქენაც და კარადაც,
ოხრად რჩება და ამიტომ
ვარუდილა ვარადა!

მე სიკვდილი რას დამაკლებს,
თუნდ მომადგეს კარადა,
თუკი ჩემი მეგობრები
დამრჩებიან კარგადა.
თუ შვილები მეზრდებიან
ქვეყნის ხმლად და ფარადა,
მე სიმღერას რა დამილევს,
ვარუდილა ვარადა!

ჰე, მამულო! შენი გვიროვა
ჩვენ სიცოცხლე ვალეჭარერა
შენ გვეძახი, შეზოტერება
რკინად გვაძევე, რვალადა.
შენი დილის ცა-ლაუვარდმა
სულში შემომანათა,
ზეცა მღერის, მიწა მღერის —
ვარუდილა ვარადა!

თ ე პ ს ჭ ი გ ნ ი

თეა, შენთვის მიჩუქნია
 ეს ფერადი დიდი წიგნი.
 შიგ ჩაღვრილი მზის შუქია,
 ყურძნის სუნი არის შიგნით.

ჭირიცა და ლხინიც არის
 და ნახევარზღაპარია.
 ჩვენი თვალისჩინი არის —
 საქართველოს მთა-ბარია.

მთები არის ცადაწვდილი,
 ველებია ჭრელქათიბა.
 ვაჟკაცები გმირი, ზრდილი,
 ლამაზ ქალებს შვენით დიბა.

გლეხეცია მკლავმაგარი,
 დაკოურილი შვენის ხელი.
 სტუმარს ხვდება ღია კარი
 და სიმღერით სავსე ყელი.

კორდებს ხედავ ფერად-ფერადს?
 მინდვრებს ხედავ თავთუხიანს?
 აგერ ხედავ, ზღვა რომ ღელავს?
 ბალებს ხედავ, რა უხვია? —

შენი დედულ-მამულია,
 შენი დიდი სამოსახლო,
 ათას ცეცხლში გაუვლია,
 ბევრმა სამტროდ ხელი ახლო,

მაგრამ არვის დამორჩილდა,
 ქედი არვის მოუხარა.
 დგას ურყევი როგორც იღგა
 და იდგება ასე მარად,

და ჭართველის აგებული,
 მისი ხელით დახატული,
 ვით მფექავი დიდი გული
 დგას ოშკი და
 დგას ხახული.

და რომ მუდამ იელვაროს,
 კაცის ნიჭმა, კაცის აზრმა,
 მისი სიხარულით ხარობს
 ბანა,
 სხალთა,
 მცხეთა,
 ზარზმა.

შენი სალოცავი არის,
 შენი ხელის შესახები.
 გიხაროდეს ფუძე მყარი
 და უჭქნობი ვენახები,
 რადგან შენ ხარ ეს ვენახი,
 ახლადაყვავებული ხარ
 და თამარის სათნო სახის
 ხილვით გახარებული ხარ.

ეს კი შენი სატახტოა, —
გორგასალის ქალაქია
და რაც ჭადრის ნორჩი რტოა,
შენთან ფერხთქვეშ ალაგია.

გილოცავენ ფეხის აღგმას —
მოიარე საქართველო.
მზე ამოდის, მზეი აღდგა,
რომ შენი დღე გაათენოს.

ქართვლის დედა გზას
გილოცავს
უცელა დედის დიდი დედა.

არ გექნება, შვილო, 
ზრუნვა გელის ზედიშედული
გიგლიორთვა

საქმე დღესაც ბევრი არის,
ერთიორად გარჯა გმართებს —
მშრომელს ზრდიდე,
გმირსა ზრდიდე,
ზრდიდე ქართველ კოსმონავტებს,

რომ მიუწვდეს ქართველს ხელი
გალაქტიკის ციდან-ცამდის
და გზად ჰქონდეს გასავლელი
მზის სინათლის წელიწადი.

ჩევით ხერძე

დ ა გ ა დ ე გ ი ს დ ღ ე

ამ სპილოსძვლისფერ ფართო კარს იმედით ანთებული თვალები ის-რებივით აწყდებიან.

მოუთმენლად მოელიან მის გაღებას და თეთრხალათიანი ქალის გამოჩენას.

მოსაცდელში ბოლთასა სცემენ, მდუმარედ დააბოტებენ ახალგაზრდები, აგერ რაღაც წუთებში მშობლები რომ გახდებიან. მოთმინება აღარ ყოფნით გაჭალარავებულ ქალებსა და კაცებს, ბებიებსა და ბაბუებს! ყველას მზერა მიუჰყრია იქითვენ, საიდანაც ბედის განაჩენი ასე უბრალოდ ცხადდება...

და აი დიდი ხნის ნანატრი, ოცნებაში სათუთად ნაალერსები და ნალოლიავები წუთიც დგება. კარი იღება და ანგელოზივით თეთრადმოსილი ქალი გულთბილად იღიმება.

— მომილოცავს, ვაჟი შეგეძინათ!

— რომ იცოდეთ, რა კარგია, ვარსკვლავივით ბიჭია!

— რა ბუხულა ბავშვი დაიბადა! — აქეთ-იქით უხვად არიგებს სიხარულს იგი.

— გამჩენმა გაგახაროს! — ილოცება მოხუცი ქალი და მახარობლის ხალათის ჯიბეში ქაღალდის ფულის ჩაცურებას ცდილობს.

— მადლობა ღმერთს, ვაჟკაცის დაბადებას შევესწარი. ცხრა შვილი გავზარდე და შვილიშვილები ასე გამინატრეს! — ხმამაღლა ამბობს ბერიკაცი და შეჭირხლულ ულვაშებს ამაყად იგრიხავს.

— ეს რა ბეღნიერი დღე გაგვითენდა!

— სულ ვაჟკაცები იბადებიან.

ვეღარ მალავენ სიხარულს კაცის გაჩენით აღტაცებული ადამიანები...

მაღალი, თვალტანადი ჭაბუკი მოსაცდელში ისევ მღუმარედ დამოწოდებს და ხმის ამოღებასაც ვერ ბედავს...

ხუთი წლის წინათ ასე დაძაბული იდგა იგი საავადმყოფებრების და მოწოდების თანამდებობის უკეთებდნენ. ათასგვარი წაილის სუნი ნესტონებში ულიტინებდა და ყნოსვას უხშობდა. ძლივს იდგა. მუხლებში ძალა ელეოდა და უინებით მისჩერებოდა დახშულ კარს, თითქოს მხოლოდ იმ ფართო კარზე ეწერა და ცდილობდა ამოეკითხა მშობლის ბედ-ილბალი.

მერე რა მძიმედ, რა უსიცოცხლოდ გაიღო ის კარი...

მას შემდეგ აშინებდნენ, უსიამო გრძნობას იწვევდნენ ეს მოფუს-ფუსე, თეთრხალათიანი ადამიანები, მაგრამ ახლა რატომ მოაგონდა ყოველივე ეს? ის ხომ საავადმყოფო იყო, ეს კი სამშობიაროა, სიცოცხლის სახლი.

თითქოს რაღაც ხუთიოდე წელში მთელმა მისმა ცხოვრებამ ჩაიარა. ჭაბუკს მოეჩვენა, აგერ, ამ მხნე, ჭარმაგ მოხუცივით უკვე გათეთრდა.

— ვაჟია, ვაჟი! — მასაც მიახარა ქალმა და ხელი მაგრად ჩამოართვა.

ჭაბუკმა მაღლობის თქმაც ვეღარ მოახერხა, მზედაკრულ სახეზე სიხარულის შუქმა ელვასავით გადაუქროლა. გარეთ გამოვიდა და აკაცის ყვავილების სურნელით საამოდ გაჭერებულ, მყუდრო ქუჩას გაუყვა.

რა ბედნიერი დამთხვევაა, დღეს ოცდაორი წლისა შესრულდა და ვაჟიშვილიც შეეძინა, იგი მშობელი გახდა. უკვე მამა, მამ!

ნეტარებით თავბრუ ესხმოდა.

ახლა მთავარი იყო სახელის შერჩევა.

რა უნდა დაარქვას მაინც?

განა ცოტაა ქართული სახელი? — ვაჟა, ირაკლი, სულხანი...

არა, გადაწყდა, მორჩა და გათავდა, მამამისის სახელს დაარქმექს. მისთვისაც ხომ ბაბუას სახელი დაურქმევიათ.

ნარგიზას რომ ეწყინოს?

ვითომ რატომ უნდა ეწყინოს?

ბავშვი მაინც ეჩვენებინათ, ნეტავი ვის ჰგავს?

რა თქმა უნდა, მას ემგვანება.

ცოტა რომ წამოიზრდება, აუცილებლად ორბორბლიან ცისფერ ელოსიპედს უყიდის, მამის საფლავზე მიიყვანს, ფუნჩულა ხელებით პაბუას გულშე გაზაფხულის მშვენიერ ყვავილებს დააწყობინებს...

ო, რომ შეეძლოს მაშინ მშობელს მისი დანახვა!

მოვა დრო და ეს პატარა არსებაც, ახლა მტრების ხუნდს რომ ჰგავს, გაიზრდება და დავაუკაცდება. მასაც ეყოლება შვილები და შვილიშვილები. ისიც დაბერდება. პირველ ვაჟიშვილს უცილოდ მის სახელს დაარქმევს...

ასე გაგრძელდება და იტრიალებს ქვეყნად სიცოცხლე, იღორძინებს
მისი გვარი... მაშ რატომ დაურქმევია ხალხს ამ უსასრულო სიცოცხლის
ქარავანივით გაბმული ქვეყნისათვის წუთისოფელი?

ფიქრებიდან ტროლებიბუშა გამოიყანა, მთელი სისწრაფით ჩამოატარება
როლა, მტვერი და ცხელი ჰაერი სახეში საბერველივით, ქშენით შეაფრ-
ქვია.

ახლა გაახსენდა, ბაზარში უნდა წასულიყო. მეუღლისათვის სანოვა-
გე უნდა მოეტანა. საუკეთესო ღვინოსაც იყიდის, დაბადების დღეს აღნი-
შნავს, განა მეგობრები დააყენებენ? ბიჭის მამას ამდენი მილოცვა-მოლო-
ცვით ალბათ ყურებსაც გვარიანად დაახევენ...

ტროლებიბუში ღიმილით უცქეროდნენ, თითქოს ყველის გაეგო მი-
სი ბედნიერება. უნდოდა მათთან მისულიყო, ყველასათვის მადლობა ეთ-
ქვა და სათითაოდ ხელი ჩამოერთმია. სიხარულსაც უნდა გაზიარება, თო-
რემ გულს ბუდიდან ამოაგდებს, კაცს მეწყერივით წალეკავს.

ჭაბუქმა ჭიბიდან ხუთმანეთიანი ამოილო და კონდუქტორს გაუწოდა.

— თქვენი ჭირიმე, ფული არავის გადაახდევინოთ, ამ ხალხს მე ვპა-
ტიჟებ!

აქა-იქ სიცილიც გაისმა, ვიღაცამ მხრები აიჩეჩა, მთვრალიაო.
იგი მართლაც მთვრალი იყო.



იონჯისფერი ხალათი

იმ სიხარულს ვინ აღწერს, რასაც ჩვენ მაშინ განვიცდიდთ. ,
იმ აღტაცებითა და ბედნიერებით ანთებულ თვალებს ვინ დახატავს?
ასე მგონია, მასთან უძლურია სიტყვა ყოველი, დიდოსტატის კალამი,
საჭრეთელი თუ ჭადოსნური ფუნჯი.

ომი დამთავრდა!

მამა დაბრუნდა!

რამდენის მთქმელია ეს სიტყვები.

ჩვენი სიხარული უცებ მთელ უბანს ხანძარივით წაეკიდა. თურმე
სიხარული და მწუხარება ერთნაირად შესძრავენ და ააფორიაქებენ
ადამიანის სულს.

რაკი ოჯახში ბავშვებს შორის ყველაზე უფროსი მე ვიყავი და მა-
ხარობლობაც წილად მერგო, ლოგინად ჩაგარდნილი ბაბუა მთელი საათი

მეჩიჩინებოდა: თავი დამეჭირა, ერთბაშად არ მიმესალებინა დედასა-
თვის მამის ჩამოსვლის ამბავი.

შეპარვით ვუვლიდი, ვთოკავდი გრიგალივით ერთბაშად ქრისტენულ
განცდას.

აღარ მახსოვს ფაბრიკაში როგორ გავჩნდი. დედას წინ ავეტუზე.

— რა იყო, რატომ მოდი?

— ისე...

— სკოლაში ხომ არაფერი დააშავე, ბიჭო?

— არა.

— შენ რაღაც იცი, რა მოხდა?

— არაფერიც არ მომხდარა.

— წერილი ხომ არ მოსულა? — იყვირა დედამ.

— წერილი?... რომ მოვიდეს?

— უიმე, შვილო, აქა გაქვს?

— სახლშია, წამოდი, იცოდე, გული გაიმაგრე, სიხარულს ხომ გაუჭებ?

უცებ დაზგა გააჩერა, ხალათი გაიძრო და აცახცახებული ხელებით
კედელზე მიაკიდა.

— წერილი კი არა, ერთიც ვნახოთ, თვითონ ჩამოვიდეს? — გზაში
შევაპარე ახლა მე.

— ასეთ ბედნიერს ვინ გამხდის!

— იწერება და უსათუოდ ჩამოვა, აი ნახავ, თუ არ ჩამოვა, მაგრამ
მთავარია თავის შეკავება, ხომ იცი ჩვენს მეზობელს ელიკოს სიხა-
რულით რა მოუვიდა?

* * *

იმ საღამოს ოჯაში გვიანობამდე ვფხიზლობდით. არ ვიცი, ვის როდის
ჩაეძინა.

მამაჩემი საერთოდ გულჩათხრობილი კაცი იყო, ალერსი და მოფე-
რება არ უყვარდა. იმ დღეს მომეხვია, გაფიცხებული ტუჩებით ჩამქოცნა,
მერე, როგორც ადრე, ჩემი პატარაობისას იცოდა ხოლმე ჭალარა-
შერეული, ეკლებივით მჩხვლეტავი წვერით ლოყა ლოყაზე გამიხასუნა.
იმ ტკბილი ღიტინის გახსენება დღესაც მშობლიური სიყვარულის,
მხურვალე გრძნობისა და რაღაც საოცარი ნეტარების ურუანტელს მგვრის.

ღიმილში შევატყვე, როგორ უხაროდა მაშინ ჩემს საულვაშეზე ბატის
ჭუჭულივით ახლადაშლილი ღინღლის მოძალება.

დაქანცული მამა ზამბარებით აცმუკებულ საწოლზე წამოწვა, მაგრამ
წუთითაც ვეღარ მოისვენა, სანამ ქვეშაგები იატაზე ჯარისკაცურად არ
გაშლევინა.

მერე ჭირსა და ლხინში აღარ იშორებდა მამა ათას ცეცხლსა და /კან-
საცდელში გამოვლილ ტანსაცმელს.

ყოველ დილით გულდაგულ წმენდა, ხავერდით აპრიალებჭარს შეუტანის შემოვლილ სალაშქრო ჩექმებს, დედას ამოაკემსვინებრდლია უკუცა აქა-იქ გაცვეთილ ხალათს, გაახაძინებდა თეთრ საყელოს და კოტლობ გაუყვებოდა მშობლიურ ქალაქისაკენ.

* * *

საშუალო რომ დავამთავრე, სამუშაოდ დედასთან მოვეწყვე. მოუთხენ-
ლად მოვიღოდი პირველ ხელფასს.

გადავწყვიტე, სანამ მამა მუშაობას დაიწყებდა, ჩუმალ მისთვის ახალი ხალათი მეყიდა.

ԵՇՈՒՐԱԾ ՄԵՎՀՈՌԾՈ ՍԱՄԵՎՀՐՈ ԲԱԼԱՔԻԱՌԻ. ԴՎԱԼՈՒԹԱԾ ՄԵՎՈՂՄԱՆ, ՄԵ-
ՀՈՌԱՆ ՅԵԿԱՎՈՐ Ը ՅԱՐԳԵՑԾՈ ԲԱՑԻՆՏՈԼԸ ԽԱՐՈՍԿԱԿՐԵՑ, ԵՎՌՈՒՐԵԾ ԸԵՎ
ՈԵԿՑՈՒՄԱԾՅԵՐ ԻՆՑՈՒՐՆՄԱՆ ՅԱԼՈՒ ԽԱԼԱՏԵ, ՀՐՈՋՈՒՄԱԾ ՑՄԵԿԵԼՈ ՕՐԱԿԵՑԾ.

ის დღე შაბალი იყო. მაღაზიაში დიდალი ხალხი ირეოდა.

გიბეში ახლადაღებული ხელფასი მედო და ათასჭერ გადათვლილ თუ-
მნიანებს ღოვიან ხელს მაგრად კუტერდი.

იონგისძეები ხალათი აღარსავ ჩანდა.

အရမှုကြော်မှ လျမှုပိုစ္စ၊ ဒေဝါဒ မိဇ္ဇားပဲတော်။

ნათელად, ცოდვა გამეღავნებული სჭობსო. სწორედ იმ დღეს პირველი პეშანი მქონდა. ფეხსაცმელზე დახედვაც აღარ მინდოდა, ძირი გვარჩნდა. აღარც დაკერძება ერტებოდა. ბიჭებმა იხუმრეს კიდეც. — აცვო ამიზნი ნაჭრები თუ გქონდა, ბრემ ახალი შეგეკრაო.

და ასე გამოჩნდა ახალი საჭიროება. ხან პიგაკი შევიძინე, ხან შარგა-
ლი შემომზეა, ხან კიდევ ოჯახს დავეხმარე...

გუშინ მაღაზიას ჩავუარე, თვალი უნებლიერ იმ კუთხისაკენ გამექ-
ა. საკიდზე იონისფერი ხალათი დავინახე.

გული მეტანინა.

ରୁା କେନ୍ଦ୍ର ମାର୍କେଟ୍ କେବଳ ଏକ ଅଳାର ଆଣିବ!

სათლაგვში ჩამყვაბა ჯავრი ჭაბუკობის უამს გატეხილი სიტყვისა...

სახლი მორჩილებისა

აქ უწყინარი ქუჩის სიბნელე
 და შუალამის ჟამი მეფობდა.
 მთელი ქალაქი შემოვირბინე,
 ერთგულებისთვის ესეც მეყრდა.
 ახლა ვიდექი მჩერადაცლილი,
 უფრო დაკარგულ ლანდებს ვიჭერდი...
 თავი მეჭირა ფხიზელ კაცივით
 და არსათ არ მივაბიჯებდი.
 გაბოროტებით რა გვაცხოვრებდა
 მე, ღამესა და ამ სიმარტოვეს...
 სახლისთვის არც ჩვენ ვიყავთ უცხონი,
 სიფხიზლისათვის მაინც დავტოვეთ.
 სად მოვდიოდით როცა სიბნელე
 და შუალამის რეკდა საათი.
 მთელი ქალაქი შემოვირბინეთ,
 უკან მოგვდევდნენ ლანდები ზანტი.
 სად დაგვეწია ქუჩის მწევარი,
 ჩამოწერილი და უპატრონო,
 ჩემსაცით უბმო და უწყინარი,
 მაგრამ ერთერთს ხომ უნდა გვადროვონ,
 უნდა გაგვილონ სახლის კარები.
 სადაც წყდებიან ბნელი ქუჩები,
 ზღურბლზე შევდგებით აკანკალებით,
 სიცხიანი და მწველი ტუჩებით.
 მაგრამ მშველელი თითქოს არა ჩანს...
 ნუთუ ამ სახლშიც ბელავლნენ ტირილს,
 უფრო კარებში იღვნენ დარაჭად
 და გვაჩერებდნენ, როგორც დიდ ტკივილს,

სახლი გარედან ბრწყინავდა მხოლოდ
 და გამოსცემდა იღუმალ ბერებს,
 შიგ შეყუეული დალლილი ხარო,
 რომ აფხიზლებდა თავისთავს მერე-
 ნუთუ ამიტომ ბოლომდე ვსვამდი,
 ათასწლეული შემოვირბინე...
 დიდი ხნის წინათ რეკლა საათი,
 მაინც ახრჩობდა ღამეს სიბნელე.
 ახლა ვიდექი მზერადაცლილი,
 უფრო დაკარგულ ლანდებს ვიჭერდი,
 თავი მეჭირა ფხიზელ კაცვით
 და არსათ არ მივაბიჯებდი.
 ჩრდილი, რომელც მახლდა წინათაც
 იცრიცებოდა ახლა ცახცახით —
 როცა ღამეში უცხოდ ბრწყინავდა
 იღუმალებით მოცული სახლი.

მემობარ პოეტს

რუსთველის ქუჩა, მიმწუხრისას ფოთლების ცვენა.
 ამ დღეთა ღელვა მოგონებით გულს ისევ ანთებს,
 მტკვრის ხეობიდან უცნაურად გვზვერავდა ელვა, —
 ავჭალის ქარი გვისინჯავდა მაზარის კალთებს.
 ალბათ ითვლიდა ნატყვიარს და ნაღმის ნაკენწლავს,
 ცეცხლიან გზებზე ვით გვაქროლა ომის ქარებმა...
 სულში გრიგალმა იმოდენა ცეცხლი ჩაკეცა,
 ჩვენი მოძულეც უნდა გრძნობდეს მის ელვარებას,
 ვიდოდნენ დღენი და ცვდებოდა ჩვენი მაზარა,
 თუმც სიყვარულში არ ცხრებოდა კვლავ ლერწმის ღერც,
 რა მძიმე იყო, ო, რა მძიმე ჩვენი გზა-შარა,
 ალმოდებული სიჭაბუკა, — ცეცხლთან ნამღერი,
 სად გადიკარგნენ მოლექსენი, ის ძმაკაცები!..
 ზოგ მათგანს იქნებ ნააღრევად გაუშებდა სიმი,
 ლექსისთვის მარტო არა კმარა თურმე განცდები,
 თუ ქრისტეს მსგავსად არ იტვირთავ მხრებს ჯვრის სიმძიმით...
 ვინ იცის, ზოგიც აღარ არის ამ ქვეყანაზე,
 შეკედლებიან მარადიულ საფლავის ლოდებს.
 ჩვენ მათი ძმობა, სიტყვის ეშხი და სილამაზე
 რადგან კაცური შემართებით გზადაგზა მოგვსდევს,
 მოდი, ვახსენოთ დღეს სუფრასთან ყველა უკლებლივ, —
 დავლოცოთ დიდი პოეზიის მზე და მარჯანი,
 და რაც მგოსნისთვის გაიმეტა თვითონ ბუნებამ —
 ცრემლიც, ღიმილიც სიყვარულში დასახარჯავი.

თუმც ქარიშხლების დაცხრა ხმაური,
 ზღვაური სევდა კვლავ შენგან მაწევს, —
 ვარ მეზღვაური ხელმოცარული
 და ვურიგდები დამსცრეულ ანძებს.
 თითქოს უცნაურ წვით და ზმანებით,
 კვლავ შენ განაგებ ჩემს ფიქრს სრულიად,
 ჩაძირულია შენი თვალები
 ჩემს გულში როგორც დიოსკურია.

დაგვიანებული მერცხლები

წალკოტში გაბმულ სინათლის ლარებს,
 სიო რომ არწევს ფაქიზად, ნელა,
 მივაპყრობ მზერას და ჩამაფიქრებს
 კუდმაკრატელა მერცხლების ლელვა.

შემოდგომა და მერცხალი ერთად?
 მიკვირს საკუთარ ფიქრის განდობა,
 სადღაც აპრილი მაშინებს მკვეთრად, —
 ბრალი არა აქვს იმის მხატვრობას.

დაგვიანება თვითონ ინებეს,
 თუმც ინდოეთში ისევ ელიან; —
 სხედან თითქოსდა ჩანგის სიმებზე
 და ზღაპრულ მთა-ბარს ვერ ელევიან.

ნეტავ იმას...

ზღვის ტალღა კვნესით აწყდება ნაპირს,
 და ჰა სულს ლაფავს ბებერ ლოდებთან,
 შორს კი სივრცეში, გაშლილი აფრა
 ხელს მიქნევს, მიქნევს და თან მშორდება.

გაძერცვნილ, გაყვლეფილ ტოტს ვაკვირდები
 და უნებურად კიდეც ვლონდები,
 მუხის ფესვებთან რისთვის დაობენ
 გაყვითლებული მჭერარი ფოთლები?
 მაღალ კბოდეზე ერთი ლერწამი
 ქარის ზუზუნში გადატეხილა,
 ღმერთო, რას ნიშნავს ნეტავ ის წამი,
 ან ამნაირი ზმანების ხილვა!

გავლიე ღამე,
 ფიქრთა სიცხოვლეს
 შჩერ მოაფინა მზიური აზრი,
 ნეტავი იმას, ვისი სიცოცხლეც
 მზისებრ მარადეამ ლამაზი არი.

მე ჯერ დუმილთან...

მე ჯერ დუმილთან ვერ დავზავდები,
 მინდა გულისთქმა ყველამ იცოდეს: —
 წლებმ! ო, ისე ნუ დაზამთრდებით,
 რომ გაზაფხული გამიუცხოვდეს.
 აი, ეს ლექსიც მე თქვენგან მშვენის,
 მისთვის მიჭირავს თავი ამაყალ,
 ვიცი, ჯერ ბევრი ვალი მაქვს თქვენი
 და დამაცალეთ ვალის გადახდა.

სიმღერები ესეც მეყოფა

ვის რა სურს ქვეყნად ვინ მოსთვლის,
ვინ თქვას ვინ ვისოვის ვალალებს!
შარბათი წუთისოფლისა
მსურს იყოს ჩემთვის ალალი.

სულ მზით ბრწყინავდეს მამული,
კერავინ შეძლოს ხელყოფა;
მშვიდობა და სიყვარული
მარად სიმღერები მეყოფა,

* * *

სიტყვავ, სიცოცხლის მზევ და მაისო,
სალექსო პწყარად თუ აენთები,
იყავ უკვდავი სამარადისოდ,
ვით სვეტიცხოვლის ორნამენტები.
გაჰყევი ზღვაურს, მის გაშლილ ფრთებზე
კიბარისები ლალად შეირჩა,
ბულბულის მსგავსად, მოჩითულ სერზე,
გულს უთაფლავდეს მეზვრეს შენი ხმა.

ეკაკი შონია

მემღებეთის სტუდიი

ახლა, როცა ამ ამბავს გიყვებით, სულეიმან დემირჩი ჩვენგან შორსაა, მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, კოჭაელის ვილაიეთის სოფელ სერვეთში. ოლბათ, გუშინ ჩავიდოდა, დღეს კი თვალშინ მეხატება თავის ჯალაბში ჩამჯდარ-ჩამტკბარი შუახნის კაცი, რომელიც მეულლეს, შვილებსა და შვილიშვილებს ახარებს დიდ მემლექეთში ნახულ-გაგონილოთ. მას არ მოასვენებენ, ვიდრე ყველაფერს არ გადმოალაგებს. ოც ნათესავები და მეზობლები მოეშვებიან. კურჩები სხვა სოფლებიდანაც მოაქითხავენ. ყველას აინტერესებს შორს მყოფი ახლობლების ავან-ჩავანი, მუჰამად-თაგან მიტოვებული ალაგის ასავალ-დასავალი.

თვითონ სულეიმანი სულ იმას ოცნებობდა, მამის დანაბარები როგორმე შეესრულებინა, ერთი სული ჰქონდა, ბაბაი რომ დაიბადა, ის ადგილი ენახა, ბიძაშვილებს გადახვეოდა, იმათი ძირძველი სიცოცხლის ხის თუნდაც ერთი ფოთოლი ჩაედო გულჯიბეში და თილისმასავით ეტარებინა. ეს სურვილი უფრო მაშინ დაეუფლებოდა ხოლმე მთელს მის არსებას, როცა ვილაიეთის ადმინისტრაციულ ცენტრს ქალაქ იზმითს ესტუმრებოდა და ნავსაღვრუში მზეზე მოელვარე, ქათქათა ხომალდებს დაინახავდა, ან რკინიგზის სადგურიდან დაძრულ მატარებელს თვალს გააყოლებდა.

იზმითის ყურეში რამდენჯერ უნახავს ბათუმისკენ მიმავალი ხომალდი და უნატრია, მის გემბანზე დამსვაო, რამდენჯერ ასულა კოჭაკათრანის ქედზე, რომ იქიდან მემლექეთი დაელანდა, მაგრამ თვალსაწიერზე არ ჩანდა იგი, შორს იყო. ოც გურჯისტანიდან ჩამოსულა ვინმე, ოც აქედან წასულა არავინ. ასე გავიდა ათეული წლები. და მანა, ანატოლიის ამ კუთხის გურჯთავან პირველმა, გუდა-ნაბადი იკრა და ბაბაის ვათანისაკენ მიმავალ გზას დაადგა. სათქმელად ადვილია, გუდა-ნაბადი

ორი დღე-დღე დაპყო სულეიმანმა შატრაქებელში იზმიქმდა და და ცი ნინაუაზმდე. საკუთარ თავთან განმარტოებულს რა არ გაახსენდა. სულ თვალშინ ერგა მუდამ ვაუხარელი, სევდიანი, ქედმოხრილი ბაბაი, სიკე-დილის წინ მემლექეთის მიწას რომ ნატრობდა. ისიც მოაგონდა, ხალხში თუ დაუძახებდა სულეიმანს, თორებ შენაურობაში სულიას უხმობდა.

სულიამ იცის, რა უბედურება გადახდა მის მშობელს, რამ მოიყანა
აქ. მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, როგორ ენატრებოდა იქ დარჩენი-
ლი მამისა და ძმის ნახევა. მუჭაჭირს მაინც იმან უშველა, რომ თან გაჟყვა
ნებე, შეილისათვის თავისწირული ქალი.

ასე ორად გაიპო ურთი ოჯახი.

အောင် အမြန်လောက်စွဲတော်မြတ်များ ပေါ်လောက်ခဲ့သည်။

ერთს ისე ღრმად ჰქონდა მშობლიურ მიწაში ფესვი გადგმული, რომ იქიდან ვერ ამოგლივეს, ვერ დასძრეს; ვერც ცარიზმის მოხელეთა თავგასულობამ, ვერც ხოჯებისა და მოლების გაუთავებელმა ჩიჩინმა, ვერც სასალოს აკრტების მუქარამ ვერ გასჭრა — რომელი მომათავებს სულერთია, ქეთანც აგრე, ჩემი ლობის ძირში დაიმარხებით.

ნეორე მდა ვერ გამოდგა მუხლმაგარი, მიწაზე ფეხი დაუცურდა,
შეტორტმანდა და ვინაც უფრო მარჯვედ დაავლო ხელი, იმან დაითრია,
დაითრია და, ეჭე, სად გადააგდო!

ორი მმის მეტვიდან რა ხანია ცხოვრობენ ამქვეყნად, მაგრამ ერთმანეთისა არა იციან რა. ოღონდაც ნახოს თავისი ბიიაშვილები, მეტი არაფერი უნდა სულის. თანაც შიშობს, ვაი თუ სხვა ენაზე ლაპარაკობენ. სერვეთში მოხუცებისგან სმენია, მემლექეთში გურჯების ენას ძაღლის ენას ეძახიანო და ოჯებში თუ წიიჩურჩულებენ, თორემ გარეთ, ხალხში, სკოლაში, მეჯლისში, ყველგან იმ სხვა ენას ამტკრევენო.

განა კოჭაელის ვილაიეთშიც ეგრე არ არის? გურჯებს თავის ენაზე
სახაროდ ლაპარაკი აკრძალული აქვთ. თუმცა, რა გამოდის — ისინი მაინც
არ იმლიან თავისას, თურქებსც მოძეზრდათ ამდენი ყიყინი და მოეშვე-
ჩენ. სამავიეროდ წერა-კითხვას ისეთი მძიმე ურდფული დაადვეს. რომ
სულიას სოფელში, მახლობელ ბეიუქ-დაიმასა და ქუჩჩუქ-დაიმაში, აღსა-
რქოისა და ჰასანიეში არავის უნახავს ჩვენი წიგნი და ურნალ-გაზეთები.
ის კი არა, ჩვენი ანბანისთვის თვალიც არ მოუკრავთ. თვითონ გლეხე-
ცის, ვთქვათ, ბეჩია, სიძე ხომ ნასწავლია, სკოლის დირექტორი. იმასაც
რომ არ უნახავს ვურჯების დევოთერი! მუჭაჭირთა ნაშეირები სწავლა-
განათლებას ეტანებიან, სხვებზე მეტადაც, მაგრამ მხოლოდ თურქული
ენით თუ მიუწვდობათ ხელი.

Այս ընդունակությունը պահանջվում է ամենահաճախ օգտագործվող առաջնահարցերի համար:

ასეა, მაშინ რა უნდა ქნას, რა ენაზე ელაპარაკოს ბიძაშვილებს? ბიზონი ბით? მუნჯურად?

ეს შიში მყისვე გაქტრა, როგორც კი ჩამოვიდა ლენინაკანის უკრაინულ კულტურულ და დიდი მემლექეთის დედაქალაქს ყური მიუგდო.

米 米 米

ლაშეა. სადაცაა გათენდება და მაინც არ ეკარება მის თვალებს ძილი. მისი ფიქრები აქც, მატარებელში, კვლავ თბილის დასტრიალებს. ამ-დენი არც ანკარაში ურბენია და არც ისტამბულში. არც ამდენი რამ უნა-ხას. არც ასეთი თვალტანად ქალიშვილები და ჭაბუკები შეხვედრია. რა სამოდ, რა ლალად ისმის მათი პირიდან გურჯების ენა. ოღონდჲ ოღნავ ნელა რომ ილაპარაკებდნენ, უფრო კარგად გაარჩევდა თითოეულ სიტყვას.

სულის თავი მოსწონს გურჯობით და ახასიათოს ამ ინამ მის საკუთრებულებების. მაგრამ დღეს ნამდვილად შერცხვა. მერე ამ იყითხვით როგორ შერცხვა?

— ქართველი ხარ? — ღაინტერესდა ვიღაც ბუხურა კაცი მისი ვ-ნაობით.

— კინაა ჭო ქართველი! — ისე ერთბაშად აენთო და შეუყვირა სუ-
ლიან, რომ უცნობი სახტად დარჩა.

— თუ გესირცხვება, შე კაცო, რაღას მექანოლები!

— የዚህ ማስታወሻ በመሆኑ እንደሆነ የሚከተሉት ደንብ የሚያሳይበት ይችላል፡—

--- გურჯი და ქართველი ერთი და იგვე ან არის? — პირზე ლიძა-
ლი მოვლია უცნობს.

ეს დიალოგი დაიწყო მთავრობის სასახლის შინ და დასრულდა იქვე
ახლოს, „ინტურისტის“ აღმოსავლურ რესტორანში. თითო შუშა „შინან-
დალი“ გამოსცალეს, საღლევრძელობიც თქვეს და ქართველებად დაშო-
რინებ ერთმანეთა.

როგორ დარცხენილი იყო სულია. აგერ ორმოცდათ წელს მიაღწია
და დღემდე ერთხელაც არ გაუგონია „საქართველო“, „ქართველი“...
და დღე „მემლექეთი“, „გურჯისტანი“, „გურჯი“...

მის მიწას, პირველად შეხვდება თავის ბიძაშვილებს. გლეხურ ჩვევას არც ახლა უღალატა, უთენია ადგა, ხელ-პირი დაიბანა, კოხტად გამოვწყოფა და ვაგონის სარკმელს მდადგა.

სოფლები იღვიძებენ. საღლაც პაწიმა ისე დაიწიკვინა, როგორ მარტინი უკური მოჰკრა და თავისი ნაბოლარა მოაგონდა, მოაგონდა და ჭუთთ სერვეთს დაუბრუნდა. იქაც ასეაივე ეზოებია, ხეხილით დამშვენებული, მწვანედ აბიძინებული. ოდა-სახლებიც ჰგავს, მაგრამ სიღადეში ჩამორჩება. ეტყობა, ეს ორსართულიანი ქვითკირის შენობები სულ ახალნაგებია.

მზე კარგა მაღლა ამოიწვერა. ფართო მოასფალტებულ გზაზე, რკინიგზის რომ გასდევს, მიმოჭრიან ავტომანქანები. სულიამ შეამჩნია, რომ შევრ საშენ მასალას ეზიდებიან. გამომჩნენ ზღვისპირის, ტანკენარ ხეებს შორის ზღვისრულ გოლიათებივით ამოსული ახალშენებარე სახლები; უშველებელი პწევბი, აღამიანები, მატარებელი ქობულეთში შედის. გაგონში გამოცოცხლება იგრძნობა, ხუმრობენ, იყინიან. სულიას ყველაფერი ესმის და ეცინება, მაგრამ პირზე ხელს იფარებს. კბილმა ადრე უღალატა, წინა კბილები თითქმის სულ ჩამოუცვივდა. თითო-ორიოდა რომ შერჩა, ისიც გაცვეთილ-დალეული და გაშავებულია. განსაკუთრებით მანცილოსნებისა რცხვენია. ქართველ კაცს თავმოყვარეობა არსად არ ტოვებს — ერთი ისე ამოიხსრა, რომ ჯიგარი თან ამოაყოლა. მართალია, შვილიშვილები ჰყავს, დიდბაბაა, მაგრამ ჩაჩანაკი არ არის. და თითქმის ეს უნდა დაამტკიცოს, საქმაოდ ელეგანტურად, კოხტად გაიარ-გაშოიარა ქობულეთის საღურში.

მატარებელი ვზას განაგრძობს. თვალწინ იშლება ჩაქვის დიდებული სანახები. შემდეგ ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჭაური... ასეთი მომჯადოებელი სილამაზე ჯერ არ უნახავს სულიას. მარმარილოს ზღვის სანაპიროებიც მომხიბლავია, მაგრამ ამას ვერ შეედრება. ეს ჯენეთია, ნამდვილი ჯენეთი. სერვეთში ხოჯა რომ უხატავს ისეთი. ხოჯას უსიტყვო ხსენებაზეც კი მოაგონდა, რომ აგერ მეოთხე დღეა ნამაზი არ შეუსრულებია. და მაინც არ ეშინია, მაჲმადის გულმოწყალების იმედი აქვს. შორეულ მოგზაურობაში ბეინამაზი ცოდვად არ ითვლება, თუ დაბრუნების შემდეგ ამოავსებ ხარვეზს. ამგვარი შეღავათი ჭეშმარიტი მორწმუნისაფვის დიდს ნიშნავს, მით უმტეს მაშინ, როცა აკრძალულ სითხეს — ღვინოს ეტანება. ღვინო კი, მოგეცათ ლხენა, მის ბიძაშვილებს იმდენი უსხიათ ჭურებში, რომ მემლექეთის ერთ სტუმარს კი არა, მთელი სერვეთი რომ ჩამოვიდეს, იმას უყოფა დასათრობად.

* * *

აგერ ათ დღეზე მეტია ხარობენ ბიძაშვილები და ჩვენც ვიზიარებთ მათ სიხარულს.

ვინ ვართ ჩვენ? — მეგობრები, მეზობლები, საქმე რომ გვაკავშირებს

ისეთი ადამიანები, შორეთიდან მოსულის ქართული სიტყვა ძვრაჭრო
გვიღირს, იმგვარები. და განა მარტო ჩვენ!...

ოქვენ უნდა გენახათ რა ამბავი დატრიალდა ბათუმის სტამიტალი-
გიურ პოლიკლინიკაში. როცა იქ სულია მიიყვანეს. თითქმის შეუცველებულ
მოელაპარაკა და დარწმუნდა, რომ სერვეტში დაბადებული და გაზრდი-
ლი გურჯი შევენივრად ფლობს ქართულს.

ახლა სულია პირზე ჩელ: არ იფარებს. თამამად იცინის და სადაფე-
ბივით მორიალე ქბილებს აჩენს. მოინახულა ბაბაის სოფელი გეგელიძე-
ები, ეწვია შახლობელ თუ შორეულ ნათესავებს. ყველგან სულითა და
გულით უმასპინძლეს. მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა უჭახუნებდა ჩხა-
ვერით მოპიპინებულ ჭიქას. ქედის რაიონის სოფლებში ხომ მევენახეობა
და მელვინეობა მთავარ ხელობად იქცის. წონიარისის ჩხავერს არც კა-
ხეთში დაიწუნებენ და არც ბორდოში. ცხონებული ბიძის სახლ-კარი კი
მიუტოვებიათ შვილებს. ქალაქში გადაბარგებულან და იქ დიდადც გამო-
უჩნიათ თავი, მაგრამ ყურადღებას არ იქლებენ. ხუთასამდე ძირი ვაზი
ჩაუყრიათ. ყველაფერს ვამრჩე ხელი ატყვია. კვირა არ გავა, რომ ამ მთა-
კორტობზე არ ამოვიდნენ და აქედან არ გადახედონ არემარეს. სულია ამ-
ბობს, ეს ადგილი ძალუანი ჰგავსო სერვეტს. ვინ იცის, იქნებ ამიტომაც
დაიდო იქ ბინა ბედკრულმა მუჰაჯირმა.

ვაზი სერვეტშიც ხარობს, მაგრამ ძალიან მცირე ფართობზე აქვთ
გაშენებული. ღვინის დაყენებას ხომ ვერავინ გაბედავს. ეს უფრო დიდი
დანაშაულია, ვიდრე დალევა ღვინისა. ზეციერმა იცის, რომ ყურძენი და
ქიშმიში უფრო მარგებელია და რაც მარგებელია იმას სთავაზობს კეთილ-
მორწმუნე ადამიანებს. აქაც ჩანს მისი მამობრივი მზრუნველი ხელი.

ვაზილი და ლევა მოდის ბევრი. არც ჭამასა და გაყიდვას კრძალავს
ვინმე, მაგრამ ხილით ხომ ვერ ირჩებ თავს. მთავარი მაინც ხორბალი და
სიმინდია. ბოლო ხანს სიმინდის ფასი დაეცა და სულიამ კარგა მოზრდი-
ლი ფართობი კარტოფილს დაუთმო. როგორც კი აიღებს მოსავალს, მოი-
ჯარე სატვირთო მანქანით მოადგება, მოურიგდება, იქვე ფულს ჩაუთვ-
ლის და კარტოფილს იზმითში წაიღებს. კარგად იცის მისი მაზანდა და
ამიტომ იჩენს ასეთ შესაშურ თქერატიულობას.

სულია ყაირათიანი გლეხია, მისხლობით ზომავს ყველაფერს. სხვა-
ნაირად არ შეიძლება, ბეჭედირათობას შიმშილით სიკვდილი - მოსდევს.
კოლმეურნეობის ზვრები ნახა, ჩაის პლანტაციაც, თამბაქოს ნაკვეთებიც,
ჭიშიანი პირუტყვის ფერმაც ნახირს საბალახოდ რომ მიერეკებოდნენ,
ერთი ძროხა გამოარჩია და კარგა ხანს უყურა, გავაზე ხელი დაუსვა, გი-
ქანიც მოუსინგა, მოეფერა, კინალამ ცრემლი მოადგა. სწორედ ასეთი,
ამ ტანის, ამ ფერის იყო, ძროხა რომ ეზარალა.

ჩია ძროხებმა ვერაფერი სარგებელი მისცა და გადაწყვიტა, ერთი
დიდი, კარგი მეწველი ძროხა შეეძინა. შარშანწინ რის ვაი-ვაგლახით მოა-

ხერხა ეს და მტერს თვალი დაუყენა, მაგრამ სიხარული ხანმოკლე იყო, ძროხას „თვალი ეცა“, დავარდა, ცაცახებდა, გულსაკლავად ბორის რა უწამდა, რა არ შეულოცა, მაინც ვერ უშველა. სამი დღე-ლამე დანა ეჭირა ხელში და ისე ადგა თავზე. ბოლოს მაინც ის დანა გახდის უკანასკნელი დაკლა და ხორცად გაყიდა. იზარალა.

სულიას დღესაც აკლია გულს, რომ ძროხას კისერზე სათვალე-ღვრინვილი არ შეაბა — ავი თვალისგან დაიფარავდაო. ნათვალევის წამალიც ვვინან მომიტანესო. მაინც დამაინც მაშინ შემექრა ხელ-ფეხი, თორემ ვინ იცის, იქნებ უფალს გადმოექედაო. მორწმუნე კაცია, ღვთის იმედიცა აქვს და შიშიც. რა ვუყოთ რომ ღვინოს სვამს, სამაგიეროდ არაუკი ეჭავრება. სადღაც გაუგონია და სჯერა, რომ ჭიქ არაყში მეტი ადამიანი იღუპება, ვიღრე ზღვაში.

ნამეტანი გვახარებდა შემლექეთის სტუმრის უშუალობა. ის სულაც არ ფრქრობდა იმაზე, თუ რა ეთქვა ჩვენთვის და რა დაემალა. ყველაფერს ალალად ამბობდა. არც ის დაუმალავს, რომ ახლა თურქებზე უფრო გურჯები არიან ჩაბლაუჭებულნი მუსლიმანურ ადათ-წესებს. ბევრი თურქი რამაზანს არ ინახავს, ამ უსაშველო მარხვის თვეს დღისით, მზისით, აშკარად სვამს, ჭამს და მაჰმადის წყრომისა სულ არ ეშინია. მაღაზიებსა და რესტორნებში რომელი ქვეყნის ღვინო გინდა რომ არ იყიდებოდეს. მიღით და აქრძალეთ — თურქი ვაჭრები დუელში გამოიწვევენ მაჰმადს!

ნამაზსაც უკლეს. ეხუმრებით დღეში ხუთჯერ ლოცვას! რას იზამ, თუ გინდა საუკუნო ტანჯვა აიცდინო, ჯერენებში არ მოხვდე, უნდა ილოცო. ჯენეთის, მარადიული ნეტარების გზა მეჩეთზე გადის. ბიძაშვილებმა ისლამის აღმსარებელს უთხრეს, ბათუმში მეჩეთია და მიღი ილოცეო. წავიდა, მაგრამ განცვიფრებული დაბრუნდა; იქ მხოლოდ ბებრები დალასლასებდნენ. მლოცველთა შორის იგი, ორმოცდაათი წლის კაცი, ყველაზე ახალგაზრდა ჩახდა. მან წარმოიდგინა, რა იქნება ოცი-ოცდაათი წლის შებდევ, როცა ამ მოხუცებს მაჰმადი თავისთან იხმობს და, ალბათ, როგორც ჭეშმარიტ მორწმუნეთ, ჯენეთში მიუჩენს ადგილს.

სულიას ბიძაშვილებმა არც რამაზანი იციან და არც ნამაზი, არც ჭენეთი სწამთ და არც ჭეპენემი, მაგრამ როგორ ჰყადრებს, გიაურები ხართო, ნაწავლი ხალხისაგან არაფერი უკვირს.

ქართველი კაცი, ნასწავლი იქნებოდა ის თუ უსწავლელი, არასდროს არ ყოფილა ღვთის მონა, ღვთის გლახა. იგი დიდებულ ტაძრებს, ეკლესიებსა და სამლოცველოებს აგებდა, მთელ მსოფლიოს ანცვიფრებდა თავისი არქიტექტურული გენით და ახირებულად არავის უხრიდა თავს. ვინაც სვეტიცხოველი და გვარის მონასტერი, სხალთის ტაძარი, ზარზმა, ბანა, ხახული, ოშკი ააშენა, სრულყოფას მიაღწია და ზეციერისადმი შიშის გრძნობაც გაუწელდა.

ერთმა ძმაკაცმა მოგვითხრო, როგორ აღმართა ხელი მისმა ბაბუამ

მაცხოვრის წინააღმდეგ. მას არასდროს არ უნახავს ეკლესის კარი, პირ-ჯვარიც არ გადაუსახავს. არც მარხვა იცოდა და არც უველიერი შემოთლობით რომ ქვენდა, პარხვის დღეათ, იტყოდა. თუნთრუბელი ოთხის ხორცის რომ მოუხარშავდნენ და მჟადთან ერთად მიუტანდნენ უფალოება ღმერთს, მარხვა დამთავრებულაო, და მაღლა აიხედავდა, ვითომ მადლობას უძღვნიდა ზეცას. ასე ექილიკებოდა ღმერთს. უკანასკნელად სიკვდილის სარეცელს მიგაჭულმა, ოთხმოცდათს გადაცილებულმა ღვთის მგმობელმა თითქოს სცადა მონანიება და თანხმობა მისცა მარკოზ ბერს (იგი მუდამ სასაცილოდ ჰყავდა აგდებული), რომ ზიარებას მიიღებდა. შეამზადეს ტკბილი ზედაშე და პირთან მიუტანეს. ტუჩები დამუწა. საბრძიდან ხელის გამოტანას ცდილობდა. შვილს უნდოდა, მიშველებოდა, მაგრამ ღვთის მსახურმა დაუშალა, უმჯობესია იწვალოს, უფრო მეტი ექნება შენდობა, ცოდვებს უფრო მოინანიებსო.

კარგა ხანს წვალობდა მომაკვდავი. როგორც იქნა გამოიტანა ხელი და ის იყო სამოიხისაცენ უნდა ექნა პირი, რომ დაუძლურებული ხელი ჰქონა ჭიქას და ზიარება გადაღვარა.

გარკოზ ბერი მუხლებზე დაეცა და თავი ურახუნა იატაქს. მერე აღა-პყრო ხელები და უფალს შეჰვალადა: უფალო შეუნდე, რამე თუ არა უწყოდეს რასა იქმსო.

ბოხუცი პირზე ღრმმორეული უმზერდა ამ სურათს. და ეს ღიმილი დააკვდა ტუჩებზე.

ეს ამბავი სუფრაზე იქვეა და მას ჩეენი შანაპრების სადღეგრძელო მოაყვა. ერთად, ერთ ჭიქაში მოვათავსეთ ქვეყნის გამჩენთან დაჭიდებული ბოხუცისა და სულიის გამის, ბიძისა და სხვათა სულის შესანდობარი.

* * *

სერვეთში ორასზე მეტი გურჯის ოჯახია. აქედან სამოცი ლაზისაა. თურქთაგან იქ არავინ ცხოვრობს. ასეა გურჯების ყველა სოფელში. იმ-თავითვე წესად დაიდგეს, ქალი უცხო ტომის კაცი არ გაატანონ. სულიის ქალიშვილი მერიემი გურჯის მისთხოვდა, მასწავლებელს. მერიემი ყველაზე უფროსია. მისი მომდევნონ ცხრა ვაჟიშვილი, როგორც კი საქორწინო ასაკი მიაღწევენ, მხოლოდ გურჯის ასულებს დაისვამენ პატარ-ძლებად.

ამ წესით ანმტკიცებენ თვითმყოფობას, თურქულ გარემოში არ ითქვიფებიან, მამა-პაპათა ენას ინარჩუნებენ, შინაურობაში მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ. ქალთა უმრავლესობამ თურქული ენა არ იცის, ამას ხსნიან იმითი, რომ გოგონები სკოლაში არ შეჰყავთ. იქ სწავლება მხოლოდ და მხოლოდ თურქულ ენაზეა.

ათი წლის წინანდელი თურქული ოფიციალური კნობის მიხედვით
ქართულ ენას, ლაზურის ჩათვლით, მშობლიურ ენად სთვლიდდ არის დათხუთმეტ ათასზე მეტი კაცი, მეორე სალაპარაკო ენად — ორმაგი კაცი ათასი ათასი. გამოდის, რომ თურქეთში ქართველთა საერთო რიცხვი უმაღლესი ათასს შეადგენს. ამ რიცხვში სულია არ შედის. იმიტომ, რომ თურქული კარგად იცის, და ვანა მარტო სულია, ბევრი, ძალიან ბევრი ქართველი თურქად არის მითვლილი.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს რაფიელ ერისთავი წერდა: ასმალეთის საქართველოში, გაბედვით ვიტყვი, უნდა იყოს უმეტეს ერთი მილიონი ქართველის ჭიშისა, რომელიც დღეს ქართულად ლაპარაკობენ. თანამედროვე მცვლევარ-მოღვაწენი უფრო მეტ სიტრთხილეს იჩენენ — ხუთასი ათასი ასახელებენ. ჩვენი სულია კი ამბობს, ამდენი გურჯი მარტო იზმითისა და ბურსას მხარეში იქნებათ, მას უნდა, რაც შეიძლება მეტი გურჯი იყოს ამჯვერნად და, ალბათ, ამიტომ ამეტებს.

ვთქვათ ხუთასი ათასია, გინდ ასი ათასი. რატომ არ შეიძლება თავის ენაზე ისწავლონ, საკუთარი სკოლა ჰქონდეთ. ამით რა დაუშვედებათ თურქებს? ასე გულუბრყვალოდ მსჯელობს სულია. ეჭ, ჩემო ძმაო, რას ვუშვებდით თურქეთის მმართველებს, როცა ჩვენს მიწებს იპყრობდნენ, ცეცხლითა და მახვილით სპობდნენ ყოველივე ქართულსა და ავრცელებდნენ მაპმალიანობას? რატომ დაანვრიეს ქართული ხუროთმოძღვრების დადებული ქეგლები — ხახული, ბანა, იშეი? რატომ მოჰკვეთეს თავი სახელოვან მამულიშვილს სელიმ ხიმშიაშვილს?

იმ უსაშეელო ისტორიულ კექა-ქუხილში, მეხიტეხაში ბევრი რამ პიოსაო, ბევრი რომ წალეკა სისხლის წვიმებმა, მაგრამ ყველაფერი კი არი. დღესაც ისევ ისე ღვას სხალთის ტაძარი. მისი შერუჭული კედლები, ცერმითი ფრესკები, იქვე ახლოს შემონახული ძველი მარანი და დამტვრეული ჭურები უსატყვოდ ღალადებენ წარსულის ძნელბედობას.

მაინც როგორ გადაუჩანა ეს ტაძარი თურქ დამპყრობთა რისწვას? ხალხმა ამაზე მშვენიერი ლეგენდები შექმნა.

ეს ლეგენდები, სხალთის ტაძრის სასწაულებრივ ძალმოსილებას რომ მოგვითხრობენ, ეტყობა, ხალხს შეუქმნია ავისმდომელთა დასაფრთხობად და დასაშინებლად.

ყველაზე ძვირფასი, რაც ხალხმა გადაარჩინა, ენა არის, მშობლიური ქართული ენა, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული.

სულიას ბაბაი ჯერ ისევ აქეთ იყო, მამულიშვილთა სისხლითა და სულიას გვდილით გაჯერებულ მიწაზე დააბიჯებდა, როცა გიორგი ყაზბეგისა და შემოიარა. იგი ლორჯომში შეხვდა ნახირის მწყემს ბავშვებს უძინავდეს ფანკუალით მიუგდო ყური მათ ლაპარაკს: „აჭარლები პირველად ვხახე და ვფიქრობდი, ნუთუ საქართველოს არსება აჭარაში გაქარწყლებულა? ბოლოს ახლოს მივედი და, ღმერთო ჩემო, თურმე ისევ ქართველები ყოფილან!“

ჩვენც, სულიას პირველად რომ შევხვდით, ამ სიტყვებს ვიმეორებ-დით: „თურმე ქართველები ყოფილან!“

აბა ვინ უნდა ვიყოთო, უკვირს სულიას და გვიყვება ანკარასა ღისტამბულში, იზმითსა და ბურსაში, ბალიქესირში გურჯებთან შეხვედრის ამბებს. ანკარაში ერთ გურჯს ჰქონია მთელს დუნიაზე განთქმული დევ-თერი — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ არავის არ აძლევს, ნიავსაც არ აკარებს, ისე აქვს შენახული... ომის დროსა და მისი დამთავრების შემდეგაც ძალუანი უნდოდათ გაეგოთ სტალინის ვინაობა. „მართლა გურჯია?“ „მართლა ჭულაშვილია?“ ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. ხმა დარხეულა, სტალინი გურჯების ძეველ მიწებს მოითხოვსო, დაიმხანად თურქეთის ქართველები რაღაც დიდი საოცრების მოლოდინში ყოფილან... თბილისელ ფეხბურთელებს ანკარაში რომ უთამაშიათ, იქაური ქართველობა ცას სწევია სიხარულით. სულიამ გვიან გაიგო თორებ, თურქის ვალი რომ დაედო, მაინც წავიდოდა და ნახავდა იმათ თამაშეს...

— როგორ, თურქისგან ფული ისესხო, დაშავდება რამე? — სიტყვას ვაწყვეტინებთ სულიას.

— ელბეთ დაშავდება, აბა არ დაშავდება! როცა იცი კაცს ვერასლროს ვერ გაიხდი ხისიმაღ, იმასთან ფარაზე რაფერ მიხვალ!

ჩვენ მივხვდით. იგი მაინც არ ეშვება.
— დღეს რომ კაცს ფარას თხოვ, ხვალ შეიძლება მოვდეს და გით-
ხრას შენი ქალიშვილი მომათხოვეო, რანდა წნა მაშინ?

ფულს დიდი ძალა აქვს და ამიტომ გურჯები აქაც შორს იჭერენ თავს, რომ გათურქების საფრთხე აიცდინონ.

ასე იყო აჭარაშიც; ემიგრებოდნენ თურქებს. და მაინც თურქობას სწამებდნენ... ერთგულმა მამულიშვილმა გულო აღა კაიკაციშვილმა ქობულეთის სკოლას შესწირა რამდენიმე ათას მანეთად ღირებული მიწის ფართობი და მოითხოვა, ახალგაზრდებს ქართული ენა ესწავლათ. მეფის ხელისუფლებამ უარი უთხრა: თქვენ თურქები ხართ და თუ გინდათ თურქული ენის მასწავლებელს დაგინიშნავთო.

ქართულ ენას სამხრეთიდანაც უტევდნენ და ჩრდილოეთიდანაც. ერთმორწმუნე რუსეთის მეფე, რომლის ლაშქარი ქრისტეს გვარით შემო ვიდა ჩვენში, თურქეთთან ომში გამარჯვების შემდეგ ისლამის მდგრადი მოვალეობის, მას ყოველივე ქართულის დასაკინიებლად და საწინააღმდეგო გოდ იყენებდა. „ბათუმის ოლქში... ქართველ მასწავლებელთა დანიშვნა არასასურველია“ — ვკითხულობთ ამ ოლქის გუბერნატორის მოხსენებით ბარათში, რომელიც არქივმა შემოგვინახა.

რამდენი გაფა დასკირდათ ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილსა და სხვა დიდ მამულიშვილებს, რომ ბათუმის ოლქში თუნდაც ერთი ქართული სკოლა გაეხსნათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცელებელი საზოგადოების ხარჯზე. და ეს მაშინ, როცა რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ აჭარაში მედრესები სოკონებივით მომრავლდნენ. თუ 1873 წელს მოქმედებდა ორას საში მედრესე, 1912 წლისათვის მისი რიცხვი ავიდა სამას ორმოცდაშვიდამდე. ასევე მომრავლდნენ მეჩეთები.

სულია, ხედავ როგორ მოტყუდა შენი ბაბაი! თვითმპყრობელი მეფე რუსეთისა ისლამს არ ზღუდავდა, პირიქით, ხელსაც უწყობდა, რომ აჭარაში ქართული ეროვნული თვითშეგნება ჩაეხშო.

ესეც შენი ერთმორწმუნე ხელმწიფე! რომ დასცლოდა, ისტორიის სანაგვე ყუთში რომ არ გადაეგდოთ, სანამდე მიგვიყვანდა თავისი მაცდუნებელი გვარით?

აჭარა საბოლოოდ მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა დედა-სამშობლო საქართველოს, როცა დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, დაიხურა მედრესები და ახალგაზრდობა სკოლებში მშობლიურ ენაზე დაეწაფა მეცნიერული ცოდნის თავანქარა წყაროს. ბევრი მეცნიერი, მწერალი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე აღიზარდა ამ სკოლებში. მათ შორის სულიას ახლობლებიც არიან. ზოგს უკვე იცნობს. მათთან ოჯახშიც იყო მიშვეული, პური გატეხა სადღეგრძელოები წარმოთქვა. ყანწიც მიართვეს, ძველებური ყანწი გიხვისა. ერთხანს უყურა როგორც სამუზეუმო საგანს, მერე ზევით აიხდა და ისევ მაპმადს სთხოვა, ძალი მომეც და შეწევნაო. დაცლით კი დასცალა, მაგრამ ნამეტანი გაუჭირდა, ღმერთის შემწეობა სულაც არ უგრძევნია.

სხვებზე უფრო პოეტებს დაუახლოვდა და მათი ხათრი დაიდო. მამია ვარშანიძე უკითხავდა გალაკტიონის, გოგლის, სიმონისა და სხვათა ლექსებს კრებულიდან „მამულო საყვარელო“, რომელიც მან თვითონ შეადგინა. ამ სიბრძნის, სინათლისა და სიყვარულის საუფლოში ყველაფერი მოენა.

წონა სულიას. განსაკუთრებით მოეფონა მის გულს ფრიდონ ღალაშვილი



ლექსი „მემლექეთი“.

მითხარ როგორაა მემლექეთი,
ჩემი სანატრელი საქართველო,
რამე იმნაირი გამაგონე,
გული დაკოდილი გავართელო.

პოეტებს სერვეთი აინტერესებთ, სულიას კი დიდი მემლექეთის ცებები. მასპინძლები დათმობაზე წავიღნენ. მამიამ მოიგონა შარშან, სწორედ ამ დროს რომ იმოგზაურა სამხრეთ საქართველოში ფრიდონ ხალვაშთან, გიორგი სალუქვაძესთან, გემალ ჭაყელთან, გემალ ქათამაძესთან და ზურაბ გორგილაძესთან ერთად. გაიხსენა სხალთის ტაძარში გამართული პოეზიის საღამო. უჩვეულო იყო იგი. დიდი თუ ტატარა, კაცი თუ ქალი, ყველა ფეხზე იდგა და გარინდული ისმენდა ქართულ ლექსს, როგორც წმიდათა წმიდა ლოცვას. თითქოს კვლავ აგუგუნდნენ ტაძრის ზარები და თითოეულ ზარში იჯდა ღმერთი, მაგრამ არცა ქრისტე, არცა მაჰმადი. მეუფებდა ქართული პოეტური სიტყვა.

ჩვენი პოეზია ყოველთვის ჰგავდა ღვთაებრივ ლოცვას წმინდა ტაძარში, სადაც მხოლოდ კეთილმოსურნენი შედიან და კეთილი გრძნობითა და სიბრძნით ასაზრდოებენ გულს და გონებას.

სულიას გაახსენდა „მითხარ როგორაა მემლექეთი“... და წარმოიღგინა იქ, თურქეთში რამდენი გურჯი მიმართავს მას ამ კითხვით.

* * *

მატარებელი საქართველოს ძეველ სატახტოს მცხეთას გაშორდა. სულიას სარკმლიდან უჩვენეს სვეტიცხოველი და ჭვარის მონასტერი. ეს მამია გარშენიდებ ბათუმის სადგურში რომ გააცილა, მაშინ თხოვა, შორიდან მაინც მოავლეო თვალი ჩვენი წინაპრების დიდებულ ნახელავს, თანაც წიგნი უსახსოვრა „მამულო საყვარელო“. თქვენში როგორ არ გამოჩნდება იხეთი კაცი, რომ ეს წაიკითხოს. ფრიდონ ხალვაშმა „დედა ენა“ მოუტანა. იგი ბევრი ნავალია ამ ქვეყნად, კარგად იცის რა ხდება უცხოს ხელმწიფოთა საზღვრებზე და, ყოველ შემთხვევისათვის, ბლოკნოტში ჩაუწერა ქართული ანბანი. ვინიცონაა, ისკერებმა „დედა ენა“ წაგართვან, ანბანი ამითაც შეგიძლიათ ისწავლოთო. სხვა საჩუქრებიც მიართვენ. თბილისში წერილი გაატანეს ერთ სწავლულ კაცთან. ტელეფონითაც დარეკეს — მემლექეთის სტუმარი ამა და ამ ვაგონით მოდის და კარგი იქ-

ნება თუ დახვდებითო. გარეგნობაც აუწერეს: პატარა, მოხდენილი ტანის
კაციაო, ქერათმიანი, ზღვისფერთვალება. ჩვენებურ დასავლურ ტიპს /ზა-
ვკუთვნებაო.

ი, ეს ტიპი თბილისის სადგურში ჩამოვიდა. იცნეს და თაქმის ცალკეული ჩამოვიდა. იქ ისე მიიღეს, ორგონული ჩუქრებით იმ სწავლული კაცისაკენ გააქროლეს. იქ ისე მიიღეს, როგონობა დიდი ხნის უნახავი ახლობელი ადამიანი. სულია განცვიფრდა — თბილისელ გურჯა სერვეთელებზე უკეთესად სცილნია თურქული ენა. თურქეთში ნამყოფიც ყოფილა. იქ, ისტამბულის გარეუბანში, ერთ ოჯახში მიუწვდებიათ. შენობის უკან სიმინდის ნათესი შეუნიშნავს და გაპკირვებია. მასპინძელს ნაღვლიანი კილოთი უთქვაშს: ეს პატარა ნაკვეთი ქობულეოს მაგონებსო.

სულიამ მხოლოდ ახლა, ამ მოგზაურობის დროს გაიგო, რატომ იყო მისი ბაბაი სულ გაუხარისები, დარღიანი. დედაბუდეს მოწყვეტილი აცი სილადეს, შემართებას ჰქარებას. შეიძლება ქონებაც შეიძინოს, მაღალი თანამდებობაც დაიკავოს, მაგრამ სამშობლოს დაკარგვით სულში გაჩენილ სიცარიელეს გერაფრით ვერ ამოავსებს.

სულიას ეგონა, სტუმარ-მასპინძლობა თავის ბიძაშვილებთან, აჭარის მთისა და ვარის სოფლებში, ბათუმში დამთავრდებოდა, მაგრამ თურმე ჯერ ხადა ხარ, მასპინძლობა შენ თბილისელების ნახე. ღიღი მემლექეთის სატახტომ ამ მხრიც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კიდევ ორმოც-დაათი წელი და ორგერ ორმოცდაათიც რომ იცოცხლოს, ვერ დაივიწყებს ამ პატივისცემას. სად არ ჰყავდათ, რა არ უჩენებს, როგორ დაინტერესდნენ სერვეთის და იმ მხარის სხვა ქართული სოფლების ცხოვრებით. უცხოეთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაშიც მიიწვიეს, იქ ხომის კონკრეტული წერტილი გააცნეს. სამთელქვეყნოდ ცნობილმა მე-აკადემიკოსი გიორგი წერეთელი გააცნეს. სამთელქვეყნოდ ცნობილმა ცნიერმა სულიას ქართული მოუწონა — ყოჩალ, რა კარგად შემოვინახავთ ქართული ენა.

სულიას ზღაპარი გაუგონია, სადაც მწყემს ბიჭს, ძმებს შორის ყვილაზე უმცროსს, ყველა ნატვარა უსრულდება. მასაც ასე მოუვიდა. ჰქით-ხეს რაიმეს ხომ არ ისურვებო. შერცხვა. კიდევ რა უნდა ისურვოს. თითქოს ნის სულში ჩაიხდესო, საზოგადოების ხარჯზე რამდენიმე დღით მოსკოვში გამგზავრება ურჩიეს.

სერვეთელმა გურჯმა ნახა დიდი საბჭოეთის დედაქალაქი მოსკოვი, კრემლი, შიოთელი მოედანი, ლენინის მავზოლეუმი... იოსებ ჭულაშვილის საძვალეც ნახა. კაცმა, რომელიც მას თბილისიდან მეგზურად ახლდა, ბევრ რი რამ ძვირფასი დათვალიერებინა. კარგა ხანს იღგნენ რუსთაველის სიტყვებით. რომ იცოდეს, სწორედ ახლა გაიხსენებდა რუსთაველის სიტყ-ვებს — „ენა, გონება მახმარე გამოსარჩევლად ამისად“. სწორედ ახლა სკირდება მას ენა, გონება, რომ ოსმალოს გურჯებს გადასცეს, რაც

ორი კვირის განმავლობაში ნახა და განიცადა. ო, რამდენი აქვს სათქმის
და სატრაბახო!

რა დაავიწყებს საგურამოს, დიდი ილიას სახლ-მუზეუმს, სამუზეუმის გვერდის
ლების ნადიმს... კახელების მასპინძლობას, თელავს, ერეკლეს სასახლეს,
კახელი კოლმეურნის კარ-მიდამოსი. ზემო აღვანში რომ ნახა, ბახტრიონი-
დან მის თვალშინ გადაშლილ ალაზნის ველს... ახმეტელების ნაჩექარი
ორი ჯიხვის ყანწი ხომ მარტო მისი კი არა, მთელი სერვეთისაა. ამ ყან-
წებით იქ ბევრი სადღეგრძელო დაილევა.

ჩვენი სულია ახლა ის არ არის, რაც ორი კვირის წინათ იყო.
მან იძლენი ნახა, ისეთი სიმაღლიდან გადახედა სამყაროს, სულში ისეთი
გრძნობა ჩაეღვარა, რომ თავი მარადისობაში ჰკონია. ასე გრძნობამორეუ-
ლი დაბრუნდა მოსკოვიდან, ასე გამოემშვიდობა თბილისს, მაგრამ რო-
გორც კი თურქეთის საზღვარს გადააბიჯა, ზეციდან ძირს ჩამოავდეს, „მა-
ძულო საყვარელო“, „ლედა ენა“ და ბლოკონტრც კი, სადაც ქართული
ანბანი იყო ჩაწერილი, ჩამოართვეს. ნაჩექარი ხალიჩაც, ზედ მემლექე-
თის პეიზაჟი რომ იყო გამოსახული, ისიც არ გაატანეს. აქ მას თითქოს
პირველი აეხილა თვალი. ყველაფერი ისე მარტივი და უბრალო არ
ყოფილა, როგორც ადრე ეჩვენებოდა. და ახლა უფრო მოუნდა პაბაის
გეგელიდეებთან ახლოს ყოფნა.

სულიას ათი შვილი ჰყავს. შვილიშვილებიც მოუმრავლდა, მაგრამ
გერ სადაა, ასხე მეტი თუ არა, ნაკლები არ უნდა დარჩეს.

ასი შვილიშვილი!

ახლა იმათა შვილები და შვილიშვილები!

არა, ეგ არ არის უბრალო არითმეტიკა.

არც ფუჭი ოცნებაა.

აურიცხველი იქნება სულიას მოდგმა.

და ვურჯები მოედებიან მთელ ქვეყანას, მძლავრად მოიდგამენ ფეხს
მიწაზე, მშვიდობანაღ, უსისხლოდ... ივლიან ზღვის სანაპიროზე, გადაი-
ვლიან მოებს და მწვერვალებს და საწადელს მიაღწევენ — კირნათთან
თუ მარადიდობან მოაღებიან ბედდამწვარ ბაბაის მიწა-ალაგს. მუჰავირე-
ბის ბილიკიდან ნაბილიკარიც არ დარჩება, კიდევ სხვა რამეც წაიშლება.
იქნება ერთიანი, მთლიანი, უბზარო მემლექეთი და მაშინ ყველა გურჯს
ეცოდინება, რომ ის ქართველია.

ყველას ექნება „ლედა ენა“.

ყველას ეცოდინება მშობლიური ანბანი, ქართული წერა-კითხება.

ეს არის ოცნება იმ კაცისა, რომელმაც უკვე იცის საიდან მოვიდა და
ვინ არის.



CPGEG 2020

ლენინი დეპარანტის წინააღმდეგ ლიტერატურაში

ვ. ი. ლენინის მოძღვრების თანახმად კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების ისტორია უნდა შევისწავლოთ პროგრესულ საზოგადოებრივ მოძრაობათა ისტორიასთან, განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიასთან კავშირში. მხატვრის შემოქმედების მნიშვნელობა და ნაწარმოებთა ღირსება უნდა განვსაზღვროთ იმის მიხედვით, თუ რამდენად ახლოს არიან ისინი ეპოქის მოწინავე იდეებთან, მოწინავე საზოგადოებრივ ძალთა მისწრაფებებთან. ამ თვალსაზრისით დიდნიშვნელოვანია რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ლენინური პერიოდიზაცია. სტატიაში „რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსული-

დან” (1914) ლენინმა მოვკა დალ-
კეული პერიოდების ქრონოლო-
გიური ჩარჩოები: 1. თავადაზნაუ-
რული პერიოდი, დაახლოებით
1825-დან 1861 წლამდე; 2. რაზ-
ნობინცული ანუ ბურჯუაზიულ-
დემოკრატიული, დაახლოებით
1861-დან 1895 წლამდე; 3. პრო-
ლეტარული — 1895 წლიდან.¹

განსაკუთრებით უკანასკნელ
ეტაპზე, პროლეტარულ ეტაპზე
სოკოლივით მომრავლდნენ დეკა-
დენტური მიმღინარეობები ხელო-
ვნებასა და ლიტერატურაში. ლე-
ნინმა მათ წინააღმდეგ გააჩიდა და-
უნდობელი ბრძოლა და თავისი
ფილოსოფიური შრომებით ახალ

1 3: o. ലൈബ്രറി, ഒബ്ദ., 8. 20, 83. 292.

ეტაპი შექმნა ესთეტიკური აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში.

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ყველა დეკადენტური მიმდინარეობა, ზოგიერთი არსებითი სახესხვაობის მიუხედავად, მოასწავებდა ცხოვრებისაგან, პოლიტიკისაგან, ბრძოლისაგან მხატვრული შემოქმედების იზოლაციის და ზიანს აყენებდა პროლეტარიატის გამათავისუფლებელ მოძრაობას.

ამ პერიოდში უკიდურესად გამწვავდა კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა შრომის საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმის შორის. კაპიტალისტური თავისუფალი კონკურენციის შეცვლაში კაპიტალისტური მონოპოლიებით, ერთი მხრივ, გაამძაფრა ბრძოლა თვით კაპიტალისტებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, გააძლიერა მასების ექსპლოატაცია და, მაშასადამე, კიდევ უფრო გაამწვავა კლასობრივი წინააღმდეგობები ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. „იმპერიალიზმის პოლიტიკურ თავისებურებას წარმოადგენს რეაქცია მთელი ხაზით და ეროვნული ჩაგვრის გაძლიერება“.² ბურჟუაზიამ დაამთავრა იმავლობა, დაიწყო დეკადანსი. ფილოსოფიაში ეს აღინიშნა პოზიტივიზმით, ლიტერატურაში — ნატურალიზმით.

პოზიტივისტები აიდეალებდნენ კაპიტალიზმს, აცხადებდნენ კაციონისტურებული კაციონისტური ეტაპად და სოციალურ წინააღმდეგობებს აიგივებდნენ არსებობისათვის ბრძოლის ბიოლოგიურ კანონებთან. არსებითად სპეციალის „სოციალური დარვინიზმი“ ბურჟუაზიის რეაქციულ ინტერესებს ემსახურებოდა.

რაც შეეხება ნატურალისტებს, მათ თავი გამოაცხადეს ახალი ხელოვნების მესვეურებად და შექმნეს საკუთარი ესთეტიკური თეორია, რომელსაც საფუძვლად დაუდვეს პოზიტივისტური ფილოსოფია. მთლიანად გაიზიარეს რა პოზიტივიზმის ძირითადი პრიციპი — „ფაქტების ერთგულება“, ნატურალისტი მწერლები ამტკიცებდნენ, რომ „მათ არ სურთ გადაღახონ რეალური ფაქტების საზღვარი, რომ პოზიტივისტ ფილოსოფიასთა მსგავსად ისინიც სწავლობენ „კაციონისტ დოკუმენტებს““. ისინი საჭაროდ აცხადებდნენ, რომ ხელოვნება მშვენიერებას კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ ჭეშმარიტებას და მშოლოდ ფაქტებს ეყრდნობოდეს. ამიტომ — არავითარი შემოქმედებითი ფანტაზია, არავითარი განზოგადება; ხელოვნება მოწოდებულია შეუფერავად ასახოს სინამდვილე. მას ერთნაირად ინტერესებს სათნაებაც და მანქიერებაც.³

3 მ. გორევ. ტ. 23, 1953, გვ. 185-186 (რუს. ენაზე).

2 ვ. ა. ლენინი, თხ. ტ. 22, გამოც. მე-4, გვ. 362.

ნატურალიზმის უარყო ტიპიზაციის პრინციპი, ფართო სოციალური განზოგადება და მშერალს ცხოვრების ცივი მეთვალყურისა და ფაქტების გულგრილი აღმრიცხველის როლი დააკისრა. მაქსიმ გორგის აზრით, ყოველი ფაქტი იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც მასში მედავნდება ცხოვრების ორმა აზრი, რომელიც განვითარების კანონზომიერების შესაბამისად ვლინდება თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში. ნატურალისტებმა კი დამოუკიდებელი მნიშვნელობა მთანიშევს ფაქტს. მ. გორგის თქმით, მათ ფაქტი ფერტიშად აქციეს, ასახავდნენ განურჩევლად ყველაფერს, როთაც დააკინეს მხატვრული შემოქმედება და დაიყვანეს იგი უბრალო ფოტოგრაფიამდე.

ზედმეტია იმის ხაზგასმა, რომ ნატურალიზმის ესთეტიკური ოეორია, ისევე როგორც მისი ფილოსოფიური საფუძველი, არა მარტო ყალბი, არამედ მავნეც იყო. გ. ვ. პლეხანოვი წერდა: „უახლეს ხელოვნებასა და ლიტერატურაში ერთ-ერთმა ყველაზე გავრცელებულმა ნაკადმა — ნატურალიზმი ნამდვილ ჩიხში, ყრუ შესახვევში, კარგადალობილ გვირაბში მოაქცია ხელოვნება. მან დაიყვანა იგი მოვლენათა ზედაპირულ აღწერამდე, ფაქტების მოსაწყენ აღნუსხვამდე... ემილ ზოლას ეგრეთშოდებული „ექსპერიმენტული მეთოდი“ ბოლომდე ნაკლებად გამოსადევი

აღმოჩნდა დიდ საზოგადოებრივ / მოძრაობათა მხატვრული შესწავლისა და წარმოსახვისათვეს ქმარებულებების შემთხვევა

რაფი ასე იყო, რავი ფაქტებიზე დაფუძნებულმა ნატურალიზმა ვერ შესძლო შეექმნა ნამდვილად ახალი ხელოვნება და „ბოლომდე ნაკლებად გამოსადევი აღმოჩნდა დიდ საზოგადოებრივ მოძრაობათა მხატვრული შესწავლისა და წარმოსახვისათვის“, ბუნებრივია, მას უნდა გამოეწვა, და კიდეც გამოიწვია, საპასუხო რეაქცია და დაპირისპირებოდა რომელიმე ახალ ლიტერატურულ მიმართულებას. გამწვავებული კლასობრივი ბრძოლისა და ბურჟუაზიული კულტურის მარაზმის საერთო ატმოსფეროში ასეთი მიმართულება აღმოჩნდა სიმბოლიზმი, რომელმაც გაზაფრით უარყო ნატურალიზმის მიერ გაფეტიშებული ფაქტი და საერთოდ რეალური სამყარო, უარყო მისი რაციონალობა.

იმპერიალიზმის ეპოქის სხვადასხვა ანტინატურალისტურ და ანტირეალისტურ დეკადენტურ მიმდინარეობებს შორის თანდათან გამოიკვეთა სიმბოლიზმი, რომელიც XIX საუკუნის დასასრულს ყველაზე აქტიური და ფესვგადგმული ლიტერატურული ნაკადი გახდა. იგი აღმოცენდა საფრანგეთში და მოიცვა მთელი დასავლეთ ევროპის მოწინავე კაპიტალისტუ-

4 გ. ვ. პლეხანოვი, თხ. 14, გვ. 146 (რუს. ენაზე).

რი ქვეყნები, აგრეთვე რუსეთი და, ბოლოს, საქართველოშიც შემოაღწია.

სიმბოლიზმი გამოხატავდა ბურუჟაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელი სისტემის რღვევას და დაცემას. პლეხანვის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი იყო თავისებური „საყმაწვილო სენის“ გამოვლინება ესთეტიკაში.

სიმბოლიზმი ფრანგულ ლიტერატურაში, რასაკვირველია, არ ყოფილა უწინაპრო, უწინამორბედო. იგი ესთეტიზმის მომდევნო ეტაპია.

ესთეტიზმი დაკავშირებულია დაგულებასთან „პარნასი“, რომელიც გასული საუკუნის ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში შეიქმნა და რომლის მთავარ დირიქტორად თვლიან ბოდლერს. პოეტი პარნასელები ლეკონტ დე ლილი, თეოდორ დე ბანვილი, უზე (ხოზე) მარია ერელია, კატულ მენდესი, თეოფილ გოტიე და სხვები ქადაგებდნენ „წმინდა ხელოვნების“ სამსახურს. მათ შექმნეს ფორმის კულტი და უარყვეს უტილიტარიზმი ხელოვნებაში. „ხელოვნებისათვის მიზანი არ არსებობს — ის არის თამაში, გართობა, ტკბობა. ეს თავისებური ნარკოზია, რომელმაც უნდა დაგვავიწყოს აუტანელი სინამდვილე“, წერდა თეოდორ დე ბანვილი. მისი აზრით, რითმა ლექსის ერთადერთი სამკაულია, ის „ოქროს ლურსმანია, ალამაზებს

ლექსს და აკავშირებს მასთან ბორეტის ოცნებას“.

საინტერესოა, როგორ გამოიყენებოდა პარნასელების მშვენიერება?

მშვენიერება სასარგებლოს ანტიპოდია, აცხადებდა თ. გოტიე და წერდა: „როცა ნივთი სასარგებლო ხდება, ის აღარაა მშვენიერი. მხატვრობა, სკულპტურა, მუსიკა აბსოლუტურად არაფერს არ ემსახურებიან“.

პარნასელთა „წმინდა ხელოვნების“ იდეას ასაზრდოებდა დიდი პესიმიზმი და ცხოვრების უკამაყოფილების აშკარა გამოხატულებას წარმოადგენდა. სავსებით მართალი იყო მ. გორჯი, როდესაც დაჯგუფებას „პარნასი“ უწოდებდა ცხოვრებისაგან განდგომილ „ცივ სკოლას“.⁵

სამოცდაათიანი წლების დამდეგს სიმბოლისტებმა, რომლებიც ისის იყო გამოვიდნენ ლიტერატურულ ასპარეზზე, კიდევ უფრო გააღრმავეს პარნასელთა პესიმისტურ-დეკადენტური მოტივები და მთლიანად გაიზიარეს მათი „წმინდა ხელოვნების“ თეორია. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ხელოვნებაში მთავარია ფორმა და უგულებელყვეს მისი იდეურობა, მისი საზოგადოებრივი დანიშნულება.

5 გ. გორჯი, რჩ. თხზ., გ. 23, 1953, გვ. 124 (რუს. ენაზე).

სიმბოლისტთა ამ ფორმალი-
სტურ ესთეტიკას, ისევე როგორც
პარნასელთა ესთეტიკას, საფუძვ-
ლად დაედო კანტის სუბიექტური
იდეალისტური ფილოსოფია, მი-
სი შეხედულებანი ხელოვნებაზე,
რომელიც ჩამოყალიბებულია
ნაშრომში „მსჯელობის ძალის
კრიტიკა“.

ეყრდნობოდა რა მარქსისა და
ენგელსის ესთეტიკურ და ფილო-
სოფიურ შეხედულებებს, ამას-
თან ცოცხალ სინამდვილეს, ვ. ი.
ლენინმა თავის შრომებში და გან-
საკუთრებით წიგნში „მატერია-
ლიზმი და ემპირიოკრიტიკიზმი“
ყოველმხრივ დასაბუთა, რომ
„წმინდა ხელოვნება“ არ არსე-
ბობს და არც შეიძლება არსებო-
ბდეს. შემეცნების პროცესი არის
ადამიანის ცნობიერებაში გარე-
განი სამყაროს ასახვა. შემეცნე-
ბის მატერიალისტური გაგების
თანახმად „ჩვენი ცნობიერება
მხოლოდ სახეა გარეგანი სამყა-
როსი, და თავისთვად გასაგებია,
რომ ასახვას არ შეუძლია ასახუ-
ლის დამოუკიდებლად იარსებ-
ოს, მაგრამ ასახული არსებობს
ამსახველის დამოუკიდებლად“.⁶

ასახვის ლენინური თეორია ფი-
ლოსოფიური საფუძველია ხელო-
ვნების ყველა დარგისათვის. მას-
ში მოცემულია დასაბუთება ეს-

თეტიკის უმნიშვნელოვანესი და
ბულებისა იმის შესახებ, რომ ხე-
ლოვნების წარორ არის სინამდვილების
ლე, რომ ყოველი მასაც კრიტიკა
ნაწარმოები წარმოადგენს ცხოვ-
რების მოვლენების ასახვას. ლე-
ნინურმა მოძღვრებამ შემეცნების
შესახებ გამოაშვარავა ხელოვნე-
ბის თვითმიზნურობის, ავტონო-
მიურობის იდეალისტური თეო-
რიების სრული სიყალბე, დასა-
ბუთა მატერიალისტური ესთეტი-
კის კავშირი საზოგადოებრივი
ცხოვრების, ისტორიული განვით-
არების, პოლიტიკური ბრძოლის
სკითხებთან.

ასახვის ლენინური თეორია შე-
მოქმედების რეალისტური მეთ-
ოდის ფილოსოფიური დასაბუ-
თებაა.

სიმბოლისტებმა, რომლებიც
ფორმალისტური ესთეტიკის პო-
ზიციებზე იდგნენ, გადაჭრით
გაილაშქრეს იდეურობის წინააღ-
მდეგ, მაგრამ პარნასელებისაგან
განსხვავებით ძირითად ესთე-
ტიკურ პრინციპად გამოაცხადეს
სამყაროს მოვლენათა შინაგანი
„დაფარული“ არსის შეცნობა,
რის მიღწევას, მათი აზრით, პო-
ეტი შეძლებდა მხოლოდ და-
მხოლოდ ინტუიციის გზით. სიმ-
ბოლისტები გაემიჯნენ სინამდვი-
ლეს, ცხოვრებას, ისინი ისტრავო-
დნენ ირეალურისკენ და ხელოვ-
ნების უცვლელ ტენდენციად ობი-

ექტის აღეკვატური სიმბოლოს ძიება აღიარეს. ეს იყო მათი პო-
ვისის მიზანი. აქედან წარმოსდგა
ამ ლიტერატურული მიმდინარე-
ობის სახელშოდებაც — სიმბოლ-
იზმი.

რამდენადაც ხელოვნება სიმ-
ბოლისტებისათვის „აბსოლუტუ-
რი კეშმარიტებისა“ და „არსებუ-
ლის მიღმა“ მდებარე ქვეყნის ხი-
ლვის საშუალება იყო, გასაგებია,
რომ მას საერთო არაფერი არ
უნდა ჰქონოდა კლასობრივ ინ-
ტერესებთან, რამე პოლიტიკურ
პრობლემებთან.

უიდეობის ქადაგებამ და ხელ-
ოვნების მოწყვეტამ საზოგადო-
ებრივი ცხოვრებისაგან სიმბო-
ლისტები მიიყვანა ვიწრო ინდი-
ვიდუალიზმდე. იჩენდნენ / რა
გულგრილობას საზოგადოებრივი
საკითხებისადმი, ისინი სავსებით
უგულებელყოფდნენ ადამიანის
ძალასა და ძლიერებას, მის ისტო-
რიულ როლსა და მისის ცხოვ-
რების წინსვლასა და განვითარე-
ბაში. სიმბოლისტები მხოლოდ
და მხოლოდ „ძლიერი“ პიროვ-
ნების, „ზეკაცი“ ადამიანის მექ-
ოტებენი იყვნენ და ასეთად უპირ-
ველეს ყოვლისა საკუთარი პირო-
ვნება მიაჩნდათ. განდიდების მა-
ნიას ისინი ბანალობამდე მიჰ-
ყავდათ. ადამიანი სიმბოლის-
ტების შემოქმედებაში ასახუ-
ლია როგორც იზოლირებული ინ-
დივიდუმი და არა როგორც დი-
დი სოციალური მთელის წევრი.

პარტიულობის ლენინური პრი-

ნციპი მხატვარს, შემოქმედს ანი-
ჭებს დიდ ნდობას. მან უნდა ასა-
ხოს მილიონობით მშრომელთა
ინტერესები და მისწრაოს კულტურული
„უდავოა ამ საქმეში (ხელოვნება-
ში, ნ. დ.), — წერდა ლენინი, — უ-
კველად საჭიროა მეტი გასაქანი
მიეცეს პირად თაოსნობას, ინდი-
ვიდუალურ მიღრეკილებებს, გა-
საქანი მიეცეს აზრსა და ფანტა-
ზიას, ფორმასა და შინაარსს“.?

სიმბოლისტებს, წერდა მ. გო-
რკი, „თავი მოაქვთ ავადყოფუ-
რი უცნაურობით, რომელიც ჩვე-
ულებრივი თვალსაზრისით აქ
ცეცს მათ დიდი პრეტენზიის შეო-
ნე ადამიანად, ექიმი-ფსიქიატრის
ოვალსაზრისით — ფსიქიკურალ
დავადებულ ადამიანად, სოციო-
ლოგის თვალსაზრისით — ანარ-
ქისტად არა მარტო ხელოვნების,
არამედ მორალის სფეროშიც.
უკაველგვარი თვალსაზრისით დე-
კადენტები და დეკადენტობა მავ-
ნე მოვლენაა, რომელთანაც აუ-
ცილებელია ბრძოლა“:⁸

გორკის ეს შეხედულება ლენი-
ნური მოძღვრებიდან გამომდინა-
რებდა და მთელი პროგრესული
ლიტერატურული საზოგადოებ-
რიობის შეხედულება იყო. მოწი-
ნავე მწერლები განსაკუთრებით
აღაშფოთ სიმბოლისტების ფორ-
მალისტურმა გატაცებამ, ბუნდო-
ვანებისაკენ მისწრაფებამ, ხელო-

7 გ. ი. ლენინი, ტ. 10, გვ. 36-37.

8 მ. გორკი, თხზ., ტ. 23. გვ. 125.

ვნების მაღალი საზოგადოებრივი
დანიშნულების უგულებელყოფ-
ა. ჯერ კიდევ 1859 წელს ვიქ-
ტორ პიუგო შარლ ბოდლერს
სწერდა: „... ჩას აკეთებთ თქვენ
პირადად, როცა ესოდენ საოცარ
ლექსებს სწერთ, იმდაგვარებს,
როგორიცაა „შვიდი მოხუცი“ და
„დედაბერი“... თქვენ ამდიდრებთ
ხელოვნების ცის თაღს ახალი,
მიცვალებულივით უფერული
სხივით. თქვენ ჯერ განუცდელ
ყრელლს იწვევთ... განმარტოე-
ბით მდგარი პოეტი წინ ვერ წავა,
მას გვერდით ადამიანი უნდა ჰყა-
ვდეს. კაცობრიობის ნაბიჯები —
ეს ამავე დროს ხელოვნების ნა-
ბიჯებიცაა. მაშ ასე, დიდება პრო-
გრესს!“⁹.

სიმბოლიზმის წინააღმდეგ მცველ
თრად გაილაშქრა გენიალურმა
რესმა მშერალმა ლ. ნ. ტოლ-
სტომ. თავის ცნობილ წიგნში
„რა არის ხელოვნება“ მან, მარ-
თალია, რელიგიური პოზიციები-
დან, მაგრამ ძლიერ საინტერეს-
ოდ გააანალიზა ხელოვნების ახ-
ლი, მოდერნისტული გაგება, რო-
მელსაც სიმბოლისტები იცავდ-
ნენ.

დიდი რუსი მწერალი ხელოვ-
ნებისაგან მოითხოვდა ხალხურ-
ობას, ჩელიზმს, მაღალ იდეურ-
ობას. ამ მაღალი პოზიციებიდან
მან სრულ არარაობად მიიჩნია
დეკადენტური ლიტერატურა,

ნიცველს ფილოსოფია და „მოდერნიზმი“
ნისტულ-ფორმალისტური გა-
თეტიკა. ერთიანები
პრეცენტი
თეტიკა. სიმბოლის-
ტოლსტიონის აზრით,
ტების ხელოვნებას ახასიათებს
„ძლიერ უბადრული გრძნობები
—ხორციელი ლტოლვა, სიამყაის-
გრძნობა, ცხოვრებით მოწყენა.
მეტად ღარიბი ფილოსოფიაა
ფორმალიზმი, „ხელოვნება ხელ-
ოვნებისათვის.“¹⁰

დეკადენტების გამოსვლა აფიქ-
რებინებდა ტოლსტოის, რომ მი-
სმა თანამედროვე ხელოვნებაშ
„დაკარგა შინაარსი, ფორმის სი-
ლამაზე, გულწრფელობა, გახდა
მონაგონი; მასში გავრცელდა გა-
დმოლება, უაზრო შშვენიერება
კი შეუძლებელია.“¹¹ დიდ ხელო-
ვანს უკვირდა, რომ ფრანგებმა,
რომლებსაც ჰყავთ სახელოვანი-
კლასიკოსები, გაამეცეს ბოდლე-
რი და ვერლენი. ეს ამბავი
ტოლსტოის მიაჩნდა ორისერიოზ-
ულობად ხელოვნებაში, ლაზარან-
დარობად. „იმ საზოგადოებისთ-
ვის, —წერდა იგი, — სადაც სიძ-
ბოლისტებს გავლენა ქვთ, ხელ-
ოვნება არა სერიოზული, მნიშვ-
ნელოვანი საქმე, არამედ ვართო-
ბაა და ლაყბობა.“¹²

სელოვნებასა და ლიტერატურულაში რეაქციულ-დეკადენტურ მიმღინარეობათა წინააღმდეგ წლების მანძილზე დაუნდობელ პროლეტარიატის სოციალისტურ

10 ල. ඊලුස්ත්‍රෝ ලංජුරාත්‍රුගිස් පු-
සැපේත්, 1955, 33. 402.

11 „რა არის ხელოვნება“, გვ. 102-103.
12 იმა კა 231.

12 033, 83. 231.

მ. ვორკიძე შექმნა მთელი ციფ-
ლი მოთხრობებისა, რომლებიც
მიუძღვნა დეკადანსის ასტის
მხილებას. მაგალითად, მოთხრო-
ბა „ესეც პოეტია“ შეეხება ცნო-
ზილ რუს სიმბოლისტ თეორეტი
სოლოგუბს, ხოლო მოთხრობაში
„რუსული ზღაპრები“ მან დახატა
პოეტი სიმბოლისტის სმერგიაშ-
კინის ღრმად დასამახსოვრებელი
სატირული სახე. არანაკლებ მნი-
შვნელოვანია მ. ვორკის თეორი-
ულ-პუბლიცისტური სტატიები.

ცნობილია, რომ მარქსიზმის
კლასიკოსებს კლასობრივ საზო-
გადოებაში ხელოვნება პოლიტი-
კური ბრძოლის ბასრ იარაღდ
მიაჩნდათ. ხელოვნება არა მარტო
ასახავს ემპირიულ სინამდვილეს,
არამედ კიდევაც იბრძეის მისი
შეცვლისათვის და წარმოადგენს
მასების აღზრდის საუკეთესო

ასშეუალებას. აკრიტიკებდან მეტად ბურჯუაზიულ რეაქციულ ხელოვანობაზე გნებას, თავის კაპიტალიზმის რომებში მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს ზუსტი ანალიზი ხელოვანების რაობისა იმ ქვეყანაში, ნა-დაც ყველაფერი იყიდება, მათ შორის ხელოვნებაც. ხელოვნება აქ საწარმოო შრომაა და არა თავისუფალი შრომა. „მომღერა-ლი ქალი, — წერდა მარქსი წიგნში „ზედმეტი ლირებულების თე-ორა“, — რომელიც თავის ხმას, ყიდის საკუთარი ჩისკით, არასა-წარმოო მუშავია. მაგრამ იგივე მომღერალი ქალი, ანტრეპრენიორის მიერ მოწვეული, რომელიც მას იძულებს იმღეროს იმისათ-ვის, რომ გამოსტაცოს ფულები. — საწარმოო მუშავია, ამდენა-დაც იგი აწარმოებს კაპიტალს.“¹³

ეყრდნობოდა რა მარქსისა და
ენგელსის ესთეტიკურ შეხედუ-
ლებებს და ცოცხალ სინამდვილ-
ებს, ვ. ი. ლენინმა თავის ნაშრომში
მცნობიერულად დასაბუთა,
რომ „წმინდა ხელოვნება“ არ
არსებობს და არც შეიძლება არ-
სებობდეს. იგი უზრობად თვლი-
და ყველა სახის ფორმალისტურ-
დეკადენტურ მიმღინარეობებსა
თუ განშტოებებს. პ. ცეტინეთან
საუბარში მას უთქვამს: „მე ისი-
ნი ვერ გამიგია, მე არ განვიცდი
მათგან არვითარ სიხარულს“.¹⁴

13 ქ. მარქსი, ფ. ენგელსი ხელოვნების
შესახებ, 1937, გვ. 92, (რუს. ენაზე).

14 ლენინი კულტურისა და ლიტერატურის შესახებ, 1957, გვ. 609.

როგორც უკვე ვთქვით, ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა ადამიანის აქტიურ როლს შემეცნების პროცესში, მის დაინტერესებას იმით, რომ გამოიყენოს შემეცნების შედევები სამყაროს გარდა-საქმნელად. აღამიანის ამ ქმედითს ხასიათიანა დაკავშირებული ლენინის მოძღვრება იდეოლოგის პარტიულობის შესახებ, ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის ლენინური პრინციპი.

ლენინმა მოგვცა გენიალური შედარება ობიექტივისტისა და მარქსისტის. ლენინი წერდა: „როცა ობიექტივისტი ამა თუ იმ ფაქტთა წყების აუცილებლობას ამტკიცებს, მას ყოველთვის შეიძლება ფეხი დაუსხლდეს და აღნაშნული ფაქტების აპოლოგეტის თვალსაზრისზე დადგეს; მატერიალისტი ააშკარავებს კლასობრივ წინააღმდეგობებს და ამით განსაზღვრავს თვის თვალსაზრისს“¹⁵.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა გვასწავლის, რომ ლიტერატურა არის ცხოვრების შემეცნებისა და რევოლუციური გარდაქმნის მძღვრი საშუალება. პროლეტარიატის რევოლუციური რბრძოლაში ლიტერატურის როლისა და მნიშვნელობის ეს გაგება ლენინმა განავითარა სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელიც 1905 წელს დაწერა. ყო-

ველი ხელოვნება პარტიული ამტკიცებდა ლენინი. ყოველი ზელოვნება გამოხატავს კიბუცისტულ იმ კლასებისა და პარტიებს ინტერესებს. „უპარტიობის“ ლოზუნგი ლენინს მიაჩნდა ბურჯუაზიულ ლოზუნგად. „არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო. — წერდა ლენინი, — ბურჯუაზიული მწერლის, მხატვრის, მსახიობის ქალის თავისუფლება — ეს არის მხოლოდ შენიდბული (ანდა ფარისევლურად ნიღაბაფარებული) დამოკიდებულება ფულის ქისისაგან, მოსყიდვისაგან, ხასობისაგან“¹⁶.

სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ ლენინმა ახალი ისტორიული ეპოქის შესაბამისად დაყენა მწერლის შეგნებულობისა და მხატვრული შემოქმედების იდეურობის საკითხი. ლენინმა პირველად ჩამოყალიბა ლიტერატურის ახალი იდეალი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მწერლის მხატვრული ინდივიდუალობა ორგანულად უნდა ერწყმდეს იდეოლოგიურ მიმართულებას, რომელსაც მწერალი შეგნებულად და თავისუფლად, შინაგანი მიღრეკილების ძალით ეხსრობა.

ფორმალისტური ხელოვნების წინააღმდეგ რუსეთში ენერგიულად იბრძოდა გამოჩენილი მარქსისტი გ. ვ. პლეხანოვი. ნაშრომებში „ხელოვნება და საზოგადოე-

15 ვ. ი. ლენინი, ტ. 1, გვ. 480-481.

16 ვ. ი. ლენინი, ტ. 10, გვ. 40.

ბრივი ცხოვრება“ (1912-1913), „პროლეტარული მოძრაობა და ბურჟუაზიული ხელოვნება“ (1905), „ექიმ შტოკმანის შვილი“ (1910) და სხვ. მან მკაცრად გააკრიტიკა იმპერიალიზმის ეპოქის იდეალისტური ესთეტიკა და სხვადასხვა ანტირეალისტური მიმართულებანი (ნატურალიზმი, სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი და სხვ.), ამასთან მარქსისტულად განსაზღვრა ხელოვნების საზოგადოებრივი როლი და მნიშვნელობა. პლეხანოვმა ღრმა მეცნიერული არგუმენტაციით ცხადყო, რომ ქადაგება უიდეო „წმინდა ხელოვნებისა“, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ რეაქციული იდეურობის გამოხატულებაა და ხელოვნების განვითარების ობიექტურ კანონებს ეწინააღმდეგება. მას შესანიშნავად ესმოდა, რომ ხელოვნების განვითარება შეპარობებულია საზოგადოებრივი კლასების ბრძოლით, რომ არ-სებობს უიდეო ნაწარმოები. ის ნაწარმოებებიც კი, რომელთა უკანონები გატაცებული არიან მხოლოდ და მხოლოდ ფორმით და არა შინაარსით, არა იდეით, სულერთა, ასე თუ ისე გამოხატვენ რაღაც შინაარსს და ის იქნება მათი ნაწარმოების იდეაც. კანტის მსჯელობას, რომ სიამოვნების განცდაში არ უნდა ჩაერიოს უტილიტარული ინტერესი, თორემის აღარაა ნამდვილი და წმინდა განცდა, პლეხანოვი უპასუხებს შეშმარიტი ხელოვნების კანონების მიხედვით: „ფორმა უნდა შეესაბამებოდეს შინაარსს.... ეს სა-

ვალდებულოა ყველა სკოლის წილი — როგორც კლასიკურული სათვის, ისე რომანტიკული გილერეებისაც და ა. შ.“¹⁷.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გ. ვ. პლეხანოვის შეხედულებანი სიმბოლიზმის გენეზისისა და არსის შესახებ. იგი დაეყრდნო ცნობილ მარქსისტულ დებულებას, რომ შეგნებას განსაზღვრავს ყოფიერება, და ნათელყო, რომ სიმბოლიზმი არის გარკვეული ეპოქის, გარკვეული სოციალური ვითარების ნაყოფი და არა ცალკეულ პიროვნებათა აზირების არზულტატი, ან შემთხვევითი მოვლენა. რეალური სამყაროს, ცოცხალი სინამდვილის უარყოფა და რაღაც მისტიკური სიმბოლოების ძიება, ამბობდა პლეხანოვი, არსებითად იმას ნიშნავდა, რომ სიმბოლისტები ჩიხში მოემწყვდნენ, ვერ შეძლეს დახლართულ სოციალურ ვითარებაში გარკვევა: მათ დაინახეს საზოგადოებრივი ბოროტება, თავის ზურგზე გამოსცადეს მისი სიმწვავე, მაგრამ ვერ მიაგნეს ამ ბოროტების დაძლევის გზას. „სიმბოლიზმი ეს თავისებური მოწმობაა სილატაკისა. როდესაც აზროვნება შეიარაღებულია სინამდვილის გაეგბით, მას არ ესაჭიროება სიმბოლიზმის უდაბნოში გაერა,“ —წერდა გ. ვ. პლეხანოვი წერილში „პენრიკ იბსენი“.¹⁸

17 გ. ვ. პლეხანოვი, თხ., ტ. 14, გვ. 198.

18 გ. ვ. პლეხანოვის ლიტერატურული მექანიზმება. ტ. 3, გვ. 64 (ჩუ. ენაზე).

რომ უფრო ნათელი გახდეს ის ობიექტური მიზეზები, რომ-ლებმაც განაპირობეს სიმბოლის-ტების განხევთქილება თანადრო-ულობასთან და ნიადაგი მოუმზა-დეს მათს დეკადენტურ ესთეტიკას, მოვიგონოთ პარიზის კომუნ-ის ეპოქა.

იმხანად ბურჟუაზიის გამარ-ჯვების შემდეგ საფრანგეთში შე-იქმნა მძიმე ატმოსფერო. გაბა-ტონებული ექსპლოატატორული კლასები მოითხოვდნენ სრულ წინაშებას. ბურჟუაზია და პროლეტარიატი იარაღით ხელში ერთმანეთის პირისპირ დგებოდ-ნენ. პროლეტარიატი აშკარად ამჟღავნებდა საბრძოლო განწყო-ბილებას (1848 წლის ივნისის დღეები), რის შედეგადაც დამფ-რთხალი ბურჟუაზია უკვე ვეღარ იკლიდა ლიბერალიზმით შენიღ-ბვისათვის და ფიზიკური ძალის კულტს მიმართავდა. ამავე დროს საფრანგეთი ხშირად მარცხდებ-ოდა კოლონიურ მებში. ეს კი-დევ უფრო ამძიმებდა ატმოსფე-როს. დემოკრატიული და რეაქ-ციული ძალების შეტაკების კულ-მინაციური წერტილი იყო პარი-ზის კომუნა, როდესაც საფრან-გეთის პროლეტერიატმა ათდღია-ნი ბრძოლების შემდეგ 1871 წლის 18 მარტს კომუნა გამოაც-ხადა. მაგრამ კომუნას დიდხანს არ უარსებია, ბურჟუაზიამ ტიე-რის მეთაურობით გაანდგურა იგი და მთელ საფრანგეთში შეშ-ველი რეაქცია გაამეფა, ყველა-ფერი სიცვლელ ღირებულებად

აქცია. დაეცა მორალი, მომალი საზოგადოებრივი კონტროლი, გა- ურცელდა ღალატი, გამცემლობა, / სახელმწიფო საიდუმლოებული ჭიდული საქმე / ზე იყიდებოდა. ამის ერთ-ერთი კონკრეტული ფაქტი იყო „დრე-იფუსის საქმე“. საფრანგეთი ყალ- ყზე იდგა.

აანალიზებდა რა ამ ეპოქას, მ. გორკი სტატიაში „პოლ ვერ-ლენი და დეკადენტები“ ხაზგა-მით აღნიშნავდა, რომ საზოგა-დოების ერთი ნაწილი თავს შესა-ნიშნავად გრძნობდა, ხოლო მე-ორე — უფრო პატიოსანი და სი-ნდისიერი აღამიანები იტნჯებოდ-ნენ უსამართლობისა და დაცემუ-ლობის ატმოსფეროში. ამ პატიო-სან და სინდისიერ აღამიანებს სურდათ თავი დაერწიათ კატორ-ლული ცხოვრებისაგან, ბურ-ჟუაზიის ბატონობისაგან, ბურ-ჟუაზიისა, რომელიც ინსტინქტი-სა და ძლიერის თაყვანისცემის გარდა არაფერს არ სცნობდა, მა-გრამ გზას ვერ პოულობრდნენ და იღუპებოდნენ. ასეთ დაღუპულ აღამიანებად მიაჩნდა მ. გორკის საფრანგეთის უნიკიერესი პოე-ტები პოლ ვერლენი, არტურ რემ-ბო, სტეფანე მალარმე, რომებ-საც სულითა და გულით ეზიზლე-ბოდათ კაპიტალისტური სინამ-დვილე, დაუინებით ეძებდნენ წმინდა კუთხეს, მაგრამ ამაოდ და ბოლოს ბურჟუაზიული წყო-ბილების მსვერპლი გახდნენ.

„სიმბოლისტები, — წერდა მ. გორკი, — ხშირად მიდიოდნენ სა-კუთარი თავის წინააღმდეგ და

ღაუკმაყოფილებ-
ელნი ისე, რომ ვერაფერს ბოჭ-
ლობდნენ, იღუპებოლნენ შეუ-
რაცხყოფილნი, დატანჯულნი გახ-
ჩწნილი და გაუკულმართებული
საფრანგეთის ცხოვრების ხმაურ-
ოთ, საფრანგეთისა, რომელიც
ქველად წარმოადგენდა რაინდებ-
ის, ახლა კი მსუქანი და ალვირაბ-
სნილი ვაჭრების ქვეყანას, ვაჭრე-
ბისა. რომლებიც თავს გრძნობდ-
ნენ მდგომარეობის ბატონ-პატ-
რინად. ^{“19.}

როგორც ვხედავთ, სიმბოლიზ-
მი ფრიად თავისებური მოვლენა
იყო და მასში თავიდანვე შეინიშ-
ნებოდა შინაგანი წინააღმდეგობა-
ნი, უარყოფითიც და დადებითიც,
პროგრესულიც და არაპროგრე-
სულიც. რა თქმა უნდა, სიმბოლი-
ზმის ესთეტიკა ყალბი და მიუღე-
ბელია, იგი ანტირეალისტური მი-
მდინარეობაა, მაგრამ ამის გამო
სიმბოლისტების გაიგვება რეაქ-
ციულ, პოლოგეტურ ბურჟუაზი-
ულ მწერლებთან შეცდომა იქნე-
ბოდა. ამ შეიძლება უარყოთ ის
უცილობელი ფაქტი, რომ სიმბო-
ლისტები ვერ ურიგდებოდნენ
კაპიტალისტურ - იმპერიალისტურ
სინამდვილეს და უარყოფდნენ
მას, ილაშქრებდნენ მის წინააღ-
მდეგ. ეს იყო მათი შემოქმედებ-
ის პროგრესული მხარე. მეორე
მხრივ, ისინი ვერ დაუკავშირდნენ
ხალხს, ვერ დაინახეს ის ძალა,

რომელსაც უნარი შესწევდა გარ-
და ექმნა არსებული სრამდებულებები.
და თუ წინათ ფრანგი კუნძულების-
ტები მონაწილეობდნენ და უკარისტის
კომუნართა ბრძოლებში და დაინ-
ტერესებულნი იყვნენ სოციალუ-
რი პრობლემებით, პარიზის კო-
მუნის დამარცხების შედეგ უკი-
დურეს პესიმიზმში მოქმედნენ,
რაღაც კომუნის დაცემა აღიქვეს
როგორც განახლების შეუძლებ-
ლობა, როგორც სანკციარი იდე-
ალების მსხვრევა. ამან განაპირო-
ბა სიმბოლიზმის ანტირეალისტუ-
რი ხსიათი, დაცემულობისა და
სასოწარკვეთილების სულიკვეთ-
ება.

ორივე ეს მხარე სიმბოლიზმში
ორგანულად ერწყმის ერთმანეთს
და, შეცდომა რომ არ დავუშვათ,
ისინი დიალექტიკურ მთლიანობა-
ში უნდა განვიხილოთ. ამავე
დროს აუცილებელია ცალკე გამ-
ოვყოთ სიმბოლისტთა მალარმეს
თაობა, რომლის შემოქმედებაში
განსაკუთრებით ძლიერი იყო
პროტესტის ხმა. რაც შეეხება მა-
ლარმეს მომდევნო თაობას, იგი
ასრულებდა ბურუუაზის სოცია-
ლურ დაკვეთას და ქმნიდა ლიტე-
რატურას, რომელსაც უნდა განე-
მტკიცებინა ბურუუაზის თავდა-
ცვითი ძალები, გამოეხატა ყაჩა-
ლური იმპერიალიზმის ინტერესე-
ბი. ამით აიხსნება, რომ ოფიცია-
ლურმა ბურუუაზიულმა ლიტერა-

19 გ. გორეთი, რჩეული თხზ., ტ. 23,
1953. გვ. 127 (რუს. ენაზე).

ტურქულმა კრიტიკამ ძლიერ უარყოფითი პოზიცია დაკავა ვერ-ლენის, რემბოს, მალარმეს მიმართ. სამავიეროდ იმპერიალისტ-თა ტკივილებს მალამოდ მოეცხო. მორეასისა და შის თანამოკალმეთა შემოქმედება, რომელმაც ფართოდ გაულო კარები ნიცშეს იდეებს, ანტილემოკრატიულ და ანტიპუმანისტურ იდეებს, შექმნა „ზეკაცის“ კულტი, კოლონიური ომების აპოლოგია. ამიტომ საგვებით მართალი იყო მ. გორკი, როცა ვერლენს, რემბოს, მალარმეს უწინდა „ბურჟუაზიის გზასაცდენილი შვილები“, ხოლო აპოლოგეტური ბურჟუაზიული ლიტერატურის წარმომადგენლებს — „ბურჟუაზიის ჭეშმარიტი შვილები“.

მაშასადამე, სიმბოლიზმი არ ყოფილა ერთგვაროვანი მიმდინარეობა. სიმბოლისტთა შორის იყვნენ უნიჭირესი პოეტებიც, რომელთა დეკადენტური ლექსების „ზოგად, გაურკვეველ ხმაურში გაისმოდა ჭეშმარიტად ძვირფასი და პოეტური ხმები, გულმართალი და უბრალო, როგორც ტანჯულის ლოცვა.“²⁰ ასეთი პოეტები-სათვის სიმბოლიზმი იყო თავისებური პროტესტი ბურჟუაზიული სიყალბისა და მანკიერებათა წინააღმდეგ. ბევრმა მათგანმა

პოეზია ახალი ფერებით გამოჩდა. განსაკუთრებით რემბომ, ვერლენმა, რილკემ, ბლუზჭრული გილდიონთავა სხვ.

ტიპიური პრობლემების იდეოლოგიური სიმბაფრის გარკვევისას აუცილებელია მოვიძარვით ლენინური დებულება, რომელიც ჩამოყალიბებულია სტატიაში „ლევ ტოლსტიო, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე“. ამ ფუნდამენტურ ნაშრომში ვ. ი. ლენინმა ცხადყო, რომ „ტოლსტიოს შეხედულებათა წმააღმდეგურობა... ნამდვილი სარკეა იმ წინააღმდეგური პირობებისა, რომლებშიც ჩაყენებული იყო გლეხობის ისტორიული მოქმედება ჩვენს რევოლუციაში“.²¹

იმპერიალისტური ეპოქის იდეოლოგიური სიმბაფრის, ეპოქის წინააღმდეგურობის აშკარა გამოხატულებაა ის, რომ დასავლეთ ევროპის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში და რუსეთშიაც ერთის მხრივ ვითარდებოდა დეკადენტური და მეორეს მხრივ დემოკრატიულ-პროგრესული მწერლობა.

შეცდომა იქნებოდა თუ XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საზღვარგარეთის მთელ ლიტერატურას დეკადენტურად წარმოვიდგენდოთ. მწერლების ერთი ნაწილი, მარ-

20 მ. გორკი, რჩეული თხზ., ტ. 23, 1958, გვ. 134 (რქს. ენაზე).

21 ვ. ი. ლენინი, ტ. 15. გვ. 241.

თალია ინდივიდუალიზმა, მის-
ტიციზმა და დაცემულობის გან-
წყობილებებმა მოიცვა, მაგრამ
მეორე, ჭანსალი ბირთვი გამოხა-
ტავდა ფართო დემოკრატიული
მასების პროტესტს იმპერიალიზ-

მის წინააღმდეგ. შეიქმნა პროგრა-
მულ-რევოლუციური ლიტერა-
ტურა, რომელიც დაკავშირდებოდა
ლი იყო მუშათა კლასის ცხოვრე-
ბასთან და მის სასიცოცხლო ინ-
ტერესებს გამოხატავდა.

ეთერ ზოიძე

გაშაირების ტრადიცია აჭარაში

სატრფიალო ლიტერატურან აჭარაში ყველაზე უფრო გავრცელებულია შაირი. შაირების უმრავლესობა დასრულებული მხატვრული ნაწარმოებებია. შაირის ესოდენი გავრცელება და სიმრავლე მისი მხატვრული ფორმითა და შესრულების წესითაა გამოწვეული: ის ხომ ძირითადად სასიმღეროა და ხალხურ საკრავებთან ყველაზე მეტად შეგუებული.

აჭარაში შაირები უმეტესად სრულდება ხალხური საკრავების — ჭიბონისა და საზის თანხლებით. შაირთა ძირითადი თემაა ქალ-ვაჟთა ტრფიალი, ქლასობრივი და სოციალური ურთიერთობა, საოჯახო ყოფა, მაგრამ შაირთა მეტი წილი აჭარაში სატრფიალო ხაირითისაა. სატრფიალო შაირებში უმეტესწილად მოცემულია ქალის ან ვაჟის უსაზღვრო, წმინდა ტრფიალი, შექებულია სატრფოთა მიმზიდველი გარევნობა, უმანქოება. მაგალითად,

გოგო ლოცებურმიზაო,
რა ეზა გედემეკიდაო,
ამ ჩემ გულში ჩამიძრა და
არ ამდის იქიდანო.¹

ან:

საყვარელო, ჭირიმეო,
ერბო ჩიმიჭიმურეო,
შენც ჭამე და მეც მაჭამე,
შენი სულის ჭირიმეო.²

გაშაირების ტრადიცია თაობიდან თაობაზე გადადის. აჭარაში კი ოსმალობის პერიოდში შაირის შესრულების ძლიერი ტრადიცია რამდენადმე შეიზღუდა ახალი იდეოლოგიის (ისლამის) დაკვიდრებისა და საერთოდ ქალის სოციალური მდგრმარეობის გამო. ამან, რა თქმა უნდა, კვალი დააჩნია ხალხურ შემოქმედებას, მაგრამ ხელალებით ვერ ვიტვით, რომ საქსებით მოისპონ გაშაირების ტრადიცია, ან ალარ იქმნე-

1 აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ.,

1969, გვ. 115.

2 იქვე, გვ. 112.

ბოდა სატრფიალო შაირები ამ პერიოდში. მით უმეტეს, რომ გაშაირების ტრადიცია ძლიერია თვით ოსმალეთშიაც. მალულად, უცხო თვალთაგან დაფარულად მაინც იქმნებოდა ხალხური შაირების შესანიშნავი ნიმუშები, რომლებიც ჩვენამდე უხვადაა მოტანილი.

ქალ-ვაჟის გაშაირების მღიდარ ტრადიციაზე მეტყველებს გაშაირების ადგილობრივი, ხალხური მრავალფეროვანი ტერმინების არსებობაც. ამ ტერმინებს მთქმელთა უმრავლესობა ხშირად და ძალდაუტანებლად ხმარობს დღესაც. როგორც ცნობილია, „ჰეპირი გავრცელება ხალხური პოეზიისა, მისი უწიგნოდ დასწავლა და გადაცემა თავის დაღს ასვამს ტერმინოლოგიასაც“...³

გაშაირების ადგილობრივ ხალხურ ტერმინად დავასახელებთ „შაირის გაქნევას“. ეს ტერმინი ფიქსირებულია ხულოს რაიონის სხვადასხვა სოფელში. სოფ. ოქრუაშვილების მცხოვრები პაწწლის შაი აბაშიძე ხშირად ხმარობს გამოთქმას: „გოგო ბიჭი შაირს გუქნევდა“. ქალ-ვაჟის გაშაირებას ასე აღწერს ერთ-ერთი მთქმელი: „ბიჭი გუქნევს გოგოს ლექსს, მემრე გოგო გუქნევს, მემრე მეტს თუ გუბედავდა, მოახერხებდა და თვითონ გოგოს ეტყოდა ლექსს“.⁴

3 ა. შანიძე, ეკური ქალ-ვაჟიანი, ლიტ. ძეგანი, ტ. XI, 1958, გვ. 5.

4 1969 წლის ფოლკ. ექსპედიციის დოკუმენტი, გვ. 43.

გაშაირების ხალხურ ტერმინთაგან საყურადღებოა ავრითვები, „სიტყვის შემოკვრა“, „ლიტერატურული გადგომა“, „დალექსება“, „გრგლი ბიჭის დაწივება“.

მთქმელთა განმარტებით, ქალვაჟის გაშაირება უფრო მეტად სატრფიალო ხასიათისა იყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ გაშაირების ღროს ქალი-ვილი უფრო მეტ სითამამეს იჩენდა, ვიდრე ვაჟი, თუმცა ასეთ შაირებს არასოდეს არ აქლდა ქალწულებრივი კდემა და რიდი. „გოგოს რუმე მოსწონდება ბიჭი, უფრო მულექსებს, ვიდრე ბიჭი გუბედავდა“. ეს იმით შეიძლება აცხსნათ, რომ სითამამე და გაბედულება საერთოდ დამახასიათებელია მთიელი ქალისათვის.

გაშაირების შესახებ საინტერესო ცნობა მოგვაწოდა 85 წლის მთქმელმა ჰავა ასანის ასულმა გოგიტიძემ შუახევის რაიონის სოფ. ქიძინიძეებიდან: „შუანთობაზე ღუკრავდით მოზიკას, დავლის, ჭიბონს. იმ დავლზე დალექსებული იყვნენ კაცები, ქალები დანანიებული, ხაოხი უკელად დატაშუნებული. შემრეულოთ კუთხეში დავდებოდით ქალები, მეორეში — კაცები და ერთმანეთს შაირში ვიწვევდით, ამას ჩვენ ვეტყოდით დალექსებას. გაყოფილი ვიყავით ქალები და კაცები. ხან კაცები დევწყებდნენ, ხან —ქალები. ორ-ორ თულათ ვიყავით დაყოფილი. ამ

5 ბათუმის სამეც.-კვლევითი ინსტ. ფოლკ. ფონდი, 1969. ე. ზოიძის შასალები.

ქალებს ერთი მეთავე ყავდათ. ეს მეთავე რომ ლექსს იტყოლა, ერთი თული (რომელშიც საში კაცი შედიოდა) მუბანებდა, შემრე მეორე ართმევდა. ზოგიც ამ სიძლერის დროს სამობდა. ვინც არც მღეროდა და არც სამობდა, ისტაში არტყამდა“.

მთქმელის ეს ნაამბობი სრულად მოვიტანეთ, რადგანაც ეს ცნობა მეტად საინტერესოა. საინტერესოა, პირველ ყოვლისა, იმ მხრივ, რომ აჭარის მნელბედობის უამსაც დასტურდება ის ძლიერი ტრადიცია გაშაირებისა, რომელიც ცნობილია და გავრცელებულია მთელს საქართველოში. საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მთქმელის მიერ ოწერილია ხალხური ნიმუშების გუნდური შესრულების პროცესი, რომელშიაც არქაული ელემენტებია დაცული. ეს ის პერიოდია, როცა გუნდიდან უკვე გამოყოფილია დამწყები, კორიფე, რომელსაც აქ ხალხური ტერმინოლოგით „მეთავე“ ჰქვია.

მონაწილეთაგან ყველას თავისი ფუნქცია აქვს განაწილებული: დამწყები, კორიფე — „მეთავე“, რეფრენის შემსრულებელი — „დამნაინებელი“, ხოლო ვანც არც მღეროდა და არც ცეკვავდა, „დამტაშუნებელი“. საერთოდ ვაჟაირებას კი ხალხური მთქმელი „დალექსებას“ ეძახის.

მაინც სად შეიძლებოდა შეხვედროდა ერთმანეთს ქალი და ვაჟი? ჩვეულებრივ, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში

ქალ-ვაჟი ერთმანეთს ხვდებოდა ხატობა-დღეობებზე, ქორწილებში, სახალხო დღესასაცავებზე და სახალხო შეკვედაში. ასევეა ჩვენს უმცირესი აც. გარდა ქორწილებისა, სახალხო შეკრებულებისა, შეხედრა, გაცნობა ხდებოდა აჭარაში ფართოდ გავრცელებულ სახალხო დღესასწაულზე „შუამთობაზე“. წლის განსაზღვრულ დროს, ზაფხულში, როცა ძირითადი საზაფხულო საშური სამუშაოები მოთავსელებული იყო, საზაფხულო საძოვრებზე იკრიბებოდა სოფლის მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. მხიარულობდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ. ამ დროს ქალ-ვაჟი მაღლად უჭვრეტდა ერთმანეთს, მათ შორის იბმებოდა სიყვარულის ის უხილავი სიმები, რომლებიც შემდეგ მტკიცედ აკვშირებდა მათ. „გოგო-ბიჭი ერთმანეთს ეუშაირებოდა მთაში, ერთმანეთს სიტყვას შემოკრივდნენ სიყვარულის მგონე“. არ შეიძლება რეალური საფუძველი არ ჰქონოდა საქმაოდ გავრცელებულ შაირს:

შუამთობა მუაწია,
მინდა წევდე თაშია,
ჩევერიო გოგუებში,
ხელი მოვდეა თმაშია.⁷

6 ბათუმის სამეც-კვლევითი ინსტ. ფოლკ. ფონდი, 1971, ე. ზოიდის მასალები.

7 ბათუმის სამეც-კვლევითი ინსტ. ფოლკ. ფონდი, საქმე № 86, გვ. 16.

ვაჟს იმედი აქვს, რომ კარგსა
და ლამაზ ქალს სწორედ იქ,
მთაში შეხვდება:

ქალო, ქალო, ლაო,
ლოყაფანდელაო,
შამევვარდი თასა,
იქ ვაშოვდი ქალსა,
ლამაზსა და კარგსა.⁸

ამრიგად, გაშაირების 
ცია აჭარაში ისევე ძლიერია, რო-
გორც საქართველოს სხვა ტერიტორია
ებში. დამახასიათებელია სატ-
რფიალო შაირთა სიუხვე. შა-
ირთა სიმრავლე კი განაპირობა
მისმა მხატვერულმა ფორმამ და
შესრულების წესმა.

8 იქვე, გვ. 16.

ნიგებასი პიარებულება



აღექსანდრე ჩავლეიშვილი

ც ა ჭ ი რ ო მ ი გ მ ი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ახლახან გამოსცა პროფ. ა. ჭილაიას წიგნი: „ლიტერატურისტულნეობის ძირითადი ცნებები“.

ეს წიგნი დაეხმარება როგორც სტუდენტებს, ისე ლიტერატურის თეორიით დაინტერესებულ მკითხველებს.

წიგნის ასეთი შეფასების საფუძველს გვაძლევს ის, რომ მასში განმარტებულია ლიტერატურის მეცნიერების ისეთი ძირითადი ცნებები, როგორიცაა მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკა (სახე), ხელოვნების ესთეტიკური მნიშვნელობა, ტიპიურობა, ხალხურობა, პარტიულობა, სოციალისტური რეალიზმი, ლიტერატურული მიმართულებანი და სხვ.

წიგნი ემყარება მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საფუძვლებს და მასში თანმიმდევრულად არის გატარებული კომუნისტური პარტიულობის პრინციპი. ავტორი დეტალურად გვაცნობს ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო წერილს — „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. ამ წერილში ლენინი ცხადყოს ბურჟუაზიული ლიტერატურის უპარტიობის ლოზუნგის სიყალბეს და უჩვენებს, რომ უპარტიობის ლოზუნგი ეს არის ბურჟუაზიული ლიტერატურის პარტიულობის შენიღბული ქადაგება. ლენინმა ამხილა ეს დემაგოგიური ლოზუნგი და მას დაუპირისპირა ლიტერატურის კომუნისტური პარტიულობის პრინციპი, რაც ნიშნავს მშრომელი ხალხის, მუ-

შათა კლასის თვალსაზრისხე აშ-
კარად და პირდაპირ დგომას.

ვ. ი. ლენინი წინასწარმეტყვე-
ლებდა, რომ მომავალში შეიქმ-
ნება საბჭოთა ლიტერატურა, რო-
მლისთვისაც დამახასიათებელი
იქნება სოციალისტური იდეურო-
ბა და ხალხურობა. ლენინის ეს
წინასწარმეტყველება ახდა. ლე-
ნინმა გააფრთხილა ლიტერატუ-
რის მუშავები, რომ არ შეიძლება
ლიტერატურის საქმის გათანაბ-
რება სხვა საქმიანობასთან, აქ
„უძველად საჭიროა მეტი გასაქა-
ნი მიეცეს პირად თაოსნობას, ინ-
დივიდუალურ მიღრეკილებას,
გასაქანი მიეცეს აზრსა და ფან-
ტიზისა, ფორმასა და შინაარსს“. ამ
პრინციპების გატარებამ უზ-
რუნველყო „თანამგზავრების“
გადასვლა საბჭოთა პლაտფორმა-
ზე და ხელი შეუშუო ერთიანი
საბჭოთა მწერლების კავშირის
შექმნას. ახლახან ჩატარდა ამ კავ-
შირის მეხუთე ყრილობა, რომე-
ლმაც კიდევ უფრო შეამჭიდროვა
მწერალთა კავშირის ჩივები სკვ 24-ე ყრილობის იტორიულ დად-
გენილებათა წარმატებით განხორ-
ციელებისათვის.

უდაოდ მოწონებას იმსახუ-
რებს ის ფაქტი, რომ პროფ. ა.
შილაია ვრცლად ეხება ტიპიურო-
ბის საკითხს. მიაჩნია რა ივი ლი-
ტერატურის საგერბო ნიშნად,
ავტორი წერს: ტიპში გარკვეული
სოციალური ჯგუფის ძირითადი
თვისებების, ხასიათის, ქცევისა
და განწყობილების ერთობლიო-
ბაა წარმოდგენილი (გვ. 451).

ჩვენ აქ მხოლოდ ერთ შენაძე
ვნა გვაძვს: ავტორი უთირო
ვრცლად უნდა შეხებოდა და იყენე-
აცნობილ დოკუმენტს, როგორიცაა
უზრნალ „კომუნისტის“ სარედაქ-
ციონ წერილი „ლიტერატურასა და
ხელოვნებაში ტიპიურის საკით-
ხისათვის“.

წიგნში კარგადაა დახასიათებუ-
ლი სოციალისტური რეალიზმი.
ეს არის ისეთი შემოქმედებითი
მეთოდი, რომელიც მხოლოდ საბ-
ჭოთა ლიტერატურასთან არის და-
კავშირებული. ეს მეთოდი მთავარ
უზრადღებას უთმობს სინამდვი-
ლის გამოხატვას მის რევოლუცი-
ურ განვითარებაში, ხოლო აჩვე-
ნო სინამდვილე, ეს ნიშნავს, აჩვე-
ნო ბრძოლა ძველსა და ახალს
შორის, მზარდსა და მომკვდავს
შორის, და რაც მთავარია, ამ
ბრძოლაში აჩვენო ახლის გარ-
დუვალი გამარჯვება. ეს კი შესაძ-
ლებელია, რაღაც სოციალისტუ-
რი რეალიზმის სულსა და გულს,
მის დასაყრდენს წარმოდგენს
კომუნისტური პარტიულობის
პრინციპი, რაც, ვიმეორებთ
კარგად არის გაშუქებული სარე-
ცენზიონ ნაშრომში.

ამ მთავარ ფუნქციებელ ცნ-
ბებთან ერთად მოცემულია გან-
მარტივები ისეთი ელემენტარული
და მარტივი ოთორიული ცნებე-
ბისა, როგორიცაა აკროსტიხი,
ალეგორია, ალიტერაცია, ბარბა-
რიზმი, ტრადიცია, გროტესკი,
დაქტილი, ვერსიფიკაცია, ოქტა-
ლექსი, იგავ-არავი, ომონიმი, სტი-
ლი, ტერფი, უჩბანიზმი, ფორმა-

ლიზმი, ჩახრუხაული, სონეტი, პი-
პერბოლა და სხვა მრავალი. ამა-
სთან თითოეულ ცნებაზე მოტანი-
ლია სათანადო ლიტერატურული
სადემონსტრაციო მასალა. ასეთ
მასალად გამოყენებულია რო-
გორც რუსული, ისე მსოფლიო
ლიტერატურის შედევრები, ცხა-
დია, უმეტესად მოშველიებულია
მასალები ქართული ლიტერატუ-
რიდან, განსაკუთრებით იაკობ
ცურტაველის, შოთა რუსთავე-
ლის, დავით გურამიშვილის, ნი-
კოლოზ ბარათაშვილის, ილიასა
და აკაკის, ვაჟას, გალაკტიონ ტა-
ბიძის, ლეო ქიაჩელის, კონსტან-
ტინე გამსახურდიასა და სხვათა
შემოქმედებიდან.

აქვე უნდა დაგსძინოთ, რომ
ავტორი ეყრდნობა და ჯეროვნად
იყენებს აგრეთვე სხვა შეცნოვრ-
თა კრიტიკულ ლიტერატურას, რომლებსაც
მიუთითებს ცალკეუ-
ლი ცნების დეფინიციის დროს
(კ. კეცელიძე, ალ. ბარამიძე, გ.
ჯიბლაძე, აკ. გაწერელია, ს. ჭი-
ლაია, მ. დუღუხავა და სხვ.).

წიგნი დაწერილია კარგი ქარ-
თული ლიტერატურული ენით
და ხალისიანად იკითხება.

გვსრუს მიეუთითოთ ზოგიერთ
ჩრდილოვან მხარეზე.

1. წიგნში გამოტოვებული
ზოგერთი ძირითადი ცნება: დე-
ტალი, ალიტერაციის კონტენტის მიზა-
ნი, მხატვრულობის კრიტერიუ-
მი, ლიტერატურის მცოდნეობის
ისტორიოგრაფია, მხატვრული
ოსტატობა და სხვ. მეორე გამო-
ცემაში ამათი განმარტება და შე-
ტანა აუცილებელია.

2. ნოველის დეფინიციაში ხაზი
უნდა გასმოდა მის ერთ არსებით
ნიშანს, როგორიცაა, მოულოდნე-
ლი გარდაქმნები ანუ პერიპეტიე-
ბი.

3. ვარკვეული უნდა ყოფილი-
ყო, რატომ ქვია ურითმო ლექს-
თერიი ლექსი.

4. წიგნს ბოლოში უნდა დარ-
თოდა წარმოდგენილი ცნებების
საძიებელი.

5. კარგი იქნებოდა წიგნს დარ-
თოდა გამოყენებული ლიტერა-
ტურის სია.

დასკვნის სახით უნდა ითქვას,
რომ პროფ. ა. ჭილაძის წიგნის
ვამოცემა დროული და დიდად
სასარგებლო საქმეა.

ვფიქრობთ, ეს წიგნი დაშვებუ-
ლი უნდა იქნას სტუდენტებისათ-
ვის დამხმარე სახელმძღვანელოდ.



ବୋଲିମ୍ କାନ୍ଦିଲ



ଉତ୍ତର ପ୍ରଦୀପ

ବେଳେମ୍ବାର ରାତରି

୩, ୧୩

ଯେବେଳୁଟା !

ହେବନ୍ଦିମା ସାତାପାନ୍ଦେଲମା ଗୁଣିମା କେଲାଙ୍ଗ ଫୁଲାଙ୍ଗମ. ମେନ୍ଦରୀ ଲୋକେ ଦାର୍ଶନିକେବୁଲୁଗାଥିମା କାହିଁଲା ମୁଖ୍ୟମ୍ ଶାବ୍ଦ କେରାନ୍ଦିମା ଏବଂ ଶାବ୍ଦ ଚିନିଦେଖି ଏବେବା, ଶଲାମାତ ଅମାଜ୍ଜ୍ ଫେରିଦା ଏକୁରା. ଏହଠି ସିର୍ବ୍ସିତ, ମୁଖ୍ୟମାନିକି ଗାନ୍ଧିଯିନ୍ଦ୍ରିୟବିଲ୍ଲେବା ଏହି ଏହି ମାତଗାନ୍ତ ଏହି କ୍ଷେତ୍ରରେ ମାଗ୍ରାମ ମନ୍ଦିରରେବାବାତ, ସାମିଶ୍ଵରରେ ସାମିଶ୍ଵରରୀବାବା...

— ମାତ୍ର, କେଲାଙ୍ଗ ଫୁଲାଙ୍ଗଟି? — ଘରୀତକୁ ସାକ୍ଷାତକାଲୁଲମା ଉତ୍ତରିକିମା.

— ସିଲେଣ୍ଟ ଗାଗାଇଶର୍କୁସି. — ଏହିଏହିନ୍ଦା ମନୀଦିଗିଲ୍ଲେ.

— ଯେବେଳୁଟାକି ମନମନ୍ଦିରିକି ନ୍ଯାବୀ ଲାଗିଲୁସି! — ଅନାତ୍ମମା ଗାନ୍ଧିନ୍ଦାବିନା-

ଲିଶାତାରିତା ବିନ୍ଦରିଲେ ତାବିଦିଲମାର୍ଗମ. — ମାତ୍ର ଫ୍ରାନ୍ତିଲିଙ୍କିତିରେ ମେଲିଲେ ଲାବ୍ୟାରିଗମ, ମେରମ୍ ରାତରିରେ ମେଲିଲ୍ଲେ..

— ମେ କି ତାବେ କ୍ଷେତ୍ରରେ! — ଗାନ୍ଧିଯିନ୍ଦା ସିର୍ବ୍ସିତ ବୁଲାଲ୍ଲେରମା. — ଅଳଦାତ, ମାତ୍ର ପିତ୍ତରେବିତ ଗାମିତରିନିନ୍ଦାବା ବେଳିଦା.

— ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟରେବା ବୀରା, ଏହି ଶେରି ପରିଭ୍ରମିକିଲେ ମୁଖ୍ୟମାନିକି କିମ୍ବାମତ୍ତୁବୀ, କଥିଯିବା, — ତେବେ ମନୀନ୍ଦିରିଶେମ, — ବେଳିଲେ ଯେବେଲୁଟାରେ ଲୋ ସାନତଲିତ ସାକ୍ଷେପନ ଗାନ୍ଧିନ୍ଦା. ଆପ୍ରସି, ଏହି କ୍ଷେତ୍ରରେବା ଶୈକ୍ଷାଲିକ କ୍ଷେତ୍ରରେ ଏହିମା ବୀରିଲାହିଲାଦିବା. ଯେତେ, ଏହଠିରେ ମାଗାରୀ ତାବେ ମିଳିନ୍ଦା — ବୀରିଲାଦିବା ଗାମିତରିନିନ୍ଦାବା କିମ୍ବା ବୀରିଲାଦିବା.

— ବୀରିଲାଦିବାରୀ, କଥା ଏହି ଗାମିତରିନିନ୍ଦା:

— ମନୀନ୍ଦିରିଲା ରୁଷିଲା ଯୁଦ୍ଧରିକିମା.

— ଗାନ୍ଧିନ୍ଦାବା ଲାବ୍ୟାରିତା! — ନିର୍ମିନ-

ქტურად წამოიძახე. — ჰერა ვასწავლოთ!

— მაგი უშველის საქმეს? — ხელები გაასავსავა ურთიერთდახმარების სალაროს ხაზინადარმა. — განცხადება კი არა, თოვი ესროლე თუ გინდა. არ უნდათ თამაში, ბატონო, არ უნდათ. მინდორზე სეირნობა უმჯობესი არ არის?

— თუ ასეა გუნდიდან უნდა წავიდნენ, — მოვითხოვე მე.

— მაშინ ვინდა წააგებს? — მომახალეს პასუხი.

— ასეთი აფორისტული მსჯელობით შორს ვერ წავალთ. მოდი სერიოზულად ვისაუბროთ, — წამოვაყენე წინადადება. — პატივცემულო ბიკენტოვანი, თითქოს თქვენ გუნდის უფროსი და მწვრთნელი ბრძანდებით. ეს წოდებები ხომ ეკვივალენტურად შეესაბამება თქვენს თანამდებობას. პაინჩის, შენ — მიუუბრუნდი რაციონალიზატორთა ბიუროს თავმჯდომარეს, — მასჯობა იყისრე, რამდენადაც ყველაფერს უკუღმა ხედავ. მე კი სპორტული კორესპონდენტი ვიწენები.

— ჩვენ, ჩვენ?! — მოუთმენლად წამოიძახეს სხვებმა.

— ფეხბურთელები! — ბრძანა ბიკენტოვიჩი. საკუთარ ყურებს აღარ დაუჭირე და ისევ ვიკითხე:

— როგორ ბრძანეთ?

— ფეხბურთელები იქნებიან-მეთქი. ფეხ-ბურ-თე-ლე-ბი, — დამარცვლა ჩემ-მა რისხვამ, — სულ თხუთმეტნი ვართ არა? მაშ ასე, მეკარე, ესე იგი № 1, ალისტრახო იქნება...

— მღვავთ, ბატონო! — წამოიძახა

ამის გამგონე მოადგილემ, — ჟველაჭე-რი ჩემს კისერზე გადატყდება გერბზე / რებით, ბიკენტოვიჩი, სამ ნომრულურ დამაყენეთ. მგლის მუხლი მატერიალური

— არავითარ შემთხვევაში: ჩემი მოადგილე მხოლოდ და მხოლოდ № 1 უნდა იყოს, — სტკიცეს კატეგორიული უარი ალისტრახოს. — ორ ნომრად რომეო გამოდგება, სამად — არტირა, ოთხად — ჰიპოკრატე, ხუთად — ძუკუ, ექვსად — ევსევი ექვსეულიძე, შვიდად — რიგოლეტო, რვად — კონსტანტინ... ჸო, ცხრად ჰერაკლე, ათად — გვგუ, ხოლო თერთმეტად — ტამანგო.

— მე რატომ გამომტოვეთ, ბიკენტოვიჩი? — იყითხა ვაჟა ქართველიშვილმა.

— შენი სახელი და გვარი არ მომწონს. ფეხბურთელისათვის ცუდად ულერს.

— გვერდით მსახად დავიშნოთ, ცოდვაა, — შევევდრე გუნდის დამკომპლექტებელს, — მაინც ვერაფერს ხედავს, ისე საუცხოოდ უსტვენს.

— მაშ, კარგი, — ისევ გავიგონე დაუჭერებელი რამ.

— გუმანით ვხვდებოდი, როვორ ალივსო შურით ორი ნომერი თერამეტისადმი, ოთხი — ათისადმი, ექვსი — ცხრისადმი და ასე შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ დუბლიორი არავინ ჰყავდათ. ასეა ყოველთვის: რატომლაც საკუთარი მაისურის ციფრი არავის მოსწონს.

— მე კი რესპექტაბელური თანამდებობა ჩავიგდე ხელთ — სპორტული კორეს-პონდენტობა. ხუმრობა საქმეა? უფლება მომენტა შეკითხვები დავუსვა-

უფროსს და კედლის გაზეთში გამო-
ვწევეყნო. იქნებ მასში მაინც მაღირსონ
ადგილი და წერილი ჭინადალებად არ
აქციონ...

— ჰო, რა ვენათ ახლა ჩვენ? — გამო-
ბარკვეთ ბიკენტოვიჩის დაგუბულმა ბან-
ას.

— ვისაუბროთ, — შევახსენე მას,
— ჩემი საქმეა კალამი და ბლოკნტი,
თქვენი — პასუხი და მოსაზრებები.

— თეხბურთელებს რაღა ვუყოთ?

— საწურონელად გავგზავნოთ დაუ-
კოვნებლივ. პირველ რიგში ფიზიკურ
მომზადებას უნდა დაეთმოს ყურადღე-
ბა.

— სმენა! — გაისმა ბიკენტროვიჩის
ბრძანება. — რომეო, შენ ვევლება
„მზიურის“ შოვნა. შენ, არტურ, „ატე-
უსა“ მოუტან ჩემს სიღდღას... აი, რე-
ცეპტიც. ჰიპოკრატე რკინიგზის საღვუ-
რში ობილისამდე ბილეთს ამიღები. ტუ-
კუ ჩენი მანქანის სათადარიგონ ნაწი-
ლებისათვის იზრუნებს. ევსევი „ბორ-
ჯომს“ მოგვიმარიავებს. რიგოლეტო
ტაქსს დაიკერს სადმე, კონსტანტინე და
პერაკლე — სანლმმართველს, ძუკუ და
ტამანგო სახლმმართველობის ინჟინერს.
სალამოს ეჭვს საათზე ყველანი ჩემთან
გამოცხადდებით. გარცხნისაკენ! ნაბი-
ჭით იარჩრ!..

卷一百一十五

კაბინეტში ელოტური კვარტეტი დაწ-
მია. სავარებელში ბიქენტოვიჩმა დაიკავა
ადგილი, ჩემს მარჯვნივ — პინჩახმა,
მარცხნივ კი — ვაჟამ.

— ପାତ୍ରିଗୁଡ଼େମଶ୍ଵଲଳ ମିଶ୍ରକରନ୍ତେଲଳ — ଡା-
କାର୍ଯ୍ୟ ମେ, — ରା ଏହିଲେ କ୍ଷେତ୍ରରେ ଗୁଣଦିଲେ
ଫୁଲମାତ୍ରେବଲଙ୍ଘିଲେ ମିଳିବାଲେ କ୍ଷେତ୍ରରିକି?
— ପ୍ରାଚୀନତା, ଏହି ରାମ କ୍ଷେତ୍ର ଦିଲ୍ଲୀରେ

სრულიად უცხო ამბებით არიან გარ-
თული. ბოლოს მოვულებ... მეღწეული
გაში გადავიყვან მაგათ, მეორე უკრაინული
მესამეში, მესამედან — მეოქტეშოროდაც
შეიძლება ნაკრების მწერთხელაც
დამნიშვნონ.

— မာပာတို့က, မာကူးမ တံ့သော ဖြစ်၊
၁၇၈၀ ပါရှဲလျှင်သော မာဝါဒ၏ ပုဂ္ဂန္တ။ — မြစ်ဝါဒ၏ ပုဂ္ဂန္တ။

— გესმით, რას ნიშნავს კონფიდენციალური ჩანაფიქრი? — თვალი დამიბრავალი ბიქენტოვიჩმა, — ჩემპიონი ყველას შეუძლია გახდეს, ხოლო აუტსაიდერი — ერთეულებს.

— გვლუპავ, ბიკენტოვიჩ?!

— პირიქით, ბოლოს და ბოლოს ვინ-
მეგ ხომ უნდა იხსნას ამდენი გულშემა-
ტკივარი ვაი-ვაშისაგან. გეკითხებით,
უმჯობესი არ არის სერთოდ არ გვყა-
ვდეს გუნდი, რომელიც უკველოვის
აკებს? მაშინ ნაკლებად დავინახავდით
შავპალსტუჩიანსა და შავპერანგიან
მამაკაცებს. არც ამდენი განქორწინება
და შიზოფრენია იქნება.

— გმაღლობთ, — წავილულულე მე
და ამჟერად „მსაჭს“ მიღმართე:

— Հա արօս Քենալբի՞?

— სასჯელის უკიდურესი ზომა! —
ჭამოიძახა მან.

— როდის მიმართავთ მას?

— ଶ୍ରୀ ପିଲାମଣିକାନ୍ତଙ୍କାଳୀ, କୋଣମ୍ବା.

— ॥ ፻፭፻፭ ॥

— ରୁଗଣର ଦା ଶୁଦ୍ଧାଲ୍ପନ୍ତର, ତୁ ଗିନମ୍ଭେ
ଏହି ମନମେଘିଙ୍ଗନା, ଫ୍ରେଶ୍‌କାପ ଏହି ଗ୍ରାମନକର୍ରେଶ୍‌ବିନ୍ଦୁ,
ଖାରିମେଥିଲୁ ଖାରିମେଥିଲୁ ଚାପିଲୁ, ତେରଟିମେ-
ତୁମ୍ଭେତୁଳିନାନ୍ତିକାପ ମନ୍ଦିରକାଥିରୁ, କମାଟାପ ଏହି ଅଧ-

ლვალებინებ და მუდამ მართალი ვიქ-
ნები.

— ԶԵ ԱՌՈՅ ԾԱՌԱՎԻՇԽՆՈՒՐՈՒԹԱ?

— იგი მსაჯს საკრთოდ არ სჭირდება.
მთავრია მაგარი შუბლი. ამასთან კარგი
სპრინტერიც უნდა იყო, რათა საჭირო-
ების შემთხვევაში სწრაფად აორთქმდე.

- ጥቃይና ሰሆነዎችን በመስጠት የሚከተሉትን ነው፡፡
- የሚከተሉትን የሚከተሉትን ነው፡፡

— რა გვეტყვის გვერდითი მსაჭი? —
დადა ვაჟას ჭირი.

— მთავარი კოლეგის სასტუდიის გარდა ვერაცხერს ვხედავ და ვისმენ. სხვა-ნაირად რომ მოვიქცე, მაინც ვერაცხელს მივაღწევ. ამბობენ, ღმერთი ერთია, მაგრამ ნამდვილად ორი ყოფილა. ერთი ჰეცაშა, მეორე — მწვანე მინდობრზე აა მას არიტრი ჰქვია.

— კეთილი, მაგრამ რაღა მანც და მა-
ნც ჩვენი გუნდი ამოილეთ ნიშანში. უპ-
ატრონონ ხომ არ გვინდვართ. მე დავწერ
ამას, სათაც ჭერ არს, იქ ვაჟტენ... .

— შენვე გაფრინდები აქელან! — და-
მეძღვრა ბიკენტოვიჩი.

მე, ჰაინრიხი და ვაჟა კართან ბალ-
ლებივით ავტოუზეთ. ქედან ვისმენდით
გაფეცხლებული უფროსის მონოლოგს,
თუმცა ცალკეული სიტყვების გარდა
არაფერი გვესმოდა. ამასობაში ოფლად
გაღვრილი „ფეხბურთელებიც“ დაბრუნ-
დნენ „წვრთნიდან“. ჩემი ენით დავისუბა
და მოსისხლე მტერსავით მიყურებ-
დნენ კიდევაც, კბილებს აკრაჭენებდნენ.

— მე რა შუაში ვარ? — დავიწყე
თავისი მართლება. — ყველაფერი ფეხ-
ბურთის, მწერათნელებისა და მსაჭა-
პრალია.

— შენისთანა კორესპონდენციი უმერ-
ობა შეაჩვენოს! — გამოსულია კამა-
გომ. — დახმარების ნაცვლადა ითვალის-
ფრის გადაგვიდე, აქეთ-აქით გადადეს და მას

— რა ვქნათ, რა?! — კითხულობდა ევსევი. — ვერსაღ აღმოვაჩინებ „ბორ-გომი“.

— ტაქსი! ტაქსი! — შეშლილივით
იმეორებდა რიგოლეტო.

— „მზიური“ არ არის, „პრიმა“ მოსწიეთ! — ბანს აძლევდა რომელ.

— სახლმართველი ზეცამ ჩაყლაპა თუ
დედამიწამ ვერ გავიგეო — აკრიმანულ-
ებლენენ კონსტანტინე და პერაკლე.

— შესაძლოა, თავადაც ამ დღეში ჩავ-
კითხოეთ, — ჩითჩითაბინენ სხვაბი.

— ამ წამებულთაოვის თუნდლაც ერთი
ფრეთი მაინც გადაეხადა ჩვენს გუნდს
ამაგი, — ვციქქობდი მე, — ეჲ, ვიორ-
სებით კი ოდესმე...

— არ ველირსებათ, არა! — მოგვეს-
მა კაბინეტიდან ნაცნობი ხმა. — ალო,
ოლო! ამიერჩიდან ჩემგან გრამ ცემენ-
ტსაც ვერ მიიღებთ, მით უფრო სტადი-
ნისათვის. მაგან გადამირია თანამშრომ-
ლები, სამსახურებრივ მოვალეობაზე
არავინ ფიქრობს... არა-მეტაური, არა!

ორიოდე წუთის შემდეგ, ზუსტად და-
იქმულ დროზე, ბიკენტოვიჩის წინაშე
ჭარესდებით. გან აგვათვალ-ჩაგვათვა-
ოიერა და გვითხო:

— ჰიპოკრატე სამ არის?

— აქ ვარ! — შემოფრინდა კაბ-
ნეტში დაგვიანებული „ფეხბურთელი“,
იომელსაც რკინიგზის საღვურში მო-
ლარის ჩაკეტვა და ობილისამღე ბილე-
რის აღება დაყისრა.

— აიღე ბილეთი?

— ვერა, პატივცემულო, თამაშებარე
მდგომარეობაში აღმოჩნდა.

— შენ დაიჭირე ტაქსი? — ახლა რი-
გოლეტოს მიუბრუნდა.

— ტაქსი ვერა, მაგრამ სამაგიეროდ
ჩიტი მოგიყვანეთ.

— დიდი მოუქნელი ვინმე ხარ.. ჰო,
კონსტანტინებ რა უყო სახლმართ-
ველს?

— ვერაფერი, ბიკენტოვიჩ, ისეთი
ფინტები გამიკეთა, ხახადალებული და-
ვრჩი. აი, ვინ უნდა იყოს ცხრა ნომერი!..

— ფეხბურთი არ გამაგონოთ-მეოქვი,
კრინტი არ დაძრათ! მე თქვენ გასწავ-
ლით ჭიუას! — თქვა და გვასწავლა

კიდევაც — თავად დაიშვი სტადიონი
სირბილი. ჩვენ კი მატჩების წინ შოგ-
ულ მივლინებებში გვამზუარებელ
გიგანტობისა

* * *

როგორც ყოველთვის, ჩვენგა საყ-
ვარელმა გუნდმა კვლავ წაგო. ტორე
ლღეს დაწესებულებაში ყველა მაჩქაც
შავი პერანგი და შავი წინდები ეცა,
შლაპაც ამავე ფერისა ეხურა, ცეკრ-
ლზე კი ბიკენტოვიჩის შავარშიან მოვ-
ლებული სურათები მიებნა. ორ-
მაგი ტრაგედიით თავზარდაცემული მუ-
შაობის თავი სადღა გვქონდა, გრამ
მოგეხსენებათ, სამსახური სამსახუ-
რია...



3360 40 553.

тбисисе 78 09 18
кевхдеси 5
зор. წლი. ბაზ ეტ
3

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„ЧОРОХИ“
ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 76118